ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოფიკო ლორთქიფანიძე

მმართველის ქრისტიანული იდეალი და მეფეთა სახეები არჩილის შემოქმედებაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: *ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ ხალვაში*

ბათუმი
2016

შ ი ნ ა ა რ ს ი

	შესავალი	2
თავი I	ქრისტიანული უნივერსალიზმი და მმართველის იდეალის კონცეფცია ძველ ქართულ ლიტერატურაში	7
თავი II	არჩილის ცხოვრება და მისი შემოქმედების ძირითადი თემატიკა	26
თავი III	მეფის ბიბლიურ-ქრისტიანული იდეალი და არჩილის შემოქმედება	69
თავი IV	მეფეთა სახეები პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“	79
თავი V	„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ და ქართული ლიტერატურული ტრადიცია	105
	ძირითადი დასკვნები	115
	ბიბლიოგრაფია	118

შესავალი

კვლევის საგანი და თემის აქტუალობა. XVI-XVII სს. ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში მარტოოდენ ნგრევა-აწიოკებისა და საგარეო მტრების წინააღმდეგ ომების ხანა არ იყო. ეკონომიური განვითარების საერთო შეფერხების ვითარებაში აქა-იქ გამოჩნდებოდა ხოლმე შედარებით მშვიდობიანობის ცალკეული პერიოდი, როცა ესა თუ ის კუთხე, სხვათაგან განსხვავებით, აღორძინებას იწყებდა. ასე იყო, მაგალითად, XVII საუკუნის 60-იანი წლების კახეთი, რომელმაც არჩილ მეფის აქტიური ძალისხმევით საქართველოს აღორძინებისთვის ბრძოლას ჩაუყარა საფუძველი. ასეთი იყო ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის პერიოდი ქართლში და საბოლოოდ, ერეკლე II-ის მმართველობა გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე.

XVII საუკუნეში აღორძინება დაეტყო ქართულ კულტურასაც, რამაც მკაფიოდ იჩინა თავი მხატვრულ ლიტერატურაში. განსაკუთრებით, გაძლიერდა საერო პოეზია, სადაც განვითარდა ეროვნულ-პატრიოტული მოტივები და რეალისტური ტენდენციები. საფუძველი ჩაეყარა ისტორიულ პოემას. შეიმჩნეოდა მხატვრული სტილის დემოკრატიზაცია და ბრძოლა ირანული ლიტერატურული გავლენის წინააღმდეგ, სწრაფვა ქართული, თავისთავადი ტრადიციების აღორძინებისაკენ, რაშიც ასევე დიდია არჩილის როლი.

ნაშრომში განხილულია მეფე-პოეტ არჩილ II ბაგრატიონის შემოქმედებითი ნააზრევი. ძირითადი აქცენტი გადატანილია არჩილის მსოფლმხედველობაზე, მისი შემოქმედების მიმართებაზე ბიბლიასთან, ისტორიულ რეალიებზე, „მართლის თქმის“ პრინციპზე, ლირიკულ შედევრებზე, რომლებიც ახალ გზას კვალავენ ქართულ ლიტერატურაში.

მეფე-პოეტის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მმართველის იდეალის კონცეფციას, რომელსაც ავტორი ორმხრივად გვიხატავს: საკუთარი სინანულით, რადგან თავად არის მეფე და ამით თავის დიდ წინამორბედებს, პირველ რიგში კი - დავით აღმაშენებელს ბაძავს, მეორე მხრივ კი, მეფე-პოეტი სხვა მეფეთა რეალისტური და მიუკერძოებელი დახასიათებით ცდილობს ბიბლიურ-ქრისტიანულ თემებთან დიალოგს და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნაკლოვან მხარეებზე მითითებას.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მეფე-პოეტ არჩილ II-ის შემოქმედების ძირეული მოტივების განსაზღვრა, რითაც მეფე-პოეტმა მნიშვნელოვანი

წვლილი შეიტანა ქართულ ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში.

არჩილის მსოფლაღქმა ე.წ. „აღორძინების“ ეპოქის ჩარჩოებს არ სცილდება. მეფე-პოეტი ცდილობს ეპოქისეულ ქარგას მოარგოს საკუთარი შემოქმედებითი მრწამსი, მაგრამ იგი ეწინააღმდეგება საკუთარი ეპოქის ლიტერატურულ სტილს. მან პირველმა აღიმაღლა ხმა „ზღაპრულ-ნაჭორი“ ამბების გალექსვის წინააღმდეგ. არჩილის სახელს უკავშირდება „მართლის თქმის“ ლიტერატურული პრინციპის ჩამოყალიბება. მაგრამ არჩილი არ გაურბის სპარსულიდან შემოსულ და მძლავრად ფეხმოკიდებულ გაბაასების ჟანრს, ამით არჩილმა ერთგვარად ხარკი გაიღო ეპოქისადმი. ყოველივე ამას ცხადყოფს მისი შემოქმედება.

არჩილის ნააზრევი არსებითად ქრისტიანული ეთიკის პოეტური ვარიაციაა. უფრო მეტიც, ზოგჯერ არჩილი ბიბლიის ქვეთავების მოკლე პერიფრაზირებას ახდენს, რითაც ცდილობს საკუთარი შინაგანი სამყარო და მსოფლმხედველობრივი მრწამსი წარმოაჩინოს, ამიტომაც შენდობას ითხოვს ქრისტესგან, ღვთისმშობლისგან და წმინ-დანებისგან, რადგან კომპრომისზე წასვლა მოუწია და ფორმალურად ისლამი აღიარა.

თავისი შემოქმედებითი იდეებით და პოლიტიკური მოღვაწეობით არჩილი მოთავეობდა ქვეყნის თვითმყოფობის, დამოუკიდებლობისა და ეროვნულ-სარწმუნო-ებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ სასიცოცხლო ძალებს.

ნაშრომი აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ მეფე-პოეტის ფართო მასშტაბის ლიტერატურული მოღვაწეობა ახალი საფეხურის დასაწყისია ჩვენი ეროვნული მწერლობის და საერთოდ კულტურის ისტორიისა. არჩილის შემოქმედებაში წამოჭრილი პრობლემები ქართული მწერლობის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელი და ბიძგის მიმცემია, ხოლო მისი მსოფლმხედველობა მყარადაა მორგებული ქრისტიანულ ნიადაგს. თავისი დიდი წინამორბედის, რუსთველის, მსგავსად, არჩილიც უპირატესობას საღვთო სიბრძნეს ანიჭებს, ხშირად მიმართავს რუსთველურ ნაირფერ ფორმებს. მისთვის რუსთველი „ლექსის ძირია“.

ბიბლიური სახისმეტყველება არა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელია, არამედ მთელი შემდგომი ლიტერატურული

ეპოქის სააზროვნო სისტემად გვესახება. არქეტიპულ-პარადიგმული სახეებით აზროვნება ოდითგანვე მოსდგამდა ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას, თუმც ე.წ. „აღორძინების“ ეპოქის ლიტერატურაში მთელი სისრულით ვლინდება.

არჩილის შემოქმედების მსოფლმხედველობრივი და სახისმეტყველებითი თავისებურებანი სწორედ ბიბლიური წიაღიდანაა ამოსული, ამასთანავე ქართული სულიერებისათვის ორგანული და სპეციფიკურია, რადგან არჩილის მხატვრული ნააზრევები ქართულ ზეპირსიტყვიერ და ევანგელურ მოდელებს ემყარება, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის და ერთ მთლიან სააზროვნო სისტემას ქმნის.

არჩილი ქვეყნისა და საკუთარი ბედის მორალურ ხსნას ქრისტიანულ რელიგიაში ხედავდა და ცდილობდა თავის შემოქმედებაში გაეცოცხლებინა ბიბლიური პასაჟები, რათა „ზღაპრულ-ნაჭორ“ ამბებს არ გაეუფერულებინათ ქართული სამწერლო ღირსება. სწორედ ამით აიხსნება ე.წ. „აღორძინების“ ეპოქის შემოქმედებაში ევანგელურ-იგავური მოტივების მძლავრი ნაკადის შეჭრა. არჩილის და ამ პერიოდის სხვა მოღვაწეთა მსოფლმხედველობა აშკარა თანხვედრაშია ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან, უფრო მეტიც, სახარებისეული სულისკვეთებითაა გაჯერებული.

პოეტის რელიგიური შეხედულებები ნათლად იკვეთება მთელს მის შემოქმედებაში. პარალელურად წარმოდგენილია მრავალი საჭირბოროტო საკითხი. ყოველ თხზულებასა და ლირიკულ შედევრში თითოეული მოხმობილი პასაჟი „საღვთო წერილითაა“ ნასაზრდოები. მეფე-პოეტის შემოქმედებით მსოფლაღქმას ჰიმნოგრაფიულ, შუა საუკუნეების სასულიერო და საერო ლიტერატურასთან სათანადო პარალელები უხვად მოეძებნება.

როგორც წესი, ისტორია მხოლოდ წარსულის კუთვნლება არ არის. მრავალი თემა და პრობლემა, რაც საუკუნეების წინ აწუხებდათ ჩვენს წინაპრებს, ხშირად ახლაც აქტუალურია. გასაკვირი არ არის, რომ ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც არჩილის შემოქმედება წარმოადგენს და მისი სიტყვები „უჩემოდ ვით იმღერეთა“ დღესაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე მეტად ციტირებად გამონათქვამად. მმართველის იდეალის ფორმირებაში დღესაც ტონის მიმცემია მისი მამხილებლური ტონი („მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“), რასაც მანამდე ქართულ პოეზიაში ანალოგი არ მოეპოვება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ღირებულება - ნაშრომში კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არჩილის მთელი სააზროვნო სისტემა ემყარება ბიბლიურ-ევანგელურ

მოდელებს. მეფე-პოეტი უხვად იყენებს ბიბლიურ ალუზიებს, ამონარიდებს სახარება-ოთხთავიდან, იმოწმებს წმინდა მამათა სწავლანს. თანამედროვე ლიტერატურათმცოდ-ნეობაში ფაქტობრივად არ არსებობს პრაქტიკულად ორიენტირებული გამოკვლევა, რო-მელშიც მეფე-პოეტის შემოქმედების ზემოხსენებული პრობლემები იქნებოდა გაანალიზებული. ქრისტიანული უნივერსალიზმის იდეა არჩილის შემოქმედებაში მკვლევართა აბსოლიტური უმრავლესობისთვის ყურადღების მიღმა დარჩა.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ფილოლოგიური კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე მიდგომებს, კომპარატივისტული და ნარატოლოგიური მეთოდების გვერდით ვიყენებთ რეცეფციული ესთეტიკისა და ანტითეტური კრიტიკის ელემენტებს, რათა ნათლად განისაზღვროს არჩილის შემოქმედების წანამძღვრები, კონტექსტი და ინტერტექსტი.

არჩილის შემოქმედებაში განხილული საკითხები ეპოქის სულიერი მოთხოვნების ერთგვარი გამოვლინებაა. თანამედროვეთა შესაბამისად ისიც წერს „გაბაასების“ ჟანრის თხზულებებს, თხზავს „მაჯამას“, ქმნის ისეთ ლირიკულ შედევრებს, რომლებიც, ერთი მხრივ, დაფუძნებულია აფორისტული სახის სენტენცია-დარიგებებზე, მეორე მხრივ კი, წმინდა სახარებისეული ამბების მოკლე პერიფრაზირებაა.

მეფე-პოეტს ლიტერატურულ ასპარეზზეც სურდა წარმოეჩინა თავისი მეფური მოვალეობა, ამიტომ არის მისი შემოქმედების წამყვანი იდეა ქრისტიანული მორალი, ხოლო წამყვანი მოტივი - დიდაქტიკური მოტივი. საკუთარი ავტოპორტრეტისა და სხვა მეფეთა პორტრეტების პირუთვნელად დახატვით იგი ცდილობს მომავალ მეფეებს აჩვენოს გზა იდეალისკენ, რომელიც ყველაზე კარგად ბიბლიაშია ხორცშესხმული.

ამრიგად, ნაშრომი წარმოაჩენს არჩილს, როგორც მეფისა და შემოქმედის როლს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მის წვლილს ეროვნული თვითშეგნებისა და თვითშეფასების ამაღლების საქმეში. არჩილის შემოქმედების ეს ასპექტები პირველად გახდება მონოგრაფიული კვლევის საგანი.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო კვლევის ძირითადი დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები მოცემულია ავტორის (ს. ლორთქიფანიძე) სტატიებსა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალებში. რეკომენდა-ციების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეწოდა და განხილულ იქნა საერთაშორისო, რესპუბლიკურ და საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებზე.

დისერტაციის სტრუქტურა და შინაარსი. ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I - ქრისტიანული უნივერსალიზმი და მმართველის იდეალის კონცეფცია ძველ ქართულ ლიტერატურაში

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არისტოტელემ „პოეტიკის“ მეცხრე პარაგრაფში დასვა უმნიშვნელოვანესი კითხვა: რითი განსხვავდება პოეზია ისტორიისგან, და განსაზღვრა, რომ ისტორია - როგორც გამოკვლევა, გამოძიება, დადგენა - არის ჭეშმარიტ ფაქტთა ემპირიული გამოკვლევა და სწორედ ისტორიის, როგორც ტერმინის, ამ აზრობრივი წახნაგის მიხედვით დაადგინა განსხვავება პოეტსა და ისტორიკოსს შორის: ისტორიკოსი აღწერს მოვლენებს, რომელნიც სინამდვილეში მოხდა, პოეტი კი იმას, რაც იმავე პირობებში შეიძლება მომხდარიყო და დაასკვნის, რომ „პოეზია ისტორიაზე უფრო ფილოსოფიური და სერიოზულია“ **(არისტოტელე 1979:9, 1451 B)**. ამრიგად, ისტორია ორიენტირებულია უწყებული მოვლენის ფაქტობრივ მხარეზე, თუნდაც ჭეშმარიტება იყოს არასრული და შეზღუდული, მაგრამ, ფაქტობრივად, ზუსტი: „არისტოტელემ დაასაბუთა ისტორიის არა მხატვრული, არამედ მეცნიერული კონცეფცია, ე.ი. კონცეფცია ისტორიისა, როგორც ზუსტად დამოწმებული და მართლად აღწერილი ემპირიული ფაქტის მეცნიერებისა. ამით ისტორიკოსს ეკრძალება შეგნებულად დაისახოს მიზნად მკითხველზე ემოციური ზეგავლენის მოხდენა. ეს უკანასკნელი მთლიანად დამოკიდებული უნდა იყოს არა ისტორიკოსის „ხელოვნებაზე“, არამედ თავად უწყებული ფაქტის ხასიათზე“ **(Барг 1976: 125)**. „დიდი ლიტერატურა კი ყოველთვის ღმრთის ურთიერთკავშირში იმყოფებოდა თავისი ეპოქის მითოლოგიურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ მხატვრულ აზროვნებასთან და თავად იყო გამომხატველი ყოველივე ამისა“ **(გამსახურდია 1991:19)**.

ქართული მსოფლმხედველობრივი აზროვნების საფუძველი ქრისტიანობაა. აქედან გამომდინარე, ძველი მწერლობის – როგორც საეკლესიო-სასულიეროს, ასევე საეროს – საფუძველიც ბიბლია და საეკლესიო ლიტერატურაა, საიდანაც მოდის ამ ეპოქის მწერლობის ძირითადი მოტივებიცა და მხატვრულ სახეთა მთელი სისტემა.

რელიგიური წარმოდგენით, ადამიანის უმთავრესი მოწოდება ამქვეყნად არის ის, რომ მუდმივად ესწრაფვოდეს ღვთაების მიმსგავსებას. სწორედ ამგვარი სწრაფვაა პიროვნების სრულქმნილების საფუძველი. ქრისტიანული მოძღვრება ასე ქადაგებს: ,,იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს'' **(მათ. 5,48).**

სახარების მიხედვით, უსასყიდლო მარგალიტი სიმბოლოა სასუფეველისა. ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს; როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია და იყიდის მას **(მათ. 13:45-46)**.

ქრისტიანული კოსმოლოგიით, სამყარო ვიდრე ღმერთამდე განფენილია იერარქიულად, „იაკობის კიბის“ მსგავსად, სადაც ყოველი ქვედა საფეხური ჰბაძავს ზედას და ასე სრულყოფს თავისთავს. ,,ყოველი იერარქიის მიზანია ღმერთს მიმსგავსებულ ღვთის სახოვნებასთან წინსწრაფულად შეერთება. ყოველი იერარქიული მოღვაწეობა გულისხმობს, ერთი მხრივ, წმიდა ზიარებას, მეორე მხრივ, შეურეველი სიწმიდის, ღვთიური ნათლისა და სრულმყოფელი მეცნიერების გადაცემას. უზემოესი იერარქიის არსებები უქვემოესთ ზეაიზიდავენ და ძალუმად მიიმსგავსებენ, რათა სრულ-ყონ. უქვემოესნი შეძლებისდაგვარად ემსგავსებიან მათ. (**წმ. დიონისე არეოპაგელი 1991: 223)** ეს არეოპაგიტული იდეა ქართულ აგიოგრაფიაშიც იკითხება. აქ ყურადღებას იქცევს ფაქტი, რომ მთავარ პერსონაჟს - წმინდანს მოწაფენი „ბაძავენ“, წმინდანი კი თავის მხრივ, ბაძავს მაცხოვარს. იქმნება პერსონაჟთა თავისებური იერარქია: „და ემსგავსებოდა მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღუარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა, რომელიცა იტყჳს: კმა არს მოწაფისა მის, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თვისი **(მათე 10,25)** /„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“/. **(ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 260)** ქრისტიანობა არის ბაძვა ღვთაებრივი ბუნებისა, აგიოგრაფიული თხზულების გმირი ემსგავსება ღმერთს, რამდენადაც ეს “დასატევნელია” კაცობრივი ბუნებისათვის. „განღმრთობა არს ღმრთისა მიმართი რაოდენ დასატევნელ არს მსგავსებაჲ და ერთობაჲ“ (**წმ.დიონისე არეოპაგელი 1991: 223).** საეკლესიო იერარქიაც „ბაძავს“ ზეციურ იერარქიას, „ბაძვა“ სრულყოფილების მოპოვების ერთ-ერთი გზაა. ქართულ აგიოგრაფიაში იგი ხშირად მოიხსენიება „საღმრთო შურად“ - რაც არის შეუნელებელი სწრაფვა ღმერთთან ერთობისათვის: 1. „წმიდამან და ნეტარმან ჰაბო, ვითარცა იხილა კაცთა მის ადგილისაჲთა გარდამეტებული ღმერთის მოყვარებაჲ და ლოცვა ყოვლისა მის ერისაჲ დაუცადებელი შური საღმრთოჲ აღიღო, რამეთუ მოიჴსენა მან სიტყუაჲ იგი წმიდისა მოციქულისაჲ, ვითარმედ: „კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისაჲ მარადის“ **(გალატ. 4, 18)** /„აბოს წამება“/; **(ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 66)** 2. „...სადიდებლად

წმიდათა მოწამეთა და აღსაბაძველად, რომელთა იგი შური საღმრთოჲ აქუნდეს“/„კონსტანტი კახის მარტვილობა“/; **(ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 115)** 3. „რაჲთა ხედვითა და სმენითა სათნოებათა მათთაჲთა შურად და ბაძვად ღირსებისა მათისა აღვიძრვოდით“ **(„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“); (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 107)** 4. „...ჰნატრიდეს გულს მოდგინებასა მისსა და ძალისაებრ ბაძვად მისსა აღიძრვიდეს``**(„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“) (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 118).**

ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის სულიერ მემკვიდრეებად და შთამომავლებად მიიჩნევიან, რაც ქართველ მეფეებს წარმოაჩენს სულიერი თვალსაზრისით. მათი უმთავრესი მისია იყო მთელი საქრისტიანო სამყაროს დაცვა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მათი წოდებაა „მესიის მახვილი“. საყურადღებოდ მიმაჩნია ნესტან სულავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ეს წოდება გულისხმობს ქრისტიანობის გავრცელებასაც და დაცვასაც. ტრადიციული მოსაზრებით ბაგრატიონთა სამეფო დინასტია მიჩნეულია იესიან-დავითიან-სოლომონიანად, ანუ ქართველი მეფეები ქრისტეს ჩამომავლები არიან, რაც სიმბოლურად აისახა მათ სამეფო გერბზე უფლის კვართის გამოსახვით, ვითარცა სიმბოლო ქვეყნის ერთიანობისა, ერთიანი ეკლესიის არსებობისა, ერთიანი ენის ფლობისა“ **(სულავა 2003: 59)**.

ივ. ჯავახიშვილი - პირველი ქართველი ისტორიკოსთა შორის - აყენებს იმ პრობლემას, რასაც თვით მან ბაგრატიონთა დინასტიის ღმრთისნებითობა უწოდა და რომლის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე საქართველოში პოლიტიკური აზროვნების განვითარების მრავალი საკვანძო საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ ტერმინს „ღმრთისნებითობა“ ამ გამოკვლევაში მხოლოდ ერთხელ ახსენებს - III თავის დასაწყის ფრაზაში: „ეს თვითმპყრობელობა და ღვთისნებითობა მეფეებისა და მთავრობის მომხრე დასის იდეალი და მისწრაფება იყო, ვიდრე სახელმწიფო ცხოვრების უტყუარი მოვლენა“, მაგრამ მანამდე, მეორე თავის სათაურში პარალელურად იყენებს ტერმინს „ღვთისმიერობა“: „საქართველოს მეფეების სახელმწიფოს იდეალი: თვითმპყრობელობა, მეფობის ღვთისმიერობა და ხელმწიფის გაღმერთება“, სადაც ღვთისმიერობა-ღვთისნებითობის თეორიის წარმოშობის მიზეზებს ასე განმარტავს: „ცხადია, რაც უფრო მეტად გაიზრდებოდა და გაფართოვდებოდა ქართველი მეფეების

საბრძანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქნებოდა მათთვის მეფობის უფლებისთვის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მოეპოვებინათ“. მეფობის უფლებისთვის ე.ი. კანონიერებისთვის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგის მოპოვებას ივ. ჯავახიშვილი უშუალოდ ზნეობრივ-სარწმუნოებრივ საკითხს უკავშირებს: „ქართველი მეფეები თავიანთი ძლიერებისა და უფლების დასამყარებლად აზნაურებს ებრძოდნენ ხოლმე, ამ გამწვავებულ ბრძოლის მოსაგებად მარტო მხარ-მკლავის ძალა არა კმაროდა. ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისთვის აუცილებლად საჭირო იყო ზნეობრივი ძალაც. რაში მდგომარეობდა მერე ეს ზნეობრივი ძალა? ბრძოლის გასაადვილებლად საჭირო იყო, რომ მეფობის უფლების არსებობის აუცილებლობა და სარწმუნოებრივი მნიშვნელობა დაესაბუთებინათ. ეს კი არც თუ ძალიან ძნელი საქმე იყო; ახალ აღთქმაში ამის შესახებ საუცხოვო წინადადება მოიპოვება, პავლე მოციქულის ეპისტოლეში სახელდობრ“. შემდეგ ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს მრავლისმეტყველი ეპიზოდი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან, რომელიც სამეფო ხელისუფლების ზნეობრივი ძალის მნიშვნელობის განმარტებას უკავშირდება: „აი, რა სიტყვებით დალოცა კლარჯეთის მონასტრის დიდმა არქიმანდრიტმა გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატის შვილები: „გაკურთხენ ყოველმან პირმან ქრისტესმან და ყოველთა წმიდათამან: რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყვა ესე: „სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმერთეებისაი“, რამეთუ თქუენ ხელმწიფენი უფალ გყვნა ღმერთმან ქვეყანისა განგებასა“. მკვლევარის მიერ ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებლად სასულიერო პირის, გრიგოლ ხანძთელის დალოცვის მნიშვნელობის აქცენტირება მისი კონკრეტული მნიშვნელობით პოლიტიკური თეოლოგიის სფეროს განეკუთვნება. კიდევ უფრო გახაზავს ამ დალოცვის მნიშვნელობას ივ. ჯავახიშვილის შემდეგი დასკვნა: „მაშასადამე, გრიგოლის აზრით, საცა მთავრობას პატივსა სცემდნენ, იქ სუფევდა ღვთის მსგავსება; თვით ზეციერმა მამამ გახადა ხელმწიფენი ქვეყნის გამგეებად; ამის გამო მეფეები უნდა ყოფილიყვნენ ხელმწიფენი „ნებითა ღვთისათა“; სწორედ ასეთ წინადადებას ხმარობდნენ ხოლმე [სხვა ქრისტიანე მეფეებივით] ქართველი მეფეებიც“ (**კარბელაშვილი 1999**: **1-30**).

უფლის მიერ ცხებული ბიბლიური მეფის, დავითის ჩამომავლის, აშოტ ბაგრატიონის მეფედ დალოცვის განსაკუთრებულ, უნიკალურ ფენომენს გიორგი მერჩულეს თხზულებაში ვხვდებით. ფაქტობრივად, ეს ბაგრატიონთა დინასტიის მეფედ

კურთხევაა. გრიგოლ ხანძთელის მიერ ჩამოყალიბებული ფორმულა ბაგრატიონთა დინასტიის ღმრთისნებითობისა და მარადიულობისა დაედო საფუძვლად ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვან მეფობას საქართველოში. ამ აზრით შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბაგრატიონთა საქართველოს მეფეებად ლეგიტიმაცია გრიგოლ ხანძთელის ავტორიტეტს ემყარება - სხვა საბუთი არ არსებობს. არსებითი აქ ისაა, რომ ტრადიცია, როგორც ლეგიტიმურობის სამთაგან ერთი წყარო, ქარიზმაზეა დამყარებული.

ზემოთ გრიგოლ ხანძთელისეული დალოცვის ბიბლიური საძირკველი ვახსენეთ, რომლის საფუძველზეც გამომუშავდა „...საკრალური ფორმულა ქართველ მეფეთა შთამომავლობის შესახებ დავით წინასწარმეტყველისაგან“ **(ინგოროყვა 1954: 84)**. ამ ღრმად ისტორიული დალოცვის შესახებ ყველაზე დეტალურად პავლე ინგოროყვა მსჯელობს. მისი დაკვირვება, რომ გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კუროპალატის შეხვედრა „ბიბლიურ ხაზებშია გაშლილი“ **(ინგოროყვა 1954: 84)**, მრავალმხრივ საყურადღებოა, რადგან მსგავსი ბიბლიური - ჭეშმარიტად ბიბლიური - ანტურაჟი სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაციისა ქრისტიანული ევროპისთვის, სრულიად უცნობია.

პავლე ინგოროყვა, მსჯელობს რა ამ ისტორიული მოვლენის შესახებ, რაც გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კუროპალატის შეხვედრას ეხება, საგანგებოდ უსვამს ხაზს აშოტის გრიგოლისეული დალოცვის ქვეტექსტს: „გიორგი მერჩულეს ამ შეხვედრის აღწერის დროს აშოტ I წარმოდგენილი ჰყავს, როგორც „მეფე ნებითა ღმრთისაითა“, დამოუკიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელი ხელმწიფე, რომლის უფლება მომდინარეობს მხოლოდ ღმრთაებისაგან; ავტორის წრმოდგენით ქართველთა მეფე, როგორც შთამომავალი დავით მეფე - წინასწარმეტყველისა, არის სწორი აღთქმული ქვეყნის მეფეებისა - „მეფეთა ისრაელისათა“, რომელნიც ბიბლიის თანახმად თვით უფლის მიერ იყვნენ მეფედ ცხებულნი“ **(ინგოროყვა 1954: 84)**.

ჩვენ წინაშეა ის ბიბლიური მოდელი, რომელიც „ნებითა ღმრთისაითა“ ქართველთა მეფის კანონიერების, ანუ ლეგიტიმურობის პრობლემას ეხება: პავლე ინგოროყვასეული ყოველი დებულება ასახავს ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის არსს.

რაც შეეხება გრიგოლ ხანძთელს, მის შესახებაც ასევე ბიბლიის თვალთახედვით მსჯელობს მკვლევარი: „ხოლო გრიგოლ ხანძთელი ავტორს წარმოდგენილი ჰყავს,

როგორც სულიერი მოძღვარი ერისა, მოსილი ისეთივე ავტორიტეტით, როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველნი“, და შემდეგ: „ამ შეხვედრის დროს აშოტ I ... მიმართავს გრიგოლ ხანძთელს, როგორც ახალ წინასწარმეტყველს“ **(ინგოროყვა 1954: 85)**.

სწორედ ესაა მთავარი! გრიგოლ ხანძთელი რომ არ იყოს მოსილი ბიბლიური, ოღონდ ახალი წინასწარმეტყველის ავტორიტეტით, ბაგრატიონთა სამეფო ლეგიტიმაცია არ შედგებოდა: ისევე, როგორც წინასწარმეტყველმა სამუელმა მეფედ დალოცა და სცხო ზეთი ბიბლიურ დავითს, ისევე როგორც ხანძთელმა დალოცა აშოტ ბაგრატიონი.

საქართველოს ტახტზე ბაგრატიონთა ქარიზმული დინასტიის დამკვიდრების ეს ბიბლიური პარადიგმა ჭეშმარიტად უნიკალურია, რადგან საქართველოში მეფობა ერთადერთ დინასტიას - ბაგრატიონებს დაუმკვიდრა ერთხელ და სამუდამოდ.

ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ გრიგოლ ხანძთელის სახით გადაწყვიტა, რომ გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, ბიბლიური დოქტრინა: „მეფის არჩევანი არის საქმე ღვთის განგებისა“ **(კეკელიძე 1956: 318)**, და რომ „საქართველოში სამეფოდ მოწოდებულნი არიან მხოლოდ ქართველთა ბაგრატიონები“ **(ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 1946: 317)**, ანუ, ბიბლიური პარადიგმით, მეფე-მეფსალმუნის გალობისებრ: „და-თუ-იმარხონ შვილთა შენთა შჯული ჩემი და წამებანი ჩემნი ესე, რომელ ვასწავლნე მათ, და ნაშობნი მათნი დასხდენ უკუნისამდე საყდართა შენთა“ **(ფსალმუნნი, 131, 12)**.

ქართველი ერის ქრისტიანულ არსზე დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ილია ჭავჭავაძე წერს: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზე როგორც კლდეზე, დაუდგით ქრისტიანობის საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლშვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვაწარმოეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შემოვინახეთ “… „ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმული ქრისტესათვის როგორ გადავრჩით… რამ გვიხსნა? რამ შეგვინახა?…“ და პასუხობს იგი, რომ ქართველები მართლმადიდებელმა ქრისტიანობამ, სარწმუნოებამ გადაგვარჩინა **(ჭავჭავაძე 1984: 74)**.

ასევე საინტერესოა დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას გამონათქვამი ქართველთა მართლმადიდებლური გამოხატვის თავისებურებათა შესახებ. იგი ამბობს, რომ ქართველები ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ ამავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ აშორებდნენ. კონსტანტინე გამსახურდიას ეს აზრი ეხმაურება წმინდა მამათა ნააზრევს იმის შესახებ, რომ წარმართობის სიღრმეში გაუცნობიერებელი ქრისტიანობა დევს. ქართველი ერის ქრისტიანობას ცხადყოფს არა მარტო ქართველ წმინდა მამათა ან ქართველ უდიდეს მოღვაწეთა გამონათქვამები, არამედ თვით ქართველი ერის საერთო ცნობიერებაც, მათი ცხოვრება, ერის სააქაო ისტორია. ამ აზრით ჩვენ ვიტყოდით, რომ ქართველთა ეს ცხოვრება ჭეშმარიტად მართლმადიდებლური ქრისტიანული არსის გახლდათ: ქართველი ერის საფუძველთა საფუძველია ქრისტიანულ ღირებულებათა პრიორიტეტი, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, რომლის კონკრეტულ შინაარსს ქართველი ერის ისტორია, ტრადიციები და კულტურა შეადგენს. ცხადია, ყველა ერს თავისი ფესვი, საფუძველი გააჩნია და ქართველი ერის ეს საფუძველი მართლმადიდებლური ქრისტიანობაა, რომელიც გასისხლხორცებულია ქართველთა ისტორიულ, ტრადიციულ, კულტურულ მოღვაწეობაში. ქართველი ერის მსოფლმხედველობა არის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური, რომლის ცენტრშიც დგას ქრისტე ღმერთი, სამების წევრი, ძე ღმერთი, რომელიც მამამ მოავლინა მიწაზე და უჩვენა კაცობრიობას გზა ჭეშმარიტი სამებისაკენ, უზენაესისაკენ. ქართველი ერის ეს თავისებურება უპირველეს ყოვლისა არის ქრისტეს უსაზღვრო სიყვარული, მასთან უშუალო კავშირი, მისთვის თავგანწირვა, რომლის გამოსახვის კონკრეტულ სახეებს ჩვენ აღვიქვამთ კულტურის სადა, ლაკონურ, ლამაზ სახეებში. ასეთი სისადავით და ლაკონურობითაა გამორჩეული ქრისტიანობიდან ამოზრდილი ქართული კულტურა (**აფრიდონიძე 2006: 20-25**).

XI-XII საუკუნეში საქართველომ ქრისტიანული სამყაროს უკიდურეს აღმოსავ-ლეთში მართლმადიდებლობის ურყევმა ფორპოსტმა და ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის პირდაპირმა მემკვიდრემ - გენიალური სიზუსტით გათვალა პოლიტიკურ კონცეფციათა ყველა ის ვარიანტი - აბსოლუტიზმით დაწყებული „მეფე-ფილოსოფოსის“ ანუ განათლებული აბსოლუტიზმის ჩათვლით და ისნის კარვისელთა იმ დროისათვის ფანტასტიკურად პროგრესული პარლამენტარიზმის პროექტით დამთავრებული -

რომელნიც ევროპის ხალხთა წინაშე მხოლოდ მომდევნო საუკუნეებმა დააყენეს, მაგრამ არა მხოლოდ გათვალა, არამედ დროის უაღრესად შემჭიდროებულ მონაკვეთში განვლო კიდეც (**კარბელაშვილი 1999**: **1-30**).

როგორც ცნობილია, თამარის ეპოქის საქართველო „ოქროს ხანის“ სახელით აღიბეჭდა შთამომავალთა მეხსიერებაში, რომელიც XII საუკუნის მიწურულის საქართველოშივე იშვა. ქვეყნის აღზევაბას თავი რომ დავანებოთ, აღნიშნული საუკუნე უპირველეს ყოვლისა, ქართული პოლიტიკური აზროვნების ოქროს საუკუნე იყო. ეს იყო რენესანსული სულისკვეთებით გამსჭვალული ქრისტიანული საზოგადოების მიერ დიადი დროის ეპოქალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად ღრმად ათვისებული და შეთვისებული ფილოსოფიური აზროვნება ისეთ სფეროში, როგორიც ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიაა, ის ფუძემდებლური მოძღვრება, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპის ისტორიულ-საზოგადოებრივ განვითარებას.

თამარის ეპოქაში ქართული პოლიტიკური თეოლოგიისა და ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის მკვეთრი სიახლოვე ცხადად აისახა თამარის ისტორიკოსთა და მეხოტბეთა თხზულებებში, ყველაზე თანამიმდევრული თეორიის სახე კი თამარის პირველი ისტორიკოსის ნაშრომში ჰპოვა.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ XII საუკუნის საქართველოს აქტუალური პოლიტიკური კონცეფციის ანარეკლია, მისი სიტყვა-მჭევრი ავტორი კი დიდოსტატია „სიტყვისა, ბრძნად ნაკაზმისა“: მის ლექსიკას ერთი ნიშანდობლივი თვისება აქვს - მეისტორიეს მიერ დაწერილი სიტყვა არის არა უბრალოდ სიტყვა მისი ცხადი, ცნობილი და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ლექსიკოლოგიური მნიშვნელობით, არამედ სიტყვა - იდეა, რომელსაც საკუთარი სემანტიკური ველი აქვს და ტერმინს წარმოადგენს, რომლის ისტორიული, პოლიტიკური, ფილოსოფიური თუ ესთეტიკური განმარტება შეუძლებელია, თუ არ განიმარტა თავად ის სააზროვნო სისტემა, რომელშიც იგი ჩართულია, როგორც მისი მიუცილებელი შემადგენელი ნაწილი; ეს სისტემა თავად ისტორიოგრაფის პოლიტიკური კონცეფციაა.

თამარის ისტორიის ამ კოდიფიცირებულ, ეპოქისთვის დამახასიათებელი კონვენციური ლექსიკით შეთხზულ ტექსტში, პირველ ყოვლისა, საგანგებო ყურადღებას იპყრობს კოსმოსის სრულყოფილების აღწერა „სულისა და გონების თანადართვითა“ და ის, რომ მეფე-ქალმა კოსმოსის ამ იდეალურ სრულყოფილებას „შეასახა“ ანუ მიამსგავსა

„სფერო მიწიერი“ - თავისი სამეფო. ამ სპეციფიკურმა ტერმინოლოგიამ გახსნა ტექსტის კოდი: კოსმოსისა და იდეალური სახელმწიფოს მსგავსების იდეა პლატონის პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძველთა საფუძველია, რადგან იდეალური სახელმწიფო იდეალური კოსმოსის ანარეკლი და ასახვაა **(კარბელაშვილი 1989: 7).**

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ისტორიოგრაფია კი არა, ისტორიის ფილოსოფიაა. იგი ამ თვალსაზრისით ჭეშმარიტი სისტემატიზატორია, რომელმაც მიზნად დაისახა კონკრეტული „ჟამი“ მარადისობასთან კავშირში გაეანალიზებინა: მას საქართველოს ისტორიული განვითარების საკუთარი დიალექტიკა აქვს შექმნილი და მისი კონცეფცია უნიკალურია მონარქიათა ისტორიოგრაფიაში. ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ავტორის ფილოსოფიურ აზროვნებას ახასიათებს ქრისტიანული პროვიდენციალიზმი; მისი აზრით, ყველაფერი, რაც ხდება, ზეგარდმოჩინებით ხდება“ **(კეკელიძე 1958: 266);** „თამარ მეფის ისტორიკოსი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანთა და სამეფოთა ცხოვრებაში ყველაფერი ღვთის წინასწარ განკარგულებაზეა დამოკიდებული“ **(ჯავახიშვილი 1929: 226).**

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორისთვის თამარის მეფობის კონკრეტულ დროში - როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის იდეალში - გააზრებულია მთელი მომავალი საქართველოსი: უსასრულო მარადიულობა იდეალური სახელმწიფოსი, ერთის მხრივ, ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფიის, მეორე მხრივ კი, სპეციფიკური ქართული პოლიტიკური თეოლოგიის ასპექტში. ორივე კონცეფციით ეს უსასრულო „ოქროს ხანაა“.

„აზმათა“ ავტორი პლატონური ეთიკურ-პოლიტიკური ფილოსოფიის კატეგორი-ებით აზროვნებს: მისთვის თანამედროვე ქართული სახელმწიფო ის იდეალური სახელმწიფოა, რომელიც პლატონის თხზულებაშია აღწერილი, და რადგან მისთვის ცნობილია, რა საფრთხე ელის ამგვარ სრულყოფილ სახელმწიფო წყობილებას „კაცთა დაუდგრომლობის“ გამო, მისთვის ნებისმიერი წინააღდგომა ამ იდეალური სახელმწიფოს იდეალური მეფის წინააღმდეგ - ბოროტებაა. კორნელი კეკელიძე წერს: თამარის „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი... „თავგამოდებული მომხრე და დამცველია თამარის პოლიტიკისა, მისთვის მიუღებელია როგორც დიდგვარიან მოხელეთა ვერაგობა, ისე ყუთლუ-არსლანის პარლამენტური ტენდენციები“ **(კეკელიძე 1958: 266)**.

შესაბამისი ეპიზოდის შემცველი მონაკვეთის მოთავსება უშუალოდ თამარის სახელმწიფოს იმ დახასიათების შემდგომ, რომ მეფე-ქალმა „...შვიდთა მათ სარტყელთა

ცისათა და მნათეთა სფეროსათა... შეასახა სფერო მიწიერი... გინათუ სიბრძნის-მპყრობელობითა, გინათუ უხუებითა და მომფენობითა მართალთა ზედა და ცოდვილთა ზედა...“, იდეალური სახელმწიფოს მთავარი პრინციპი - სამართლიანობაა, მაგრამ მას ემუქრება შინაგანი ხრწნა, რაც მის გაუარესებას და საბოლოო ჯამში ტირანიად გარდაქმნას გამოიწვევს. ამ პროცესის საჩვენებლად პლატონი თანამიმდევრობით აღწერს სახელმწიფოს ოთხ ფორმას: ტიმოკრატიას, ოლიგარქიას, დემოკრატიას და ტირანიას. ჩვენთვის ამჯერად საყურადღებო პირველი ორი ტიპია - ტიმოკრატია და ოლიგარქია: ტიმოკრატია პატივმოყვარეთა ბატონობაზე დამყარებული ხელისუფლებაა, ხოლო ოლიგარქია - სიმდიდრის მოხვეჭისადმი მიდრეკილ ადამიანთა მისწრაფებაზე დაეუფლონ სახელმწიფო მმართველობას **(კარბელაშვილი 2001: 118-132)**.

თამარის ისტორიკოსის კონცეფციით, ამ იდეალური სახელმწიფოს გადარჩენა განგებისმიერია, რადგან მეფე-ქალის შემწე თვით უფალია: „ვინათგან ჴელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამბრძოლი ექმნებოდა მბრძოლთა მათ მისათა, და მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუეთებოდა დამჴობად წინააღმდგომთა მისთა“ **(ქართლის ცხოვრება 1959: 31-32)**.

პლატონისეულ მეფე-ფილოსოფოსის იდეალს ცხადად ატყვია ქრისტიანული რელიგიით ნაკარნახევი ზნეობრივი ხასიათის უმნიშვნელოვანესი კორექტივი: თხზულებაში მეფე არა მხოლოდ ფილოსოფოსი, არამედ ღმრთის მოშიშიც უნდა იყოს, თანახმად ბიბლიური შეგონებისა: „სიბრძნის დასაბამ - შიში უფლისა“ **(იგავნი, 1,7; აგრეთვე: იობი: 28,28; II მეფეთა 23,3; ფს. 110,10; ეკლესიასტე 12,13)**. ამგვარი კორექტივი პლატონის ზემოთციტირებულ დებულებაში გასაგებია: ანტიკურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში პოლიტიკა და ეთიკა - განუყოფელი მთლიანობაა, ეთიკა პოლიტიკის დასაბამია, პოლიტიკურ მოძღვრებათა თეორიაში პოლიტიკა და მორალი ერთმანეთისგან პირველად ნიკოლო მაკიაველმა გათიშა, როდესაც თქვა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“ **(Де Санктис 1964: 16)**. პლატონისეული დებულების ქრისტიანულ ინტერპრეტაციაში კი ფილოსოფიური ეთიკის ადგილი ქრისტიანულმა ზნეობამ - „ღვთის შიშმა“ - დაიკავა. „რამეთუ არარაჲ სხუა დაიდვა თამარ გულსა თჳსსა, ვითარ დასაბამ იგი სიბრძნისა, შიში უფლისა და სამართალი და წყალობა სწორად ყოველთა ზედა“ **(ქართლის ცხოვრება 1959: 141)**.

„აზმათა“ ავტორთან არაერთხელ შევხვდებით თამარის იზოთეოსის („ღვთის სწორობის“) ამსახველ ტროპიკას: „მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ხელმწიფეთა შორის“ **(ქართლის ცხოვრება 1959: 2-3)**; „... აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“და სხვა **(კარბელაშვილი 1977: 96-100)**. ამ და მრავალ ამგვარ მეტაფორა-ეპითეტში ბაგრატიონთა იესიან-დავითიან-სოლომონიანი დინასტიის „ერთუფლება-ერთმთავრობის“ პროვიდენციალური მისიის რწმენაა გამოხატული: მისი საბოლოო მიზანი და შედეგი მარადიული, სამართლიანი და ბედნიერი სამეფოს ბიბლიური იდეალია, დახატული ესაიას წინასწარმეტყველების მეთერთმეტე თავში.

მმართველის ღვთისსწორების იდეა კარგად ჩანს იოანე მინჩხის საგალობელში „ესენებაჲ ღმრთივ-გჳრგჳნოსანისა მეფისა თევდოსი მორწმუნისა სასაწაულითა მოქმედისაჲ“

იოანე მინჩხი ამ ჰიმნში ქმნის ქრისტიანი მეფის იმ იდეალს, პარადიგმას, რომლის მიბაძვასაც უნდა ცდილობდეს რეალურად არსებული ყოველი მეფე: **„...ღმრთისმსახურო და მის მიერ პატივცემულო დიდო მეფეო თევდოსი ღმერთშემოსილო! ... სახე ექმენ შემდგომთა მათ მეფეთა და რომელნი გემსგავსნეს, იშუებენ ედემს შინა შენ თანა!“ (მინჩხი 1946: 331).**

მეფე - საკრალური პიროვნება. „ყოველნი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ხელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ **(რომ, 13,1)** - პავლეს ეპისტოლეს ეს მუხლი არის ის „ქვა საკიდურ“, რომელსაც მონარქია ემყარება. სამეფო ხელისუფლების საკრალურობის იდეა სახარებისეულ მოძღვრებას ეფუძნება, რომლის თანახმად ყოველი ხელმწიფება ღმრთისმიერია: მეფის ხელისუფლება განიხილება, როგორც ღვთაებრივი ნების განხორციელება. იოანე მინჩხის ჰიმნში ეს ფუძემდებლური იდეა შესანიშნავი მხატვრულობით არის განხორციელებული

მინჩხის ჰიმნის უნივერსალური ხასიათი იდეალური მეფის კონცეფციის შემუშავებაა, რითაც თევდოსისადმი მიძღვნილი ჰიმნი ფართო რეზონასს იძენს: მხოლოდ მორალურად სრულყოფილი პიროვნება შეიძლება იყოს ხელისუფალი, იგი ყველა ქრისტიანულ სათნოებას უნდა ფლობდეს.

მეფე, მსგავსად მაცხოვრისა, თავის ქვეშევრდომთათვის უნდა იყოს „მწყემსი კეთილი“ (აღსანიშნავია: მეფე, როგორც „მამა“ ქვეშევრდომთა, მინჩხთან არ გვხვდება). ეს თემა მინჩხის ჰიმნში არაერთხელ მეორდება: „ქრისტემან, ღირსო თევდოსი,/მოგცა მწყემსად სამწყსოთა/თჳსთა“ (26; ასევე 3), რასაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს: იქ, სადაც ხელმწიფებს „მწყემსი კეთილი“, მისი „სამწყსოც“;, ე.ი. ქვეშევდრომნი, ბედნიერნი არიან: „სადა არს მწყესი კეთილი,/მუნ მხიარულ არნ სამწყსოჲ იგი“ (26). ეს ნიშნავს, რომ „მწყემსი კეთილი“ საყოველთაო სიკეთის საწინდარია,იგი პატრონობს უფლის მიერ ჩაბარებულ ერს, ასპეტაკებს ზნეობრივად და კვლავ უფალს უძღვნის: „მწყემსო კეთილო,/საღმრთოთა სამწყსოთაო,/ღირსო მეფეო, შენ ემსგავსე მნესა მას გონიერსა,/და მიიღე ტალანტი უფლისა შენისაჲ!/და განამრავლე იგი/და მიუძღვანე/მრავალწილად/ მომნიჭებელსა!“ (36). ქვეტექსტში იკითხება: იქ, სადაც მეფე ზნეობრივია, ქვეშევრდომნიც ზნეობრივნი არიან, ანუ: ერის ზნეობრიობის საწინდარი პიროვნულად ზნეობრივი მეფეა და ერის ზნეობრიობა მეფის უპირველესი საზრუნავია.

მეფის ერთ-ერთი მახასიათებელი სათნოებაა, ღვთის წინაშე კრძალულობა, სიმართლე, სიწმინდე: „მარადის იქცეოდენ კრძალულად,/სიმართლით და სიმდაბ-ლით;/და სიწმიდით წინაშე ღმრთისა,/რამეთუ ჰხედვენ უჩინოთა/და ცხადთა საქმეთა/თუალნი მისნი, დაფარულნი მხედველნი“ (11).

მეფისთვის წაყენებული ერთ-ერთი მოთხოვნა მისი სამართლიანობაა: „ვითარცა ეკლესიასტჱ იყავ შენ სიბრძნითა სავსჱ,/მართლ-განგებით მსაჯული,/ობოლთა მწყალობელი,/შემწე დაწუნებულთაჲ/და მსაჯული ქურივთაჲ!“ (27).

ჰიმნოგრაფი წმინდანად შერაცხული მეფის უაღრესად შთამბეჭდავი სახის შექმნით საქართველოს მეფეს - ჰიმნოგრაფის თანამედროვესა თუ მომავალს - ხელისუფლის ამ იდეალს სთავაზობს, როგორც მისაბაძ ნიმუშს.

აღორძინების ხანის საქართველოს და ქართველ მეფეთა თავგადასავალი დაწვრილებით აქვს აღწერილი უცნობ ქართველ ავტორს, რომელსაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია პირობითად ჟამთააღმწერელს უწოდებს. თხზულება შეტანილია “ქართლის ცხოვრების” კრებულში, სადაც ის იწყება ლაშა გიორგის მეფობით და მთავრდება გიორგი V ბრწყინვალის გამეფების აღწერით.

თხზულების პირველ ნაწილში ავტორი მხოლოდ შემთხვევით და აქა და იქ, თითო-თითო წინადადების სახით მოიხსენებს მეორე ნაწილიდან ზოგიერთ ფაქტს, საიდანაც კარგად ჩანს, რომ "ეს ხანა მას უმწვერვალეს და სამაგალითო ხანად მიაჩნია", რადგან, მისი აზრით, ამ დროს გათავისუფლდა საქართველო მონღოლთა უღლისაგან, გასწორდა მონღოლთა დროინდელი ყველა უწესობანი და სხვ. ყველაფერი ეს კი, მისი წარმოდგენით, გიორგი ბრწყინვალის სახელს უკავშირდება, მისი იდეალიც გიორგია, რომელმაც საქართველოს დაუბრუნა თამარ მეფის დროინდელი ძლიერება. ავტორი მხოლოდ გიორგის მიმართ ხმარობს მაღალ ეპითეტებს: "უძლეველი", "დიდი", "სახელგანთქმული", "უმჯობესი ყოველთა", "ბრწყინვალე" და სხვა. **(საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973:11)**.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ნაშრომის ამ მეორე ნაწილში ავტორის თხრობა აღფრთოვანებული და კმაყოფილებით გამსჭვალული იყო.

მართალია მის დროს მტერი სძლიეს და იგი აღფრფოვანებითაც შეჰხარის გიორგი V-ის სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, მაგრამ ხანგრძლივი ძნელბედობის შედეგი მრავლადაა: მეფეები უღირსნი გამხდარან, მთავრები - მოღალატეები, უპიროები, თვით სამღვდელონიც კი - "ბილწის მოქმედნი". აღწერილ ამბებს ავტორი უპირისპირებს წინარე ხანას, როცა ქართველთა ნათესავი "სვე- სვიანი" იყო, როცა ქვეყანას "მეფეთა შორის ბრწყინვალე თამარი" განაგებდა, როცა "ყველა წინააღმდგომი" "მეფის მორჩილი" იყო და სხვ. **(საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973:11)**

საქართველოს მოოხრების პირველ მიზეზებს ჟამთააღმწერელი ხედავს თვით საქართველოს ცხოვრებაში. იგი აღწერს რუსუდანისა და ლაშას დროს სამეფო კარსა და ხალხს, მისი თვალსაზრისით, უდარდელ, მიშვებულ ყოფას და ასკვნის: "რამეთუ განძღეს და იშუებდეს და უწესობად მიდრკეს... ამისათვის აღმოცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოოხრებისანი".

მკითხველს რომ გაუთვალისწინოს ისტორიის გაკვეთილი, ავტორი ვრცლად აგვიწერს გავრცელებულ "უწესობებს", "შურს", "უსამართლობას". სწორედ ჟამთა-აღმწერლის თხზულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი "ბოროტის მოქმედთა" საქმეების გამომზეურებას. **(საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973:11)**

ჟამთააღმწერლის ისტორია არის წარსულისა და აწმყოს თავისებურად კრიტიკული შეფასება.

არა მარტო წარსულში, არამედ ახლაც გვხიბლავს და გვიტაცებს ბრძოლისა და სამშობლოს სიყვარულის ის მაღალი იდეალი, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ კახეთის დედოფალი ქეთევანი, ვახტანგ V, თეიმურაზ პირველი და სხვები.

მეფე-პოეტმა თეიმურაზმა პოემაში ,,წამება ქეთევან დედოფლისა'' ქეთევანი სრულყოფილი სახით წარმოადგინა, იგი არ ივიწყებს საყვარელი გმირის არც ერთ დადებით მხარეს.

გარეგანი სილამაზით ქეთევანი უებრო ქალია, თეიმურაზი მას ადარებს მარგალიტს, ბროლ-ფიქალსა და ძვირფასს:

,,ვით მარგალიტი უსახო და უსასყიდლო თვალია,

ადრითგან ქებით შემკული, ნათქვამი ბროლ ფიქალითა,

მისთანა არვინ შობილა არცა ყმა, არცა ქალია". (**თეიმურაზ პირველი: 1934:8**)

დედოფლის ფიზიკურ სილამაზეს მეტ ლაზათსა და შნოს ანიჭებდა თურმე მისი ახოვანება და ტანადობა; პოეტი შენიშნავს:

,,კვიპაროზისგან უმაღლე თავს ხედავს ამა ყოფითა".(13)

ქეთევანი უპირველეს ყოვლისა, უაღრესად გულისხმიერი და მზრუნველი დედაა, როცა ძვირფასი მძევლები აბასმა განჯიდან შირაზს გაგზავნა, ქეთევანი ხუთი წლის განმავლობაში დედობრივი სიყვარულით ზრდიდა მცირეწლოვან ტყვეებს, თავის შვილიშვილებს - ლევანსა და ალექსანდრეს. ქეთევანისთვის თავზარდამცემი ამბავი იყო როცა ბავშვები შირაზიდან შაჰის კარზე გაიწვიეს. პოემის რამდენიმე სტროფში განსაკუთრებული სიძლიერითა და დამაჯერებლობით არის გადმოცემული დედოფლის სევდა, უსაზღვრო მწუხარება და ვაება. ,,პირსა ხოკით, ღაწვთა გლეჯით" ქეთევანი წინასწარ იგლოვს სასიკვდილოდ განწირულ ბავშვებს და გულისამაჩუყებელი მოთქმით გაიძახის:

,,ვა ალექსანდრეს გაყრილსა, ვერ მჭვრეტსა ლევანისასა".(21)

ათი წლის პატიმრობის შემდეგ შაჰ-აბასის დავალებით ქეთევანს წინადადება მისცეს, უარეყო მამაპაპეული სარწმუნოება და მიეღო მაჰმადიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მძიმე სასჯელით ემუქრებოდნენ. სიტყვიერ მუქარას არ დასჯერდნენ მტარვალები; ქეთევანის დამორჩილებისა და დაძლევის მიზნით ,,მოიღეს ქალფათინები, შამფურები და ბარები". შემდეგ ,,ცეცხლი დააგზნეს, ჩაყარეს რკინანი" და დედოფალი უკანასკნელად გააფრთხილე

,,უთხრეს,თუ: ,,რჯულზედ მოიქეც, დააგდე იგი წინანი,

თვარე სასჯელი ეს არი, რა ნახო შენცა ინანი".(50)

ქეთევანი საბედისწერო არჩევანის წინაშე დადგა, ან მაჰმადიანობა უნდა მიეღო და სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ან დაღუპულიყო და სამშობლოსა და რჯულის უსაზღვრო სიყვარული საფლავში ჩაეტანა. კეთილშობილ ქართველ ქალს განსაცვიფრებელი შეუპოვრობა და ვაჟკაცური ნებისყოფა გამოუჩენია, მტკიცედ გადაუწყვეტია თავისი სიცოცხლე მსხვერპლად მიეტანა თავისი ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის საქმისთვის.პოეტს განსაკუთრებული სიზუსტით აქვს აღწერილი წამების ყოველი დეტალი, რომელიც მკითხველში საშინელ გრძნობებს იწვევს:

,,მერმე გაუბეს ხელ-ფეხი, გაძაბეს განა მაჯებუ,

გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე საჯები,

ბარები შუბლსა შემოსდევს, ყველა ქნეს მათი აჯები.

მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურვებულნი რკინანი".(66)

როცა ვკითხულობთ ქეთევანის ტანჯვა-წამების ამსახველ სტროფებს, განსაკუთრებული სიმპათიითა და პატივისცემის გრძნობით ვიმსჭვალებით სახელოვანი გმირი ქალის მიმართ, რომელმაც თავი გასწირა, მაგრამ არ უღალატა თავის ერს, ქართველობას, მამაპაპეულ რჯულს. პირიქით, ის წამების წინ პატრიოტული სულისკვეთებით გამთბარ სიტყვებს წარმოსთქვამს; მძიმე წუთებშიც თვალწინ შვილი და მშობლიური ქვეყანა უდგას და მხურვალედ შესთხოვს უფალს:

,,სასწაული მოავლინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა,

შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა".(46)

თეიმურაზი მეტად მწარედ განიცდის საყვარელი დედის წამებით სიკვდილს. დიდ სინანულს გამოთქვამს, რომ ვერ გაიზიარა მშობლის მძიმე ხვედრი და ვერ უშველა მრავალტანჯულ დედას. თეიმურაზის პოემის მიხედვით, დედოფალმა წამების წინ ლოცვა აღავლინა ღვთისადმი. უფალს, ,,უცნაურსა და უხილავს", ძლიერს და სასწაულების შემოქმედს, სამებას ერთარსსა და თანაარსს თავისი სამშობლო შეავედრა, სთხოვა სასწაული მოუვლინოს საქრისტიანოს, მის შვილს, დედის ღვაწლთა აღმწერელს მტერზე გაამარჯვებინოს.(ქიქოძე: 1964:34-35)

მეფე ვახტანგ მეხუთის(შაჰნავაზი) სახე კარგად არის წარმოჩენილი XVII საუკუნის მოღვაწე ფეშანგის ,,შაჰნავაზიანიში". თხზულებაში, რომელიც სახოტბო პოეზიის

ელფერის მატარებელია, 1658-1664 წლების უმნიშვნელოვანესი ფაქტები საკმაო სისწორითაა გადმოცემული" (**კეკელიძე:1958:506**) ამდენად ის საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის წარსულის ერთი მონაკვეთის ისტორიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად.

მართალია, თხზულება ვახტანგ მეხუთის ხოტბას წარმოადგენს და სავსეა ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი ჰიპერბოლიზმითა და ქება-დიდებით, მაგრამ დაკვირვებულ მკითხველს მაინც შეუძლია წარმოიდგინოს ვახტანგ მეხუთის დამსახურება მშობლიური ქვეყნის წინაშე. შეიძლება არ ვირწმუნოთ პოეტის ავტორის ის სიტყვები, რომლითაც იგი ვახტანგის გარეგნობას ამკობს, მაგრამ არ შეიძლება პოეტს არ დავუჯეროთ, როცა ამბობს:

,,თვით მინახავს პატრონისა ძალი, სიმხნე, ჯომარდობა.

მტერი ყოლგნით დაიმონა, მათ მიეცა ლახვარ სობა" (ქიქოძე: 1964:50)

როგორც ცნობილია, ვახტანგს იმ დროს მოუხდა მოღვაწეობა, როცა აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნები ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად, მაგრამ ვახტანგმა თავისი მოქნილი დიპლომატიური საქმიანობითა და პოლიტიკური გამჭრიახობით შეძლო მოეგო საქართველოს დაუძინებელი მტრის-სპარსეთის შაჰის გული. მართალია, შაჰის ყურადღების დამსახურებისათვის მან ფორმალურად მაჰმადიანური სარწმუნოება მიიღო და სახელი შეიცვალა, მაგრამ იმდროინდელი ძნელბედობის პირობებში ვახტანგის მიერ გადადგმული, ეროვნული თვალსაზრისით საჩოთირო ნაბიჯი გამართლებული იყო, ვინაიდან ქართლის ტახტი ისევ ქართველ მეფეს რჩებოდა. ამ ისტორიული ფაქტის შესახებ ფეშანგი ამბობს:

,,სახელი გამოუცვალა, უხმო შაჰნავაზ მეფობით,

მისცა ყოველი გაგება, უთხრა თუ: ,,ყავ იეფობით"

გამართე ლხინი უკლებლად, მორჭმული იჯდეს სეფობით,

იკარ ბუკსა და ტაბლაკსა, ქარან მალიად მყეფობით".(106)

,,გამეფების შემდეგ შაჰნავაზმა ისარგებლა საგარეო ურთიერთობის გაუმჯობესებით და გადაწყვიტა, პირველ რიგში ქვეყანაში წესრიგი და მშვიდობა დაემყარებინა. მან განიზრახა საქართველოს სათავადოებისა და სამეფოების შემომტკიცება. როგორც თვითონ ამბობს, მისი უპირველესი მიზანი იყო:,,ქვეყანას მივსცე მშვიდობა, სხვა საქმე გარდავლილია". (**საქ.ისტორია:1958:305**).

შაჰნავაზმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერისათვის აუცილებელი იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება. ამ პროგრესული მიზნის მისაღწევად მან ილაშქრა დასავლეთ საქართველოში, სძლია იქაურ მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგობა და იმერეთის ტახტზე 1661 წელს თავისი შვილი-არჩილი გაამეფა, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა საქართველოს ორი ნაწილის შეერთებას. არჩილის იმერეთში გამეფების მიზანი კარგად ჩანს მარიამ დედოფლის მიერ შაჰნავაზისადმი მიწერილი წერილიდან, სადაც ნათქვამია:

,,შვილი გახლავს არჩილ მეფეთ, იმერელთა მიაბარე,

ტახტი მიეც სახელმწიფო, დააშვენოს ყოვლიარე,

საქართველო გააერთე, ვინ მამაცობ ვითა მთვარე,

ერთგულთ მიეც გახარება, ურჩნი ყველა გაამწარე".(535)

ქვეყანაში ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის ის არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ფეოდალური შუღლის, მტრობისა და წინააღმდეგობათა დათრგუნვა-ლიკვიდაციას. ამ მხრივ საყურადღებოა შაჰნავაზის დაუცხრომელი ბრძოლა ვამეყ დადიანსა და ერეკლე პირველთან. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ცენტრალური სამეფო ხელლისუფლებისა და იბრძოდნენ საქართველოს სამთავროებად დანაწილებისათვის. ვამეყის ღალატით აღშფოთებული შაჰნავაზი მზად არის, სამაგიერო მიუზღოს მოღალატეს და გაბრაზებული წამოიძახებს: ,,ვამეყსა მოვჰკლავ, გარდახდეს, რეგნულად მისგან ქმნილობა". შაჰნავაზი ახერხებს დასავლეთ საქართ-ველოს თავგასულ მთავართა დამორჩილებას და მეფური სიდიადით აცხადებს:

,,მაქვს საქართველოს უფლება, მგზავსებით კეისარისა,

მაქებენ ჩემნი მნახველნი ნაქმარსა ჩემის მკლავისა".(528)

ფეშანგის მიხედვით, შაჰნავაზისა და არჩილის ხანმოკლე მმართველობა იმერეთში არ ყოფილა უშედეგო. მათ მტკიცედ მოუკიდიათ ხელი ქვეყნის აღორძინებისათვის. ,,გაოხრებული ქვეყანა შექმნა ყოველგნით საშენადო"- შენიშნავს პოეტი. შაჰნავაზისა არ ინდობს ორგულ და მოღალატე ღვთისმსახურთა წარმომადგენლობას. მან კარგად იცის რაოდენ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას არამარტო თავგასულ თავად-აზნაურთა საქმიანობამ, არამედ სასულიერო წოდების უმაღლესი თანამდებობის პირთა ინტრიგებმა.

მსხვილ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლამ, ქვეყნის ნაწილების გაერთიანებისა და შემომტკიცებისათვის ზრუნვამ უშედეგოდ არ ჩაიარა, შაჰნავაზმა დროებით მაინც შეძლო საქართველოს გაერთიანება, რაც ისტორიულად ცნობილი ფაქტია და რომელსაც ფეშანგი უყურადღებოდ არ ტოვებს; ის აღნიშნავს:

,,დაიპყრა ყოვლი ქვეყანა ამა ხელმწიფემ მკლავითა;

დაიმორჩილა მეფენი მარტო თავისა თავითა".(1044)

როგორც ჩანს, ფეშანგის ვახტანგ V წარმოდგენილი ჰყავს როგორც გამჭრიახი და კარგი მმართველი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ის ხომ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა: ,,ქვეყანას მივსცე მშვიდობა სხვა საქმე გარდავლილია"-ო, ეს მეფის მთავარი ამოცანაა, რასაც ვახტანგი იცავდა კიდეც.

მმართველის - თეიმურაზ პირველის სახეს განიხილავს XVII საუკუნის მოღვაწე იოსებ თბილელი თავის პოემა ,,დიდმოურავიანში". ავტორი ერთი მხრივ ამკობს მას თვით დიდი მოურავის-გიორგი სააკაძის სიტყვებით, რომლის აზრით, თეიმურაზი იყო ,,მამაცი და ბრძენი", რომლის ბრძანება მისთვის გარდაუვალი კანონი იყო, ის აცხადებს:

,,მიველ, მეფის სიკეთისა ვერ ვარ თავის მე ამსვლელი;

რაც მიბრძანის, იმას ვჰყოფდი, ვინ არს მცნების გარდამსვლელი?"**(ალ. ბარამიძე:243)**

გიორგი სააკაძე, ეს შეუდარებელი სარდალი და რაინდი, თეიმურაზს თავისთავზე მაღლა აყენებს და ქედს იხრის მისი ვაჟკაცობის წინაშე:

,,სხვას კაცს კი არ შევიდარებ, თქვენი არა ვარ ნარცხია",

ტყუილს არ ვიტყვი, თქვენებრივ ვერ ვისი ვნახე ბრძოლება"- მიმართავს ის თეიმურაზს. **(ქიქოძე: 1964:148)**

მეორე მხრივ, ავტორი თეიმურაზს წარმოაჩენს ამაყ და შურიან პიროვნებად. ,,გიორგი სააკაძის რწმენით, უთანხმოება კიდევ უფრო გააძლიერა თეიმურაზ პირველის სიამაყემ, გადაჭარბებულმა პატივმოყვარეობამ და შურიანობამ, რაც მას სამწუხაროდ ახასითებდა. თეიმურაზის ასეთი განწყობილების შესახებ გ.სააკაძე აცხადებს:

,,მეფემან პირად არ ბრძანა, გულშიგან შექნა წყენანი:

როდესაც არის, იქნების ამის სისხლისა დენანი;

მე-მეფე, ამას-სახელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,

ქართველთა ასრე დახვევა, ზოგთ ზავთით შესაშენანი".

თეიმურაზ მეფის სახეზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ ნაშრომის მე-4 თავში.

ქრისტიანობას უდიდესი როლი აქვს შესრულებული ქართველი ხალხის ისტორიაში. ქრისტიანული სულისკვეთებით არის შექმნილი არა მარტო აგიოგრაფიული ლიტერატურა, ეს რწმენა და მასთან დაკავშირებული ზნეობრივი მრწამსი ამოძრავებს საერო ლიტერატურის არაერთი ნაწარმოების გმირებს.

არჩილის შემოქმედების ცალკეული შტრიხების ზემოთ მოყვანილი ანალიზი ბიბლიის ფონზე ნათლად გვიჩვენებს იმ თეოლოგიურ-იდეოლოგიური დასაბუთების მკაცრ ლოგიკურობას, რომელიც საფუძვლად დაედო მეფე-პოეტის შემოქმედებას და საკუთარი, განსაკუთრებული გეზით წარმართა იგი.

თავი II - არჩილის ცხოვრება და მისი შემოქმედების ძირითადი თემატიკა

XVII საუკუნე საინტერესო მონაკვეთია ქართული მწერლობის იმ პერიოდისა, რომელსაც „აღორძინების ხანას“ უწოდებენ და XVI-XVIII საუკუნეებს აერთიანებს. ცხადია, ამ პერიოდის მწერლობას კლასიკური პერიოდის ლიტერატურასთან მიმართებაში ვერ მივიჩნევთ აღორძინებად, მაგრამ თუ გავიხსენებთ წინარე ხანას, განადგურების, დაქვეითებისა და სტაგნაციის სამ საუკუნეს, აღორძინებაზე საუბარი გამართლებული იქნება.

წინა პერიოდთან შედარებით, ე.წ. აღორძინების ხანამ გააფართოვა და გაამრავალფეროვნა ქართული ლიტერატურა როგორც შინაარსობრივი, ისე ჟანრობრივი თვალსაზრისით, რამაც დასაბამი მისცა არაერთ სიახლეს ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში. ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს კონკრეტულად ამ ასპექტების მიმოხილვა. მხოლოდ იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს ვაფიქსირებთ, რომ „XV-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობისათვის ნიშანდობლივია სოციალური და ნაციონალური თემატიკის დიდი ხვედრითი წონა. საპატიო ადგილს იკავებს საისტორიო პოემა, თავის პოზიციებს ინარჩუნებს საგმირო-საფალავნო ეპოსი, დიდ განვითარებას აღწევს დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ლიტერატურა, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა იგავ-არაკულმა ჟანრმა. გამახვილდა ყურადღება ეთიკისა და ზნეობის საკითხებზე (**ქართული ლიტერატურის ისტორია 1966:100**).

XVI-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობას ერთი მთავარი ტენდენცია გასდევს - ეს არის ლექსის უპრატესობის აღიარება პროზასთან მიმართებაში. ამ მხრივ საყურადღებოა მარტო ის, რომ ნაციონალური შინაარსის მქონე ისტორიული თხზულებანი, რომელთაც პროზაული ფორმა უფრო შეეფერებოდა, ლექსად იწერება და საისტორიო პოემებად ფორმდება (**დოიაშვილი 2002: 25**).

აღორძინების ხანის ერთ-ერთი მახასიათებელი მეფე-პოეტთა სიუხვეც გახლავთ, რომელთა შორის არჩილი გამორჩეული ფიგურაა. იგი აქტიური მონაწილეა ეროვნული ლიტერატურის განახლების პროცესისა, რასაც ადგილი XVII-XVIII საუკუნეებში ჰქონდა. „მართლის თქმის“ პრინციპის შემომტანი და თანამიმდევრული დამცველი, ნაციონალური თემატიკის დამამკვიდრებელი, ნოვატორი იდეებისა და შინაარსის სფეროში - აი, როგორ შეიძლება დახასიათდეს მოკლედ არჩილის ლიტერატურული

მოღვაწეობა **(დოიაშვილი 2002: 30).**

მეფე-პოეტი დაიბადა 1647 წელს. იგი იყო ქართლის მეფის ვახტანგ V „შაჰ-ნავაზად“ წოდებულის და მისი პირველი მეუღლის ყაფლან ბარათაშვილის ასულის – როდამის (სულხან-საბა ორბელიანის მამიდის) უფროსი ვაჟი. მათ არჩილის გარდა ჰყავდათ ხუთი ვაჟი: გიორგი, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი, სოლომონი და ორი ქალი: ანუკა (შაჰ-აბას II-ის ცოლი) და თამარი (გივი ამილახვრის ცოლი) **(კეკელიძე 1952: 462)**.

არჩილს იმ დროისათვის საუკეთესო განათლება მიუღია, როგორც სასულიერო, ისე საერო. ამას მისი თხზულებანიც მოწმობს. არჩილი, ასევე გამოირჩეოდა ფიზიკური მოხდენილობითაც. თოთხმეტი წლისა იყო არჩილი, როცა იმერეთის სამეფო ტახტზე ავიდა. იგი ცოლად ირთავდა ვამეყ დადიანის ასულს, რომელიც მამამ გავლენიან ფეოდალს – ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა. ამ ფაქტმა ბრძოლაც კი გამოიწვია **(კეკელიძე 1952: 462)**.

არჩილის აღზრდაში გარკვეული წვლილი მიუძღვის მის უფროს თანამედროვეს-იოსებ სააკაძეს, მან არჩილს შეასწავლა ქრისტიანული ლიტერატურა. ერთ-ერთ ძველ ხელნაწერზე არჩილის ხელითაა წარწერა: „იოსებ მასწავლა წმინდა და საკვირველებითა სავეს წიგნი ესე სახელით ოდენ მეფესა არჩილსო“ **(კეკელიძე 1952: 464)**.

1663 წელს არჩილმა იძულებით დატოვა მეფობა და სპარსეთს წავიდა, სადაც შაჰმა სარწმუნოება შეაცვლევინა და უწოდა „შაჰ ნაზარ-ხანი“. 1664 წელს კი სამშობლოში დაბრუნდა, როგორც კახეთის მეფე და თორმეტი წელი მეფობდა. 1667 წელს არჩილმა ცოლად შეირთო იმერთა მეფის, ბაგრატ ბრმის, ნაცოლარი, თეიმურაზ II-ის შვილის, დავითის ასული – ქეთევანი, რომელიც მამიდა დარეჯანმა ჯერ იმერეთში გაათხოვა ბაგრატზე, შემდეგ კი ოსმალეთში გაუშვა მძევლად, შარდენის (ფრანგი მოგზაური) ცნობით, ადრევე თავდავიწყებით უყვარდა არჩილს იგი.

არჩილის ერთადერთი სურვილი იყო იმერეთის სამეფოს დაბრუნება, ამ მიზნით 1675 წელს კახეთის სამეფო ტახტი დატოვა და ოსმალთა დახმარებით 1678 წელს იმერეთის სამეფო ტახტს დაუბრუნდა, თუმცა 1679 წელს კვლავ იძულებული შეიქნა მეფობა დაეტოვებინა, მან ცოლ-შვილი დვალეთს გააგზავნა, თვითონ კი რვა თვე ჩხერს იმყოფებოდა, 1681 წელს კი გადავიდა დვალეთს, 1682 წელს ჩავიდა ასტრახანში და ელოდა რუსეთის სამეფო კარზე მიღების ნებართვას, თუმცა ეს ნებართვა 1685 წლამდე ვერ მიიღო და მაშინვე მოსკოვს მიაშურა. მას სურდა რუსეთის სამეფო კართან

დაემყარებინა თბილი ურთიერთობა და პოლიტიკური დახმარება მიეღო. მართლაც მიიღო ფინანსური დახმარება და 1688 წელს გამოეშურა სამშობლოსკენ იმ იმედით, რომ მამულს დაიბრუნებდა, მაგრამ მისი ოცნება განუხორციელებელი დარჩა. მართალია 1660 წელს იმერეთის სამეფო დაიბრუნა, მაგრამ მხოლოდ ერთი წლით. ამის მერე იმედგაცრუებულმა არჩილმა კვლავ მოსკოვს მიაშურა, საიდანაც ის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. დასახლდა მოსკოვის მახლობლად სოფელ ვსესვიატსკოეში (სესენწკა, სვენცკა) და ხელი მიჰყო კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას, მან საფუძველი ჩაუყარა მოსკოვში ქართულ სტამბას, სადაც 1705 წელს დაიბეჭდა „დავითნი“. არჩილი ასევე გულმოდგინედ მუშაობდა, რომ ქართულ ენაზე ბიბლია გამოეცა, ამისთვის მან შეაგროვა სხვადასხვა ნუსხები, შეუდარა სლავურ ტექსტს, ის რაც ქართულ ტექსტში არ იყო (ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები) თარგმნა და 1742 წელს ქართულად გამოსცა ბიბლია.

არჩილის ოჯახი ცხოვრობდა მოსკოვში, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათი სასახლე ხანძარმა გაანადგურა, ისინი გადასახლდნენ მილოსლავსკების საგვარეულო მამულში, სესენწკაში, რომელიც იქცა ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერად. სხვადასხვა დროს იქ ცხოვრობდნენ ქართველი მოღვაწენი: სულხან-საბა ორბელიანი, გიორგი ავალიშვილი და სხვანი.

არჩილის ღვაწლი განუზომელია დონის მონასტრის მშენებლობაში, რაც საგანგებოდ აღნიშნულია კიდეც მონასტრის ეზოში გაკეთებულ ობელისკის წარწერაში. ასევე აღსანიშნავია არჩილის ღვაწლი სტამბის დაარსების საქმეში, იგი ამ მიზნით დაუახლოვდა მოსკოვში მყოფ უცხოელებს და მათი საშუალებით ურთიერთობა დაამყარა ამსტერდამში მოღვაწე ასოთმოქანდაკე კიშთან, რომელსაც დაამზადებინა ქართული სასტამბო ნიშნები (კეკელიძე 1952: 463).

მეფე-პოეტისთვის მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ მისი უფროსი ვაჟი-ალექსანდრე პეტრე I-მა დააწინაურა და დანიშნა არტილერიის გენერლად, კერძოდ, მიანიჭა გენერალ-ფელდცეხმაისტერის წოდება, თუმცა მისმა დარდმა მოუღო არჩილს ბოლო. 1700 წელს ალექსანდრე ტყვედ ჩავარდა შვედებთან, სადაც ათი წელი იმყოფებოდა, იქიდან ცოცხალი კი წამოვიდა, თუმცა სახლამდე ვერ მოაღწია, იგი გზაში გარდაიცვალა. სასოწარკვეთილი არჩილი შვილის ცოცხლად ნახვას ვერ ეღირსა. 1711 წელს კუნძულ პიცეოსიდან გადმოასვენა შვილის ნეშტი და დაკრძალა დონის

მონასტერში, მის გვერდითვე დაკრძალა არჩილმა ადრე გარდაცვლილი შვილები მამუკა და დავითი, ასევე ალექსანდრეს პირველი მეუღლე თეოდოსია მილოსლავსკაია.

1713 წლის 16 აპრილს გარდაიცვალა არჩილ II. 19 აპრილს დაკრძალეს დონის მონასტერში შვილების გვერდით. იგი გულმოდგინედ ზრუნავდა საკუთარი ნაწერების დაცვასა და გავრცელებაზე. ცნობილია, რომ ხანძარმა მას რამდენჯერმე გაუნადგურა ლიტერატურული ქმნილებანი, ამიტომ მან განიზრახა საკუთარ თხზულებათა კრებულად შედგენა, ეს საქმე კი დაავალა თავის მდივან-მწიგნობარს, გივი თუმანიშვილს. ეს ხელნაწერი ჩვენამდე მოღწეულია არჩილისეული ჩასწორებებით. არჩილის ნაწერები გივი თუმანიშვილმა და დაუთ თურქესტანიშვილმა შეკრიბეს 1701-1706 წწ-ში და კრებული შეადგინეს (**კეკელიძე 1952: 464**).

12 წლის შემდეგ არჩილის საფლავი მოინახულა მოსკოვში ჩასულმა ვახტანგ VI-ის მეუღლე - რუსუდანმა და არჩილის ქალიშვილთან - დარეჯანთან ერთად ცხარე ცრემლებით დაიტირა დაუდეგარი, მშფოთვარე სულის მეფე-მგოსანი, რომელიც თავისი ბედუკუღმართი ცხოვრებით აღმოჩნდა სათაყვანებელი სამშობლოს ფარგლებს მიღმა, რომელმაც უცხოეთში დაამთავრა თავისი ტანჯული, გამწარებული სიცოცხლე.

არჩილის ეპოქაში ხდება ძველი ლიტერატურული ტრადიციების კრიტიკული გადაფასება, ახალი მოთხოვნილებისა და გემოვნების შესაბამისად ყალიბდება ახალი შეხედულებები, ისახება ახალი პერსპექტივები ლიტერატურის განვითარებისა, ამ დიდი ლიტერატურული მოვლენების ცენტარლური ფიგურაა თვითონ არჩილი. მან დაგვიტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. თავისი თხზულებები მან თვითონ ერთ კრებულად შეკრა "არჩილიანის" სახელწოდებით.

არჩილის მხატვრულ-შემოქმედებითს კონცეფციაში საგანგებო ადგილი უჭირავს "მართლის თქმის" პრინციპს. "მართლის თქმაში" გამოსჭვივის რეალიზმის მძლავრი ელემენტები. არჩილის რწმენით, პოეზიის საგანი, ასახვის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილე, რეალური მოვლენა. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟები, სიტუაციები, ამბები, რეალურად არსებულ ისტორიულ ფაქტებს უნდა ასახავდეს. ისტორიულად არარსებული ფაქტების გამოვლენას მწერლობაში იგი ზღაპრულს უწოდებს. "არჩილისათვის სრულიად უცნობია ზოგადობისა და ტიპიურობის მომენტი, რაც შეადგენს რეალისტური მსოფლშეგრძნობის საფუძველს" (**ბარამიძე 1940: 29**). არჩილი არ ახდენს დროის ლოკალიზაციას, მისი რეალიზმის

კონცეფციაში ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ამბის ასახვას, რადგანაც მისთვის ამოსავალია ფაქტის ისტორიულად არსებობა, ნაცვლად გამოგონილისა, პოეტური ფანტაზიის ნაყოფისა. არჩილისათვის ერთნაირად "რეალისტურია" როგორც თამარ მეფის, ისე თავისი უფროსი თანამედროვის, თეიმურაზ პირველის დროინდელი ამბავი, ხოლო "ვეფხისტყაოსანი" გამოსახული პერსონაჟები ზღაპრულია იმიტომ, რომ ისინი ისტორიულად არ არსებობდნენ.

''მართლის თქმის" პრინციპს არჩილი აყალიბებს თეიმურაზისა და რუსთველის "გაბაასების" შესავალ ნაწილში:

"სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად; და არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების მეტი. საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენებს, ბატონებისა და დარბაისელთასა".

თხზულებას გაბაასებისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშანი აქვს. ნაწარმოებში ერთმანეთს ეკამათება ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებისა და შეხედულების მქონე საზოგადო მოღვაწე, თითოეული მათგანი ცდილობს მოწინააღმდეგის დამარცხებას და თავისი უპირატესობის დამტკიცებას. პოეტი კი აცხადებს, რომ გაბაასების ტრადიციის მიხედვით, ნეიტრალიტეტის დაცვას ცდილობს, თუმცა აშკარა უპირატესობით რუსთველის წარმოჩენა სურს.

გაბაასების ჟანრის პირველი ნიმუშები გვხვდება ანტიკურ ლიტერატურაში, ესაა ეზოპეს რამდენიმე იგავი: „ზამთარი და ზაფხული“, „ბუზი და ჭიანჭველა“ და სხვ. როგორც ბიძინა ქიქოძე აღნიშნავს: „მართალია, ეზოპეს ხსენებული ნაშრომები იგავ-არაკებია, თუმცა მასში მაინც შეინიშნება გაბაასების ელემენტები. ამ პატარა თხზულებებში ერთმანეთს ეპაექრება თითოეული მათგანი და თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას ცდილობენ“ **(ქიქოძე 1955: 7).**

ბიძინა ქიქოძის გამოკვლევათა მიხედვით: „გაბაასების ჟანრი ფართოდ ყოფილა გავრცელებული შუა საუკუნეების სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში. სპარსულ-არაბულ ლიტერატურაში მას „მუნაზარე“ ეწოდებოდა. გაბაასების საწყისი ფესვები ფოლკლორშია საძიელი, საიდანაც ჩვენამდე მოღწეულია ოცი სახელწოდების გაბაასება, რომელთაგან ზოგი შექმნილია იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ხალხი ბუნების ძალებს აღმერთებდა. აღსანიშნავია, რომ ქართული გაბაასების ჟანრის პირველ ნიმუშად XVI

საუკუნის, სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილის სამ სტროფიანი ლექსი უნდა ჩაითვალოს, იგი ჩართულია „როსტომიანში“ (ქიქოძე 1955: 48).

გაბაასების ჟანრმა ქართულ ლიტერატურაში ფართო გავრცელება ჰპოვა XVI-XVII სს-ში მეფე-პოეტების, თეიმურაზ I-ის, თეიმურაზ II-ის, არჩილ II-ის შემოქმედებაში.

თხზულება შედგება ცხრამეტი პასუხისაგან და დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი სალექსო საზომით. „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად გაბაასებაც იწყება უფლის ქება-დიდებით:

„სამგვამოვანო ღვთაებავ, ერთმანეთს არ შემდგომისო,

მამავ, მშობელო ძისაო, გამომვლენელო სულისო,

ერთხელმწიფებავ, ერთნებავ, სამხატო, ერთ-ღვთაებისო,

ყოველთ მოწყალევ სიუხვით, უფრო შენთ მონდობილისო“ (1)

იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „სამნი არიან რომელნი სწამებენ ცათა შინა, მამა, სიტყვა და სულიწმიდა და სამნი ესე ერთნი არიან“ (იოანე 5, 2). აქედან ნათლად ჩანს არჩილის რელიგიური მრწამსი. ამას მოწმობს ისიც, რომ გაბაასების შესავალი მთლიანად გაჯერებულია ბიბლიური ალუზიებით, მასში ნახსენებია ანგელოზთა ცხრა დასი. არჩილი ცალკე სტროფს უძღვნის ქრისტეს ქებას და მას მიიჩნევს მამა ღმერთის სწორფერად. მეფე-პოეტის აზრით, ადამიანი ღვთის შიშით და სიყვარულით უნდა ცხოვრობდეს. არჩილი ერთმანეთისაგან მიჯნავს საღვთო და საერო სიბრძნეს, რომელთაგან უპირატესობას საღვთოს ანიჭებს და მას მიიჩნევს ზებუნებრივ მომადლებულ ნიჭად. თხზულებაში არჩილი მიზნად ისახავს არამარტო მოპაექრეთა შორის უპირატესობის გარკვევას, არამედ მთელი ორი განსხვავებული ეპოქის ლიტერატურულ-ისტორიულ გადაფასებას. მასში ნათლად აისახა XII-XVI საუკუნეების ქართული ისტორიულ-ლიტერატურული სინამდვილე, ამასთანავე არჩილმა წარმო-გვიდგინა ამ ეპოქათა სრული ანალიზი.

არჩილის მიხედვით, ლიტერატურული ქმნილება თავიდან ბოლომდე განმსჭვალული უნდა იყოს ეროვნული სულისკვეთებით, უნდა იზიარებდეს ეპოქის სატკივარს და რაც მთავარია, არ უნდა იყოს „ზღაპრულ-ნაჭორი“. ესაა არჩილის მიერ დანერგილი პოეზიის მაღალმხატვრული დანიშნულება. მეფე-პოეტი ერთგვარ დარიგებას აძლევს პოეტებს, თუ რაოდენ ზომიერება ჰმართებთ მწერლობასთან მიმართებით. არჩილის მსოფლაღქმის მიხედვით, კარგმა მწერალმა ყოველგვარი

სიბრძნე ადვილად გასაგები უნდა გახადოს მკითხველისათვის. დაოსტატებულ მწერალს უნდა შეეძლოს მკითხველისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება იმ დოზით, რაც საჭიროა.

არჩილის დანერგილი ლიტერატურული პრინციპი უპირისპირდება „ზღაპრობას“, რასაც თავად „სპარსთა ნაჭორს“ უწოდებს, ყოველივე ამას ქრისტიანული სულისკვეთების პოზიციებიდან აფასებს. საეკლესიო მწერლობა ხშირად ასეთ მწერლებს „მეზღაპრეებად“ მიიჩნევს.

როგორც გოჩა კუჭუხიძე აღნიშნავს: „სპარსული „ზღაპრობანის“ მიუღებლობა, გარკვეულწილად, საერთოდ, სპარსული კულტურის მიუღებლობაზე მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სპარსული პოეზიით გატაცება ძლიერია, მაგრამ ეს გატაცება ძირითადად გარეგნულია, სპარსულ ლიტერატურულ ნორმებს და მაჰმადიანურ მსოფლმხედველობას დაცილებული“ (**კუჭუხიძე 2012: 124**).

პოეტი ერთგვარი სიამაყის გრძნობითა და ნიშნის მოგებით აღნიშნავს, რომ ის არ დაშვრა ზღაპრული ამბების გალექსვით:

ვეჭვ ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ მოსაგონარი,

არ საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,

არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუილად გასაგონარი (15)

არჩილი ლიტერატურული ჟანრის კლასიფიკაციასაც ახდენს იმისდა მიხედვით, თუ რას ასახავს იგი - ნამდვილ ამბავს თუ მოგონილს. მაგალითად, სახოტბო პოეზიისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ბევრი რამ არამართალია. ის ერთგვარ დაპირისპირებასაც ახდენს, ჩემი ნაწარმოები არისო "არა ხოტბა, არამედ მართალიო".

აქედან კეთდება ბუნებრივი დასკვნა, რომ სახოტბო პოეზია გამორიცხავს სიმართლეს, მაშინ როდესაც მწერლის დანიშნულებაა სწორედ სინამდვილე ასახოს. პოეტი დაბეჯითებითა და მაღალი პრინციპულობით აცხადებს:

რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები,

ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანერთზედ დანათვლები,

სიმართლე და კვლავ სიმრუდე, ვინ ბნელი ქმნა, ან ნათლები (1126).

არჩილის რწმენით, პოეტმა მოურიდებლად უნდა ამხილოს ყოველგვარი ნაკლოვანება და ხელი შეუწყოს თანამოქალაქეთა ზნეობრივად გაწვრთნას. არჩილი არა

ერთგზის უბრუნდება "მართლის თქმის'' საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწერალმა სინამდვილის ასახვაში უნდა გამოიჩინოს გულწრფელობა, ყოველ მოვლენას საკუთარი სახელი უნდა უწოდოს.

"მართლის თქმის" არჩილისეული კონცეფციის ორგანულ ნაწილს შეადგენს **ნაციონალური თემატიკის** საკითხი. "საგანთა და მოვლენათა რეალისტურად ასახვის საჭიროებასთან ერთად, არჩილი მოითხოვს ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის დამუშავების აუცილებლობას. არჩილი გმობს მისი წინამორბედი პოეტების ამბავთა ზღაპრულობასა და უცხოურ (სპარსულ) წარმოშობილობას" **(ბარამიძე 1940: 122)**.

რ. ბარამიძე შენიშნავს, რომ ,,არჩილის ლიტერატურულ შეხედულებებში საგანგებო ადგილი უკავია მხატვრულ ნაწარმოებში შინაარსისა და ფორმის ურთიერთ მიმართების საკითხს“ **(ბარამიძე 1961: 227-228)**.

ბარამიძის დაკვირვებით, არჩილი მხატვრული ნაწარმოების მხოლოდ გარეგნული, მხატვრული მხარის სრულყოფის წინააღმდეგია. არჩილისთვის მიუღებელია, როცა ლექსის იდეურ-შინაარსობრივი მხარე იჩრდილება გარეგნული, ხელოვნებით შექმნილი მხატვრული ფორმებითა და ნაძალადევი რითმებით. არჩილი გადაჭრით მოითხოვს, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივ მხარეს, რაც შესაფერის მხატვრულ ფორმებში უნდა იქნეს ჩამოყალიბებული.

მართალია, არჩილს არ დაუწერია საგანგებო ტრაქტატი ლიტერატურის თეორიაში, მაგრამ ქართველი პოეტის თხზულებებში არაერთგზის ვხვდებით უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს ლიტერატურის სხვადასხვა საკითხზე.

რუსთველი ავად, ე.ი. ცუდად თქმულს მიიჩნევს წყლის ნაყვად, მოჰყავს შინაარსისაგან დაცლილი, არაფრის მთქმელი, ფუჭსიტყვაობისა და რითმათთხზვის ნიმუში:

მოაბასითა, მო აბა სითა, მო ესო, მითხარ, ვით მოე კიდე,

მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ტვირთად, ვით მოეკიდე,

მოაბასითა, მოაბასითა მოესო ცეცხლი და მოეკიდე,

მოაბასითა, მოაბასითა, მოესო იფრდე ან მოეკიდე (197).

მოყვანილი ლექსი კლასიკური ნიმუშია უშინაარსო, ფორმალისტური ვარჯიშისა, რასაც რუსთველი შემოქმედის დიდ კრიზისად თვლის, იგი ერთგვარი ნიშნის მოგებით ამბობს:

ჩემს მოსწრებაში აროდეს კვლავ მე ეს არ დამემართა-ო (198).

არჩილი ხაზს უსვამს რა თეიმურაზის შემოქმედების მხატვრულ მხარეს, აღნიშნავს მის ნაკლსაც:

თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს (205).

არჩილის აზრით, "სიტყვით სიუხვე" სიბრძნის, ღრმა იდეური შინაარსის გარეშე შემოქმედების სისუსტის მანიშნებელია. არჩილის ეპოქის ლიტერატურული გემოვ-ნების, მკითხველთა მოთხოვნილების გამომხატველია ანონიმი ავტორის შემდეგი, უაღრესად საყურადღებო სტროფი:

რუსთველის ნათქვამი ზანდუკს ჰგავს, მორთულსა ოქრო-თვალითა,

იაგუნდით და ალმასით სავსესა ჩანათვალითა.

კახის ბატონის - მორთულსა ტკბილად რამ, მაგრამ ვალითა,

არაფერითა სავსესა, არც ქვითა, არცა სალითა (198).

რუსთველის უპირატესობა მჟღავნდება იმით, რომ მას მაღალმხატვრულ ფორმაში გადმოცემული აქვს ღრმა შინაარსი, იგი გამოხატავს სიბრძნეს. ამიტომაა, რომ გაბაასების შესავალში არჩილი შთაგონებისთვის მიმართავს სიბრძნეს, აზრს, რადგანაც ამ უკანასკნელს მიიჩნევს ნაწარმოების საფუძვლად:

სიბრძნესა ვითხოვ, მან მომცეს დაუშრომელი ენა და (11).

არჩილი თითქოს ერთგვარ დაპირისპირებას ახდენს და მკითახველის წინაშე სვამს საკითხს, რა უფრო მნიშვნელოვანია, მოვლენის ან საგნის ფორმისეული თუ შინაარსობლივი მხარე. საილუსტრაციოდ კონკრეტულ მაგალითს ასახელებს:

ერთი მოთეთრო ქაღალდი და ვარაყ-შეფრქვეულია,

კარგ-ხელნაწერი, მაგრამე ამბავი არეულია;

სხვა მოყვითანო, ფრჩხილ-ყვავად, სასიბრძნოთ დაწერილია.

ბრძანეთ: რომელი სიკეთით ამათგან მორეულია (299).

ეს სტროფი გამოცანის ხასიათს ატარებს: რაა უფრო მნიშვნელოვანი. მდიდრულად გაფორმებული, კარგი კალიგრაფიით შესრულებული უაზრო ნაწერი თუ მდარედ გაფორმებული, ცუდი ხელით გადაწერილი ბრძნული შინაარსის მქონე ტექსტი. კითხვაზე თვითონ იძლევა პასუხს:

ოქრო შემკულსა ებანსა სცემს ვინმე, ავად აჟღერებს,

სხვა ლიტონისა შეშისას ჰკრავს ტკბილად, ამოდ ამღერებს.

ორისავ მცოდინარენი გულს რომელს უფრო აჯერებს? (გაბაასება კაცისა და სოფლისა 300).

არჩილი არ ვარდება უკიდურესობაში და ზომიერების გრძნობის დაცვით ფორმისა და შინაარსის ერთიანობაზე, შინაგან მთლიანობასა და შესატყვისობაზე მიუთითებს.

საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული არჩილს შემდეგ სტროფში:

სხვა მელექსეთგან მინახავს, შესავალს სწერდეს სულ თავსა,

ეს იმასა ჰგავს, ეზოსას მაღალს იბემდეს ბჭის კარსა,

შიგან ჩალისა ქოხებსა იდგემდეს, ზრდიდეს ფუტკარსა;

რა შიგ შეხვიდე, ვერ სჭვრეტდე სიბრძნისა მას მინაკარსა (სიტყვა სანათლისღებო 24).

აქ ყურადღება გამახვილებულია ნაწარმოების კომპოზიციურ მხარეზე. ნაწარმოების შესავალი და ძირითადი ნაწილი ურთიერთშესაბამისი უნდა იყოსო. თუ მწერალმა შესავალშივე ამოწურა სათქმელი, შემდეგ იწყება ნათქვამის გადაღეჭვა, გაჭიანურება. ავტორს ხატოვნად აქვს წარმოსახული ის შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს მკითხველზე ასეთი ნაწარმოები. ის ჰგავსო დიდი ალაყაფის კარებით შემკობილ ცარიელ ეზოს:

რა შიგ შეხვიდე, ვერ სჭვრეტდე სიბრძნისა მას მინაკარსა.

არჩილის მიხედვით, ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ერთნაირად უნდა იყოს აზრით დატვირთული. შინაარსი თანამიმდევრულად უნდა ვითარდებოდეს, შესავალში ჩამოყალიბებული შეხედულებები გაშლას უნდა პოულობდეს ნაწარმოების ძირითად ნაწილში. ექსპოზიციიდან კვანძის გახსნამდე ავტორს მკითხველი დატყვევებული უნდა ჰყავდეს. თუ ფინალი უვარგისი, მშრალი და ფერმკრთალია, მაშინ შესავალი ნაწილიც, თუნდაც კარგი იყოს, კარგავს ზემოქმედების ძალას, ასეთი ნაწარმოები ვერ აკმაყოფილებს მკითხველის მოთხოვნილებას. ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ერთნაირი სიძლიერით უნდა იყოს დაწერილი:

სიბრძნეს თუ ვინ თავს უღებდეს, ბოლოც იმაზედ მოუღოს,

თუ კარგს სასმელზედ დასვემდეს, სულ ისევ კაი მოუღოს,

უფრო და უფრო დაუტკბოს, შემსმელთა ცნობა წაუღოს,

დახშულთა გული უგბილთა სასმელად კარი გაუღოს. (26)

არჩილის სიტყვით, ავტორი თანამიმდევრულად უნდა ავითარებდეს თავისი თბზულების შინაარსს. ღირსეული ფინალი კი ნაწარმოებს კრავს და ქმნის მთლიან შთაბეჭდილებას:

ყოველი საქმე ბოლოსი სჯობს რასაც უკეთესდება.

თორ ერთ წამ კაი რამ არი და მას უკან კი წახდება,

იტყვიან, ცუდი რამ იყო, სასაცილოდაც გახდება (27).

არჩილი მსჯელობს ნაწარმოების გამართულობაზე, მისი კომპონენტების შინაგან კავშირზე. ყოველი დეტალი მოტივირებული უნდა იყოს, ერთმანეთს ორგანულად უკავშირდებოდეს და, ამრიგად, ქმნიდეს ერთ მთლიანობას. შესანიშნავად აქვს ეს დებულება არჩილს ჩამოყალიბებული თეიმურაზისა და რუსთვულის "გაბაასების" შესავალში:

სწორად უნდა ლექსი ვინ თქვას, მართლად სცემდეს, განა გაჰკრას.

თავი კარგად მან აუღოს, ბოლო უხამს ზედ მოაკრას,

ვით ხუთძალსა გამართულსა ქვეიდამე ხელი აჰკრას,

ტკბილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაჰკრას.

ზოგჯერ უნდა წასავლელად, ვით კაპანმა კაცი აბას,

გული ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას,

ერთი რამე სალაღობო ზედ ხუმრობა წამოაბას,

მერმე კიდევ ძნელსა რასმე შეიქმოდენ მაზე, ა ბას (16-17).

როგორც ვხედავთ, აქ მინიშნებაა ნაწარმოების კომპოზიციურ მთლიანობაზე. ამბავი უნდა ვითარდებოდეს თანდათან, თითოეული ეპიზოდი მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული და ექვემდებარებოდეს მთლიან სიუჟეტურ ქარგას. ფინალი ექსპოზიციის ბუნებრივი განვითარების შედეგი და დაგვირგვინება უნდა იყოს.

აღნიშნულ სტროფში საუბარია აგრეთვე ნაწარმოების ემოციურ მხარეზე. ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის გარკვევისას არჩილი აღიარებს შინაარსის წარმმართველ მნიშვნელობას, მაგრამ სრულიადაც არ უგულებელყოფს ნაწარმოების ფორმის დიდ მნიშვნელობას. იგი ხაზს უსვამს ნაწარმოების მხატვრული მხარის ემოციურ ზემოქმედებას მკითხველზე. მელოდიურობას გულისხმობს არჩილი, როდესაც ამბობს: ლექსი უნდა "ტკბილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაჰკრას".

ლექსი უნდა იყოს საამო სასმენი, არ უნდა ჭრიდეს ყურს. ლექსის მელოდიურობას მკითხველი ერთგვარ ტყვეობაში უნდა ჰყავდეს: "ზოგჯერ უნდა წასავლელად, ვით კაპანმა კაცი აბას, გული ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას". არჩილის რწმენით, გამართული ლექსის წყალობით ურთულესი პრობლემები, ღრმა იდეური გააზრებანი მკითხველისათვის ადვილად გასაგები და ასათვისებელი ხდება. ამიტომ ამბობს პოეტი:

მერმე კიდევ ძნელსა რასმე შეიქმოდენ მაზე, ა ბას (17).

ამ საკითხს - რთული, ძნელი პრობლემების ადვილად, ყველასთვის გასაგებად გადმოცემას მხატვრული ნაწარმოების საშუალებით - ქართველი მოაზროვნე არა ერთგზის ეხება, ეს აზრი მას განსაკუთრებით მკაფიოდ აქვს გამოხატული "ლექსნი ასეულის" ერთ ტაეპში:

ლექსად უნდა ყოვლი სიტყვა ერთი-ერთზედ გაწყობილი,

სულა ტანით საძებარი, ერთმანერთზედ მიწყობილი.

უმეცართა უარშიო, ბრძენთა დია შეწყობილი,

ძნელოვანიც მისვე სიტყვით საამოვნოდ შეტყობილი (3)

თუ სხვა შემთხვევაში არჩილი ეხება საერთოდ ნაწარმოების კომპოზიციურ მთლიანობას, სიუჟეტურ შეკრულობას, ამ სტროფში ლაპარაკია უფრო კონკრეტულ გარემოებაზე - ლექსში სიტყვის ხმარების ოსტატობაზე. სიტყვის გრძნობა არჩილს პოეტის არსებით თვისებად მიაჩნია. ის საგანგებოდ მოძღვრავს პოეტებს, თუ როგორი სიფრთხილით, ცოდნითა და ზომიერებით უნდა მოეპყრან სიტყვას.

მხოლოდ დიდ, ბრძენ პოეტს აქვს, არჩილის აზრით, სიტყვის გრძნობა. ხოლო "უმეცარნი" წერენ "უარშიოთ". ლექსში სიტყვის შერჩევის ხელოვნებას არჩილი ხაზს უსვამს არა რაიმე ფორმალისტური თვალსაზრისით, ფორმისეული მოვლენებით გატაცების გამო. მისი რწმენით, სიტყვის დაუფლება, სიტყვის ნიუანსური მნიშვნელობის შეგრძნება არის ერთადერთი პირობა აზრის ზუსტად და ადვილად გაგებისთვის. არჩილი მწერლისგან მოითხოვს, ყოველგვარი სიბრძნე ადვილად გასაგები გახადოს მკითხველისთვის. ლექსის ბუნების კარგი ცოდნის საფუძველზე პოეტი გონებამახვილურად შენიშნავს:

თქმა ლექსისას ეს ზნედა სჭირს, სიტყვას უცხოს შემოიყვანს.

რასაკვირველია, აქ ლაპარაკია არა უცხო სიტყვების, ბარბარიზმების შემოტანაზე, არამედ მწერლის მიერ ლექსიკისა და ენის სტრუქტურის ცოდნის საფუძველზე

მშობლიური ენისა და პოეტური ნაწარმოების მოხდენილი სიტყვით გამდიდრებაზე. სიტყვის შემოტანა უნდა ხდებოდეს დიდი სიფრთხილით, ცოდნითა და გემოვნებით. არ უნდა დამახინჯდეს, "დაიგრიხოს" პოეტური მასალა. არჩილი სიამაყით ამბობს:

სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამს, მაშა, მკითხველო, რაც არი (საქართველოს ზნეობანი 4).

სიტყვას არ უნდა წვალება, ის ბუნებრივად უნდა ჟღერდეს, ხელოვნური ფორმა ლექსს ამძიმებს, აუტანელს ხდის. არჩილი სასტიკად ტუქსავს იმ მწერალთ, რომელთაც უგემურად, უადგილოდ აქვთ სტრიქონში სიტყვები განლაგებული:

ხელოვანნი უცთურთ-მწერნი, ვინ დონზედა დასვა ანი.

ასეთი დაუდევრობა აზრსაც გაუგებარს ხდის და კეთილხმოვანებასაც არღვევს, იკარგება ლექსის მუსიკალური ჟღერადობა, რასაც არჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს; რაც უფრო მელოდიურია ლექსი, მით უფრო ძლიერია მისი ემოციური ზემოქმედება. ყურისთვის საამო სასმენელი ლექსის შექმნა პოეტის დიდოსტატობას მოითხოვს, წინააღმდგ შემთხვევაში მივიღებთ მონოტონურად მჟღერ ლექსს:

ერთიც ხმითაც მე მინახავს უამრავნი შეყრილობდეს.

ხელთა შინა მჭედელთასა ფოლადიცა მორბილობდეს,

ჰაერთ შეცვლით მომჴსინვარე იანვარი აპრილობდეს.

არჩილის აზრით, ჭეშმარიტი პოეტის წინაშე არ არსებობს დაბრკოლება; მისი ნიჭისა და ცოდნის ძალით სიტყვა იხვეწება და მშვენდება. სანიმუშოდ იგი მიუთითებს ქართული სიტყვის ორ დიდოსტატზე, რუსთველსა და თეიმურაზზე:

სიტყვას ღრმასა ბრძნად სასმენსა შეაწყობენ, არ ირევენ,

სწორს აასხმენ მარგალიტსა, არ თუ მრუდსა გაურევენ (გაბაასება 59).

არჩილს ჩამოყალიბებული აქვს საინტერესო დებულებები მწერლობაში ნოვატორობისა და ეპიგონობის შესახებ. რუსთველი ეუბნება თეიმურაზს:

ხელოვანი იმას ჰქვიან, უნახავად შექმნას რამე,

ჩემგან უწინ ვის რამ გეთქვათ, ქართველთ ენით ვიწყე რა მე,

ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რამ იტკბე, მით რამ ამე,

სხვათ მელექსეთ უმჯობესო, თუ არ სწყრები, მე კი დამე (85).

პირველსავე ტაეპშია წამოყენებული დებულება, რომ შემოქმედმა დამოუკიდებლად უნდა შექმნას რამე. მთავარია სიახლე, პირველი თქმა:

პირველ ხელყოფა საქმისა თქმულა შემდგომთა უძნელად,

სად არ ნათობდეს მზის შუქი, ყოველნი იქმნეს მუნ ბნელად (86).

რუსთველის თქმით, ყოველი სიახლე სინათლის შემომტანია პოეზიაში, ხოლო გამეორება, გადამღერება - არაფრის მოქმედი. თეიმურაზის პოეზიის სუსტ მხარედ არჩილი იმას მიიჩნევს, რომ იგი რუსთველის სახეების, მისი ვერსიფიკაციის მიბაძვით ქმნის საკუთარს, ისე რომ სახედ, ანუ ნიმუშად რუსთველის ნათქვამი აქვს.

არჩილს სიამაყის გრძნობას ჰგვრის ის სიახლე, რითაც თავად იგი განსხვავდება წინა საუკუნეების მწერალთაგან:

ეს ლექსი ჩარხებ მბრუნავი აწ მოვიგონე უსმენლად:

ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენ აქვს, ლექსიც იქნება იმდენად.

ნაძლევი ვარ, თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის, იყოთ მოსმენად (2).

"ჩარხებ მბრუნავი ლექსი" ავტორს საკმაო დამსახურებად მიაჩნია, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ლექსი მას არვისგან მოუსმენია, ის მისი მოგონილია. არჩილის ლიტერატურულ შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიახლის ძიებისკენ მოწოდებას.

არჩილის "მართლის თქმას" და ნაციონალური თემატიკის საკითხს ორგანულად უკავშირდება ენის სიწმინდის საკითხიც: "სპარსული ლიტერატურული ორიენტაციის წინააღმდეგ მებრძოლი არჩილი ენერგიულად იცავს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდეს" **(ა. ბარამიძე).**

ლიტერატურაში ნაციონალური თემატიკის დამკვიდრებისთვის მებრძოლი პოეტი ეროვნული ენის სიწმინდის დასაცავად საგანგებო სიფხიზლეს და პრინციპულობას იჩენს. არჩილის თქმით, ***"ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით"***. იგი საგანგებოდ აფრთხილებს პოეტებს: ***"არსად წაგცდეს ცუდი ენა, ლექსობ ვინ თუ იამბიკობ".*** "ცუდ ენაში" გულისხმობს არამარტო გაუმართავ ფორმებს, არამედ ბარბარიზმებსაც. რუსთველსა და თეიმურაზს არჩილი მძიმე ბრალდებად უყენებს იმას, რომ მათ შემოქმედებაში არაიშვიათად გვხვდება უცხოური სიტყვები, მაშინ როდესაც მათი შეცვლა შეიძლებოდა შესატყვისი ქართული სინონიმებით. ეს ბრალდება განსაკუთრებით მწვავედაა გამოთქმული თეიმურაზის მიმართ. ხოლო საკუთარი პოეზიის ერთ-ერთ ღირსებად არჩილს მიაჩნია ის, რომ სუფთა ქართული ენით მეტყველებს, რის გამოც გამომწვევადაც აცხადებს:

მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია (სამიჯნურონი. 3).

არჩილის ლიტერატურული შეხედულებების გაცნობისას ყურადღებას იპყრობს *შემოქმედის დამოუკიდებლობის, თავისუფლების საკითხი.* არჩილის აზრით, პოეტი დამოკიდებული არ უნდა იყოს არავიზე, თვით მეფეზეც კი, არ უნდა წერდეს სხვისი დაკვეთით, დავალებით. პოეტური ქმნილება ნაყოფი უნდა იყოს ავტორის შინაგანი მოთხოვნილებისა, შთაგონებისა. ისეთ დიდ შემოქმედსაც კი, როგორიც რუსთველია, თითქოს ერთგვარი ჩრდილი ადგას იმის გამო, რომ მან "ვეფხისტყაოსანი" შექმნა თამარ მეფის დავალებით. *"მას უბრძანა თამარ მეფემ, ბატონმა თქვა თავის ნებით"* ესაა თითქოს თეიმურაზის უპირატესობაც. ამიტომ მოპაექრეს სიამაყით ათქმევინებს:

ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს, რაცა სთქვი - იძულებითა,

თამარ მეფემან გიბძანა, ძალი გიყო თუ ნებითა.

მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა (70).

სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანია იგი რუსთველის მიმართ. მაგრამ პრინციპულად არჩილი უდავოდ მართებულ მოსაზრებას გამოთქვამს. პოეტი თავისუფალი უნდა იყოს არამარტო ძალდატანებისგან, არამედ შინაგან სიმართლესაც უნდა გრძნობდეს. თავისუფალი დროც უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი მუშაობისთვის. ამიტომაა, რომ თეიმურაზი გულისტკივილით ამბობს:

სად მეცალა ლექსისათვის, ჭირსა შინა გული იობს,

სხვას ჩემდენი განსაცდელი ვის გარდაჰხდა, არ თუ იობს.

ის მოიცლის საშაიროდ, ვინ არ ჭმუნავს, ვინ არ იობს (97).

პოეზიაზე მსჯელობა, ლიტერატურის რთულ მოვლენებში გარკვევა, არჩილის აზრით, დიდ ცოდნასა და გემოვნებას მოითხოვს. ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი, მისი ღირსეულად შეფასება, მეტად ძნელი და პასუხსაგები საქმეა. ქართველი პოეტი და თეორეტიკოსი იძლევა მეტად მნიშვნელოვან დაკვირვებებს არამარტო პოეზიის, მისი რაობისა და დანიშნულების შესახებ, არამედ, აგრეთვე, ანგარიშგასაწევ რჩევა-დარიგებას აძლევს ლიტერატურის კრიტიკოსებსა და თეორეტიკოსებს:

არა ადვილ არს რიტორთა და მელექსეთა განრჩევა,

ძალთა და ლექსთა სიტკბოთა მის-მის ადგილსა შერჩევა,

ვით წალკოტს შორის ყვავილთას ერთის სხვათასა აღრჩევა,

ვა თუ ვერცერთი ისუნო, სუნთ უყნოსელი დარჩე ვა (ლექსნი ასდაათნი 35).

ეროვნულ საკითხთან ერთად თეიმურაზისა და რუსთველის "გაბაასებაში" არჩილი დიდ ადგილს უთმობს **სოციალურ საკითხს**. ქვეყნის გამგებელი და დაკვირ-ვებული პოეტი, უპირველეს ყოვლისა, თავისი კლასის სოციალურ ინტერესებს იცავს, თავისი კლასის პოზიციებიდან წყვეტს სოციალურ საკითხებს. ეს აშკარად შეიმჩნევა ჯერ კიდევ თეიმურაზისა და რუსთველის ურთიერთ მიმართების აღწერით. შედარებით დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი რუსთველი, როგორც ვიცით, დიდ მოკრძალებას ამჟღავნებს მეფის მიმართ:

თქვენ ბატონობა შეგშვენის, მე ყმა ვარ შესაფერიო (76).

არჩილიც სავსებით ამართლებს თეიმურაზისადმი რუსთველის ასეთ მორიდებულ დამოკიდებულებას, რაც განპირობებულია მათი სოციალური მდგომარეობით. რუსთველი შეგუებულია აზრს, რომ *"რაც კარგია მის ქვეყნისა, ვიცი მეფეს მიერთმისა"*. მეფესთან დაპირისპირება, შეპაექრება თავისთავად კადნიერებაა და ამიტომ რუსთველი ერთგვარი დანანებით ამბობს:

სხვა მონა ვინ შეედარა ჭკვიანი თვისთა მეფეთა...

მეფე შეუვალია და მის ქვეშევრდომთ მართებთ უსიტყვო მორჩილება:

სიჩქარესა სჯობს სიწყნარე, უსმენსა გაგონებული.

პატრონის ყმისგან ურჩობას, უკეთეს დამონებული. (გაბაასება. 126)

ე. ი. არჩილის კონცეფციით, გამორიცხულია ყოველგვარი წინააღმდეგობა-ურჩობა მეფისადმი. სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ვალდებულია მეფის ნების უსიტყვოდ შემსრულებელი იყოს.

არჩილს აწუხებს ფეოდალური სისტემის ერთგვარი რყევა, ფეოდალური საზოგადოების მყარი მდგომარეობის შესუსტება. იგი შენატრის იმ დროს, როდესაც ფეოდალური ინსტიტუტი ძლიერი იყო:

ყმას პატრონზედ გაემარჯოს, არ გვასმია ესე ძველად. (683)

არჩილს აფიქრებს ის გარემოება, რომ გამარჯვებული ყმა დაუნდობელია ბატონის მიმარით; ყმის რისხვა გამოწვეულია მისი უკიდურესად მძიმე მდგომარეობით ხყლსაყრელ შემთხვევაში ყმა მკაცრი შურისმაძიებელია. არჩილის დროს ყოფილა შემთხვევები, როდესაც გაწამებული ყმა ხმას იმაღლებდა უგულო ბატონის წინააღმდეგ და, თუ გამარჯვებას მიაღწევდა, მაშინ ყრუ ხდებოდა ბატონის ხვეწნა-მუდარის მიმართ:

თუ ყმა ბატონს მოერევა, აჯას აღარ გამოართომს. (1039)

ბატონზე ყმის გამარჯვება არჩილს დიდ სოციალურ უკუღმართობად მიაჩნია. მისი აზრით, ეს შემთხვევით გამოწვეული გაუგებრობაა და მას მალე მოეღება ბოლო. პოეტი საკმაოდ მკაცრი მუქარითაც ამბობს:

ბოლო არ გაუთავდების ბატონის სახლში მჯდომელსა. (704)

ყმისგან ურჩობა, აშლილობა იმდენად დიდი ზიანის მიმყენებელია, რომ, პოეტის აზრით, გარეშე მტრისგან მოყენებული ვნებაც კი არ შეედრება მას:

მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზე მიიღებს.(987)

არჩილი მოითხოვს ბატონისადმი და განსაკუთრებით მეფისადმი დიდ მორიდებასა და პატივისცემას. მეფეს ადარებს მკურნალს, რომელსაც ძალუძს ყოველგვარი სენისაგან განკურნება, ყოველგვარი მწვავე ჭრილობის მოშუშება. მეფის განმკურნავი ძალა გაცილებით დიდია, ვიდრე თვით მკურნალისა და მოძღვრისა ერთად. თუ მკურნალი მხოლოდ ხორციელ ტკივილს შველის, ხოლო მოძღვარი - სულიერს, მეფის მოქმედების არე უფრო ფართოა. ის ზრუნავს ქვეშევრდომთა როგორც ხორციელი, ისე სულიერი ტკივილებისაგან განკურნებაზე. არჩილს მეფე წარმოდგენილი ჰყავს ერის პატრონად, რომელიც გულისხმიერებით ეპყრობა თავის ქვეშევრდომებს, ზრუნავს და ფიქრობს მათ ბედნიერებაზე:

მეფე ჰხამს მსგავსი მკურნალის ბრძნისა მის ხელოვანისა,
ყოველს სნეულსა სხვადასხვა წამალი მოუშოვნისა,
ზოგს კიდევ წყლული გაუჭრის, იმ სხვას კი მოუწოვნისა.
მოძღვარი ცოდვის მკურნალ არს, აქიმი ხორცთა სენისა,
თუ ერთმან ხორცს არ დააკლოს, სულს ვერათ განუსვენისა;
მეორემ ხორცი განჰკურნა, რომლითა სულსა კბენისა.
ბრძენს მეფეს ორთავ წამლობა ძალუც და კარგაც შვენისა. (გაბაასება კაცისა და სოფლისა 263).

ბაგრატოვანთა დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი - არჩილი ფეოდალთა კლასის პოზიციებიდან წყვეტს სოციალურ საკითხს, მაგრამ ჰუმანისტი პოეტის კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი *დაბალი სოციალური ფენის*, კერძოდ, გლეხთა ინტერესების დაცვას. მართალია, არჩილი გლეხისგან ბატონისადმი მოკრძალებას, მორჩილებას მოითხოვს, მაგრამ ბატონებსაც აფრთხილებს, რომ გლეხობას გულისხმიერებითა და თანაგრძნობით მოეკიდონ. ცხოვრებაში ღრმად ჩახედულ

არჩილს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი გლეხთა ყოფა, მათი საქმიანობა, მათი ხასიათი და ბუნება. ის მოხიბლულია გლეხთა თავდაჭერილი, ზრდილი და დარბაისლური ჩვევებით მათი შინაგანი კეთილშობილების მაუწყებელია მათივე ქცევა. ამიტომ არჩილი განსაკუთრებული სიმპათიითა და კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს:

გლეხნი იყვნენ, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადაც კმარ იყვნენ.

არჩილი შესანიშნავად ხედავდა, რომ იმდროინდელი საქართველოს ძირითადი ძალა და მატერიალური დოვლათის შემქმნელი გლეხობა იყო. გლეხობაზე იყო დაფუძნებული ქვეყნის კეთილდღეობა, ამიტომ ამბობდა:

თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა.

ეს გამაფრთხილებელი განცხადებაა. ფეოდალური კლასის ეკონომიურ და ფიზიკურ დაკნინებას არჩილი გლეხებისადმი უკიდურესად მკაცრ დამოკიდებულებაში ხედავს. გლეხობის ამოწყვეტა არჩილს დიდ ეროვნულ უბედურებად მიაჩნია.

"გაბაასებაში" მკითხველს იტაცებს ქართველთა ყოფითი მხარეების აღწერა, ბუნებისა და ბრძოლის სურათების დახატვა.

დიდი ექსპრესიითაა აღწერილი თეიმურაზის სარდლობით ქართველთა ლაშქრის ბრძოლა სპარსელთა წინააღმდეგ:

პირველ შუბი მოეიქნივე, მერმე მივჰყევ ხმალსა ხელი,
ხმალმოწვდილი გავერივე, ვაქნევინე ომ-სახელი,
კვლაცა ლახტი დავამსხვრიე, ვინ ახლოს მყვა მონახელი,
სრულ ლაშქარნი გაცაჰკვირდეს, თქვეს: "არისო ესე ხელი" (550).
მიესივნეს ერთპირობით, ვითა ვეფხი კანჯრის ჯოგსა,
დახოცნეს და ამოსწყვიტნეს, არათ გვანდეს დანაზოგსა;
მოლებსაცა უწყლად ჰხოცდეს, თილისმიან მათსა მოგვსა,
ამის მთქმელი მართალს უბნობს, ნურვინ ჰგონებთ ცუდად ბორგვსა (551).

განსაკუთრებით მიმზიდველად აქვს არჩილს დახატული ქართული ყოფის სურათები, ქართველთა ტრადიციული ზნე-ჩვეულებები. მთელი თავისი მომხიბვლელობით აქვს მას წარმოდგენილი ქართველი კაცის სტუმართმოყვარე ხასიათი, მისი გულკეთილი და გულუხვი ბუნება. სპარსეთიდან მომავალ მეფეს თავისი სახლის წინ

გზად გადაუდგება ქართველი გლეხი და დიდ გზაგამოვლილს მოკრძალებითა და თავმდაბლობით სთხოვს მის სახლში მოისვენოს:

ჩამოხდებით, არას დავჰკლავ, თავსა ვფიცავ შენის მზისას.

თავისი გულწრფელი სურვილი რომ კადნიერებაში არ ჩემოერთვას, გლეხი საკმაოდ ძლიერ არგუმენტს მიმართავს: ღარიბ გლეხთან მეფეს მით უფრო მიესვლება, რომ თვით ქრისტე ღმერთმა თავისი თავმდაბლობით პური კეთროვანის სახლშიც გატეხაო:

მეფე, უწყი, ისერებდა ქრისტე სიმონ კეთროვნისას.

გლეხი სახლთუბუცესს სთხოვს უშუამდგომლოს მეფესთან:

მან შერმაზანს სახლთხუცესსა უთხრა: "შენ ხარ ჩემი ღონე,

მოახსენე ერთი სიტყვა, უფრო ნულარ დამაღონე,"

და ხელგაშლილად სთავაზობს:

თავი, სახლი, საქონელი ყველა თქვენს წინ მოვიძღონე.

განაკუთრებით ეფექტურია ქართველი გლეხის გულალალი თქმა:

ერთი ღვინო დამილივეთ.(გაბაასება. 256)

მეფეც თანხმდება, რადგანაც: *"ვსთქვი თუ, რაღა გაეწყობა ასრე გულით მოპატიჟეს"-ო*, და განკარგულებას გასცემს: *"მო, ვეწეივნეთ მხიარულსა, ნურას უზამთ სიპატიჯეს".* გახარებული გლეხი გულუხვად უმასპინძლდება სტუმრებს, გაშლის შესანიშნავ სუფრას, წარუდგენს უძვირფასეს განძს - ცხრა მემკვიდრეს (*"მოიყვანა ცხრა ყმაწვილი აკვნებითა შიგ ჩაკრული"*) და შეავედრებს, რათა გამოიყენოს ქვეყნის სამსახურში:

ვიცი, არას არ შეიძღვნი, ძღვენი გიძღვნა თუცა სრული,

სრულამც თქვენა გენაცვლების დედმამიან თქვენთვის სრული,

შენის ჭირის ჩვენ სანაცვლოდ სული გვქონდეს ამოსული. (260)

ეს ეპიზოდი სტუმარმასპინძლობისა ორგანულადაა ჩართული მთლიან თხრობაში და ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩვენი ყოფის ერთ-ერთ მხარეზე. ასევე მიმზიდველად და ცოცხლად აღწერს არჩილი ბურთაობის, თევზაობისა და ნადირობის სურათებს. საერთოდ, არჩილი კარგად იცნობდა როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის ცხოვრებას. ამით აიხსნება, რომ "გაბაასებაში" არა ერთგზის ვხვდებით ჩვენი ყოფაცხოვრებითი მხარეების ამსახველ სურათებს.

ქართველ გლეხობასთან სიახლოვის შედეგად არჩილი საფუძვლიანად იცნობდა მდიდარ ქართულ ზეპირსიტყვიერებას, განიცდიდა მის გავლენას, ხშირად იყენებდა ხალხურ თქმებსა და ანდაზებს. ქართული ზეპირსიტყვიერების კვალი შეიმჩნევა თეიმურაზისა და რუსთველის "გაბაასებაში" რიგ შემთხვევაში არჩილს სიტყვასიტყვით აქვს გამოყენებული ქართული ანდაზები:

"რასა იქ, კარგო გიორგი, რას ვთესავთ, მოვიმკითია".

ან/და:

"უთქვამს ვისმე, ძველს შარას და ძველს მოყვარეს ნუ დააგდებთ"

ასევე:

"მაგრამ ძველად ნათქვამია, ომი სამზღვარს მესაზღვრესა".

ხალხური ანდაზა ზოგჯერ მცირედი ცვლილებებითაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს გამოწვეულია ლექსის სტრუქტურით, ანდაზის შინაარსი კი უცვლელად არის დატოვებული:

ნათქვამი არის, ხიდია წინ მიმავალის დანახვა.

"გაბაასებაში" შემონახული ქართული ანდაზები იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ ისინი უნდა მივიჩნიოთ ადრე ფიქსირებულ ნიმუშებად **(ქიქოძე 1952: 167).**

გარდა ზემოთაღნიშნულისა ,,თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში"არჩილი თავის ლიტერატურულ შეხედულებებსაც იძლევა, ის სიტყვას განსაკუთრებულ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. პოეტმა თავისი პირადი გამოცდილებით იცის ბოროტი და კეთილი ენის ძალა, ამიტომ თეიმურაზის პირით ამბობს:

,,ენის ძალა შენ გითქვამს და ცოტა მეც რამ მოგახსენო,

ტკბილი ასპიტს მოამდოვრებს, მწარე ძირში გარდახსენო". (714)

პოეტის ღრმა რწმენით, ბოროტ და გესლიან ენაზე არანაკლებ მავნებელია მლიქვნელი და გაიძვერა ადამიანის ენა, რომელსაც შეუძლია ადამიანთა პიროვნული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების არევა და აფორიაქება. ამ დასკვნამდე პოეტი მიიყვანა მისმა თანამედროვე ცხოვრებამ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ,,ავის ენის" წყალობით შუღლის, მტრობისა და გაუტანლობის ასპარეზად იყო გადაქცეული. ამიტომ დიდი პატრიოტი და მოწინავე იდეებით შეიარაღებული არჩილი დიდაქტიკური ტონით მიმართავს როგორც მის თანამედროვეებს, ისე მომავალ თაობას:

,,ვისცა არ უნდა აყოლა სიტყვა ავისა, ცუდისა,

...

აგრეთვე ენას თუ უსმენ, დაგრჩება, დაიბუდისა". (719)

შემდეგ არჩილი იძლევა პოეტური ხელოვნების განსაზღვრას; მისი აზრით, ლექსის წერის ხელოვნება წარმოადგენს ადამიანის სიბრძნის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს:

,,ესე არის სიბძნე ბერძენთ, პირველ ფილასოფოსობა,

მკურნალობა, რიტორობა, მერმე ღრამატიკოსობა". (189)

არჩილის აზრით, პოეტის ნაღვაწი არ უნდა იყოს ხელოვნური და ნაძალადევი. პირიქით, ლექსი ყოველხმრივ გამართული უნდა იყოს, ის ადამიანს ესთეთიკურ სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს. მისი რწმენით, ლექსი უნდა იყოს უაღრესად მელოდიური, მუსიკალური და ამავე დროს ღრმა იდეური შინაარსის მქონე. ასეთი პოეტური ნაწარმოები მკითხველს მიიზიდავს, თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევს და მასზე ძლიერ ემოციურ გავლენას მოახდენა. თავისი ეს ფრიად საინტერესო შეხედულება ასე აქვს გადმოცემული:

,, ზოგჯერ უნდა წასასვლელად, ვით კაპანმა კაცი აბას,

გული ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას,

ერთი რამე სალაღობო ზედ ხუმრობა წამოაბას,

მერმე კიდევ ძნელსა რასმე შეიქმოდენ მაზე, ა ბას". (17)

აქ შედარების მოხდენილად გამოყენებით კარგი პოეტური ქმნილების უდიდესი ზემოქმედების ძალა შესანიშნავად არის დახასიათებული.

არჩილს კარგად აქვს გათვალისწინებული სახოტბო პოეზისს თავისებურება: ხოტბის საგნის გაზვიადებულად და განდიდებულად წარმოდგენა და აქედან მომდინარე სახოტბო ძეგლების ჰიპერბოლიზაცია და ფანტასტიკა. ამიტომ ის გაბე-დულად უპირისპირებს ,,მართალ ამბავს'' არა მარტო ზღაპარსა და ფანტასტიკას, არამედ ხოტბასაც კი (ქიქოძე 1964: 95).

თხზულების ლექსითი შესავლის ერთ-ერთ სტროფში არჩილი განმეორებით მიუთითებს თავისი თხზულების შინაარსის თავისებურებაზე და თამამად აცხადებს:

,,ვეჭვ ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ მოსაგონარი

არ საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,

არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუვილად გასაგონარი". (15)

არჩილი მკითხველის ყურადღებას ნაწარმოების დასასრულსაც ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მან გალექსა მხოლოდ ის, რაც ნახა, ან უტყუარი ცნობების შესწავლით შეითვისა:

,,რაც მასმოდა, არ მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები,

ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანერთზედ დანათვლები". (1129)

დიდაქტიკური მოტივი. არჩილის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებაში ეროვნულსა და სოციალურ პრობლემებთან ერთად საგანგებო ადგილი უჭირავს დიდაქტიკას, ეთიკის პრობლემებს გარკვეულმა სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, სახელმწიფოს დაქსაქსულობამ, აფორიაქებულმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ ძლიერ იმოქმედა მოსახლეობის მორალზე. უცხო ტომების მომძლავრებას თან მოჰქონდა უცხოური ზნეობრივი თვისებები, შინაურმა აშლილობამ და სოციალურმა ძვრებმა გამოიწვიეს ტრადიციული ჩვევებისა და შეხედულებების ცვალებადობა. ესაა მიზეზი, რომ არჩილის შემოქმედებაში განსაკუთრებით მწვავედ დგას ზნეობის საკითხები. მორალური სიმტკიცის ტრადიციულად ნაანდერძევი მაღალი ზნეობრივი თვისებების დაკარგვა, ანდა მათი შებღალვა პატრიოტ პოეტს ეროვნული დაცემულობის გამოხატულებად მიაჩნია. ამიტომ იგი განსაკუთრებული ბეჯითობით იხილავს ზნეობრივ პრობლემებს.

არჩილი გვევლინება დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე დიდაქტიკოსად. ზნეობრივი პრობლემები მთელი სიღრმით არის დასმული ძირითადად ოთხ ნაწარმოებში: *"საქართველოს ზნეობანი", "ლექსნი ასეულნი", "ლექსნი ასნი ორმუხლნი", "ლექსნი ასდაათნი"*. ეს ნაწარმოებები, შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ ერთ მთლიანს. აღნიშნულ პრობლემას ქართული განმანათლებლური სკოლის ფუძემდებელი არაერთგზის ეხება სხვა ნაწარმოებებშიც, მაგრამ "საქართველოს ზნეობანის", ისევე როგორც "ლექსნი ასეულნის", "ლექსნი ასნი ორმუხლნისა" და "ლექსნი ასდაათნის" ძირითად იდეურ შინაარსს დიდაქტიკა წარმოადგენს. დარიგება, შეგონება გამოწვეულია სწორედ იმ გარემოებით, რომ ავტორი ხედავს მის თანამედროვეთა ზნეობრივ დაკნინებას. ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებში ჩვენ უნდა დავინახოთ, ერთი მხრივ, იმდროინდელი ცხოვრების რეალისტური სურათი და მეორე მხრივ, ავტორის მიზანი ამ სავალალო მდგომარეობიდან თანამედროვეთა ხსნისა. "საქართველოს ზნეობანი" ერთგვარი რეალისტური ნაწარმოებია, რომელშიც ნეგატიურად ასახულია ჩვენი ყოფა.

საგულისხმო ფაქტია, რომ არჩილმა არამარტო ჩამოაყალიბა "მართლის თქმის" თეორიული პრინციპები, არამედ დარიგებისა თუ ყვედრება-სამდურავის სახით ასახა ჩვენი ყოფის სურათები, გაამახვილა ყურადღება თანამედროვეთა საიჭირბოროტო საკითხებზე და ზნეობრივად გადაგვარებულთა მხილებით წარმოგვიდგინა იმდროინდელი დუხჭირი სინამდვილე. ამდენად, დიდაქტიკური მოტივების შემცველი ნაწარმოებები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თავისებურად რეალისტური ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებში არ გვაქვს სინამდვილის ფართო ასახვა, მაგრამ იქ ვხედავთ ცხოვრების სხვადასხვა კონკრეტული მხარის ჩვენებას.

პოეტის გულისწყრომას უპირველესად იწვევს თანამედროვეთა უზნეობა. არჩილი ღრმა გულისტკივილით ჩივის თანამედროვეთა ზნედაცემულობის გამო:

ვერ ხედავთ, მარტო ჩვენს ჟამში, რამდენი ავი რამ იქნა.

რა ცრუ-ფიცობა, რა ზაკვა, უნამუსობა, რა ლიქნა (82)

საზოგადოების მორალური დაცემა იმდენად სახიფათო გამხდარა, რომ არჩილი აღშფოთებით ამბობს:

რანი ვართ კაცნი? ცუნდრუკნი, არა თუ საწყალობელნი,

წუწკნი, მიმდონი სოფლისნი, თვისის სჯულისა მგმობელნი,

მოთნენი, თავთა ვერ მხედნი, მეგობართ მაგინებელნი.

უნდოთა ყოვლთა ბრძენთასა ან ქვე რას გვშობენ მშობელნი. (იამბიკო. 5)

ეს უკიდურესი განზოგადებაა, მაგრამ არჩილის მკაცრი განაჩენი გამოწვეულია იმით, რომ თანამემამულეთა ზნეობრივ მანკიერებას ის თვლის ეროვნული სიმტკიცის რყევის მიზეზად. ჭეშმარიტად დიდი მამულიშვილი პოეტი მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევს, რათა ყოველი მოვლენა, რაც უნდა უსიამოვნო და შემაწუხებელი იყოს, აგვისახოს თავისი ბუნებრივი ფერებით ყოველგვარი შეფერადებისა და თვალის ახვევის გარეშე: *"კარგისა ავი არ მითქვამს, არც შინაგანად ჭრელადა"*, - ამბობს მშობლიური ქვეყნის მოჭირნახულე პოეტი.

ამასთანავე არჩილი მიზნად ისახავს თავისი წვლილი შეიტანოს თანამოქალაქეთა მორალური აღზრდის დიდ საქმეში, სწორად წარმართოს ერის ზნეობრივი ცხოვრება. ამიტომ გაიხადა მან დიდაქტიკა თავისი შემოქმედების იდეური შინაარსის ერთ-ერთ არსებით მომენტად.

ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთ საფუძვლად არჩილი აღიარებს *განათლებას.*

ამიტომ მხურვალედ ქადაგებს სწავლა-განათლების, "მწიგნობრობის" საჭიროებას. საგულისხმოა, რომ განსწავლული პირისგან არჩილი მოითხოვს უცხო "ენისა და წიგნის" ცოდნას. უცხო ერთა კულტურის გაცნობა და მისი მიღწევების გადმონერგვა მშობლიურ ნიადაგზე მას საშურ საქმედ მიაჩნია, რადგანაც ეს ხელს შეუწყობს ეროვნული კულტურის აღორძინებასო. არჩილი დაბეჯითებით აცხადებს:

ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად

ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად (31).

არჩილის აზრით, ადამიანი მხოლოდ ქართულის ცოდნით ვერ მიიღებს ფართო და საფუძვლიან განათლებას:

ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უბნობდეს ქართულად.

უნივერსალური განათლების მოტრფიალე არჩილი სავალდებულოდ მიიჩნევს "გარეშე", ე. ი. საერო წიგნების კითხვასა და შესწავლას:

გარეშე წიგნის კითხვაზედ ხმა ავად ნუ იხავადა (33).

დიდი პედაგოგიური ალღოს მქონე პოეტი მეტად მნიშვნელოვანი მეთოდური ხასიათის დარიგებებს იძლევა. შესანიშნავად აყალიბებს იგი სწავლების პრინციპებს:

მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,

მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს,

ცოტა რამ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს,

უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს (67).

არჩილი ყველა განსწავლულსა და მწიგნობარს მოუწოდებს, არ დაიშურონ დრო და ენერგია ახალგაზრდობის აღსაზრდელად:

ვინ მეცნიერ ხართ, გვასწავლეთ და უმეცართა ისწავლეთ,

უდებ-ყოფასა ინანდეთ, რაც წინარ ხანი გარდავლეთ.

თუ ვინ რა კაი იცოდეთ, შვილებრ სხვათაცა ასწავლეთ. (ლექსნი ასდაათნი. 11)

შვილების წესიერად აღზრდას არჩილი მშობელთა მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლის, ეს იმდენად დიდ სახელმწრფოებრივ საქმედ მიაჩნია, რომ მშობლებს ყოველ-გვარი დანაშაული და ცოდვა შეიძლება ეპატიოს. თუკი მათ წესიერად აღზრდილი, ღირსეული მოქალაქე მისცეს ქვეყანასო:

მისიმც დედ-მამა ცხონდების, რა გინდ რომ იყოს ცოდვილი,

ვინც შვილი კარგი დააგდოს, ზნე-სრული, კარგად გაზდილი. (კაცისა და სოფლის გაბაასება 301).

ადამიანის მოქმედებაში ავტორი უმთავრეს პასუხისმგებლობას აკისრებს აღმზრდელს, რადგანაც აღმზრდელი არის აღსაზრდელის ჩამომყალიბებელი. მისი ჩვევებისა და ქცევის განმსაზღვრელი. ამიტომაა, რომ კონსტანტინეს შემზარავ მოქმედებაში არჩილი ადანაშაულებს არა თვით კონსტანტინეს, არამედ მის აღმზრდელებს, მათ განაპირობეს კონსტანტინეს ველური ხასიათიო:

იგიმც დღე დაიწყევლება, როს მამამ მისცა ყაენსა,

იგ მან ეშმაკმან გაზარდა, მით დაამსგავსა კაენსა...(გაბაასება. 215)

მწარე გამოცდილების შემდეგ სპარსეთში გაგზავნილ ყრმა თეიმურაზს აღმზრდელად გააყოლეს შერმაზანი, რათა მას ეროვნულ ტრადიციებზე გაეწაფა უფლისწული, ჩაენერგა ქვეყნის სიყვარული და სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას არ მოქცეულიყო უცხოელთა გავლენის ქვეშ:

მე შერმაზან თან გამომყვა ზნეობისა სასწავლებლად:

მწვრთნიდის საღვთო-საკაცობოს, თავი ჰქონდის თავსაელებად (248).

არჩილის იდეალია ღრმად განსწავლული პიროვბება, იგი ჰიმნს უძღვნის სიბრძნეს:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა, არც ისე მოსახმარია,

მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია,

სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგ ზლათაც მგონ სახმარია,

სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათ კამარია.

სიბრძნით მის ალაგს რაც ჰხამდეს, მის საქმის მომგონებია. (საქართველოს ზნეობანი 73).

. . .

სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია.

. . .

ამად დავშურდი სიბრძნესა, მისი ვარ ესრეთ მკობარი (საქართველოს ზნეობანი 100).

სიბრძნეში არჩილი გულისსმობს არამარტო ბუნებით ნიჭსა და გონიერებას, არამედ ღრმა და ფართო განათლებას, რომელიც ადამიანმა სისტემური სწავლით უნდა მიიღოს:

სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის.

. . .

სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდინ ვერ გააგდებ.

არჩილის მიერ ასე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება სწავლა-აღზრდის საკითხებზე გამოწვეული იყო ეპოქის მოთხოვნილებით. ამის შედეგია, რომ არჩილის მიერ აღძრული პრობლემა შემდეგ აითვისეს და შემოქმედებითად განავითარეს არჩილისავე აღზრდილმა სულხან-საბა ორბელიანმა და, განსაკუთრებით, დავით გურამიშვილმა.

არჩილის დიდაქტიკური კონცეფციით, მორალურად ამაღლებული, განსწავ-ლული და გონებრივად მომწიფებული ადამიანი ფიზიკურად სრულყოფილი უნდა იყოს. ჯანსაღი სხეული ჯანსაღი სულითაა შემკული. ადამიანი ფიზიკურად უნდა გაიწაფოს, დახელოვნდეს ნადირობასა და სპორტულ ვარჯიშში:

დია კარგია სხვებიცა ზნეობა-საქციელები,

მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ-ფიცხელები,

რადაბრაგანს და გადრზედა მარჯვეთ იხმაროს ხელები,

წავლა-წამოვლა, ცხენს ჯდომა მწვედ ვარგა ნასახელები (6).

მეორე ნაწარმოებში *"ლექსნი ასდაათნი",* რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს "საქართველოს ზნეობანის" გაგრძელებას, დეტალურად ჩამოყალიბებულია ის თვისე-ბები, რომელნიც უნდა ახასიათებდეს მებრძოლს.

არჩილის ზნეთსწავლა ეხება ყველა საქმიანობას და ყოველგვარი სოციალური მდგომარეობის წარმომადგენელს. მწერალს მხედველობაში ჰყავს როგორც გლეხი, ისე თავადი, როგორც ხელოსანი, ისე ვაჭარი, როგორც მხედარი, ისე მღვდელი.

"საქართველოს ზნეობანი" ერთგვარი ეთიკური კოდექსია, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქცევის ნორმები და რომლითაც ყოველდღიდრ ცხოვრებაში უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი. არჩილის ეთიკური შეხედულებები გამომხატველია ფეოდალური არისტოკრატიის თვალსაზრისისა. არჩილის ზნეობრივი მოძღვრება, უპირველეს ყრვლისა, ფეოდალური კლასის ინტერესებს ემსახურება.

პროგრესულად მოაზროვნე არჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის პიროვნულ ღირსებას. მან წამოჭრა პიროვნების თავისუფლების საკითხი და ამ თვალსაზრისის დაცვაში ისეთი გაბედული ნაბიჯი გადადგა და ისე შორს წავიდა, რომ თვით მეფეს დაუპირისპირა მონა. კიდევ მეტი, ამ უკანასკნელს უპირატესობასაც კი ანიჭებს, თუ ის თავისი პირადული თვისებებით აღემატება მეფეს:

სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა.

არჩილის ეს უაღრესად ჯანსაღი აზრი გაიზიარა და განავითარა მისმა დიდმა მემკვიდრემ სულხან-საბამ. *სულხანის აფორისტული თქმა: "მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანოთა მეფეთაო"*, როგორც ვხედავთ, სათავეს არჩილთან პოულობს. საგულისხმოა, რომ არჩილის აზრით მეფეს თავისთავად უნდა გააჩნდეს ღირსებები: სიბრძნე, გამჭრიახობა და მოღვაწის თვისებება, თორემ მხოლოდ გვარიშვილობა ვერას არგებს:

მეფეს გვირგვინი ვერ ბრძენ ჰყოფს, ბუნებით თუ არ ჰქონდესა.

ასეთი აზრის განვითარება მაშინდელ დროში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ის იყო ახალი გაბედული ნაბიჯი სოციალური პრობლემის სფეროში. მაგრამ აღნიშნული დებულებები მაინც შემთხვევით ხასიათს ატარებენ, ისინი უფრო ეთიკური პრინციპებია, გამოთქმული ჰუმანისტი მოაზროვნისგან, და არა არსებული სოციალური სინამდვილის დღის წესრიგში დაყენებული საბრძოლო პრობლემა.

არჩილი იმდენად მჭიდროდ და ორგანულად, მთელი არსებით იყო დაკავშირებული თავის კლასთან, რომ მიუხედავად თავისი პროგრესული აზრებისა, შინაგანად მაინც ვერ ეგუებოდა მეფის უფლებებზე "მონის" პრეტენზიებს. უაღრესად უშუალო და გულწრფელია არჩილი, როდესაც ამბობს:

მონისაგან ვით ეგების მეფობისა ნდომა ყოლად?

როს გონებამ ეგ გიზრახოს, სცან, ეშმაკის ხარ ამყოლად,

ეგ არ არის მისაგონად, თუმც ძლივ ღირსხარ ყმურად ყოლად,

ეგებ ეგ კი მოინდომო, გვერდს იახლო კაამყოლად (გაბაასებასება კაცისა და სოფლისა 149).

აქ უკვე მოაზროვნე პოეტი ადგილს უთმობს უფლებამოყვარე ფეოდალს, რომლის აზრითაც მეფობის უნარით დაჯილდოებულია მხოლოდ ღვთისგან განწესებული

პიროვნება და მონისა თუ ყმისგან ოცნება ასეთ საგანგებო მდგომარეობაზე მხოლოდ კადნიერებაა:

ადვილი ტვირთი გგონია მეფობის უღლის დადება,

ვერ ხედავ რაზმთა სიმრავლეს საშიშრად დაექადება,

მერმე წყალობით მიხედავს, მისცემს და არ იქადება,

მეფე სიმართლის მსაჯული ღვთისაგან დაიბადება (150).

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში არჩილი დიდ შინაგან ჭიდილს განიცდის. მასში იბრძვის სხვადასხვა საწყისი. მის წინაშე მწვავედ დგას პიროვნებისა და გვარიშვილობის პრობლემა. მაგრამ ის პოულობს ერთგვარ შემარიგებლობითს გამოსავალს. თუმცა მისთვის ამოსავალია გვარიშვილობა, დათმობაზეც მიდის, პირადულ ღირსებასაც უწევს ანგარიშს. თუ ადამიანი განსწავლულია, მას ეძლევა შესაძლებლობა დიდგვაროვანთა წარმომადგენლებთან გატოლებისაო, ამბობს არჩილი:

კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლში გაიზარდოს,

თუ სიბრძნეშიგ გაიწვრთნების, უგვარომანც გაივარდოს,

თვარ უგვარო გვარიანსა ცუდათ ვინმე შეუფარდოს.

უგვარო თუ არას იწვრთნის, სიკეთე ვით გაიმარდოს (გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა 417).

ამრიგად, გარკვეული კლასობრივი პოზიციების მტკიცედ დამცველი არჩილისთვის უცხო არ არის ჰუმანისტური თვალსაზრისი სოციალურ საკითხებში;

კლასობრივი მდგომარეობა არ ზღუდავს მას განავითაროს პროგრესული აზრები და წამოჭრას პიროვნების თავისუფლების იდეა. არჩილის დიდაქტიკა ეხება ადამიანის ზნეობის სხვადასხვა მხარეს. მისი იდეალია გამრჯე, კეთილშობილი და მაღალზნეობიანი პიროვნება. არჩილის მოძღვრებით ადამიანის უცილობელი თვისება უნდა იყოს სიკეთე:

ისა კარგი ზნეობაა, ვინც გულით არვის ბოროტობს.

რუსთაველის აფორისტული თქმით: "რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია" - არის შთაგონებული არჩილის შემდეგი შეგონება:

არც იცი, სხვისგან მიღებას მიცემა უკეთესია.

ხოლო სხვა შემთხვევაში პოეტი უფრო გაშლილად ავითარებს ამ აზრს:

არვის მართებს საქონელი სულ თავისთვის კაცს უნდოდეს;

უშურველად უნდა გასცეს, მსგავსიერად ვის მოუნდეს.

მხიარულის გუნებითა გაცემაზედ არ დაჭმუნდეს.

სიმართლისა მოღვაწებით შემოჰქონდეს და გაჰქონდეს (ლექსნი ასდაათნი. 79)

გულუხვობა, ხელგაშლილობა ადამიანის დამამშვენებელი თვისებებია:

იცით, საუნჯეს უხმარსა სჯობს გაცემული ყოველი.

იქვე უმატებს:

მართებს ბრძენსა გონიერსა, რაც იცოდეს, არ მალევდეს (გაბასება რუსთაველისა და თეიმურაზისა 1122).

ასე რომ, არჩილი ლაპარაკობს არა მარტო ნივთიერი დოვლათის უხვად გაცემაზე, არამედ საკთხს აყენებს უფრო მაღალი პრინციპული ასპექტით: ადამიანი უნდა ცდილობდეს მორალურ-ინტელექტუალურ სფეროში სხვას დაეხმაროს. თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვასაც გაუზიაროს, სხვისთვისაც ხელმისაწვდომი გახადოს. ადამიანის მამოძრავებელი უნდა იყოს პატიოსნება, სიმართლე:

კიბედ მოიგე სიმართლე ყოვლისა კარკაცობისა.

სხვაზე ზრუნვა და თავდადება ადამიანის საპატიო მოვალეობაა:

კაცი უნდა ვით თავისა, სხვათაც აგრეთვე მოყვარე (იამბიკო ლექსები. 9)

ბოროტება და შური არჩილს საზოგადოების დამღუპველ მოვლენად მიაჩნია, პოეტი სახალხო ტრიბუნის ენერგიითა და გამბედაობით უქადაგებს თანამემამულეებს:

ვერიდნეთ შურსა, ვეკრძალნეთ ცოდვასა მაკვდინებელსა;

პატრონთა ორგულობასა, სიკვდილის შემძინებელსა;

გესლოვანს ენას, უბრალოდ სისხლისა მადინებელსა.

ვამე სხვათ მწვრთნელსა კეთილად, თავისა შემგინებელსა (ლექსნი ასეულნი 20).

დიდი ქართველი დიდაქტიკოსის ნაწარმოებები *"საქართველოს ზნეობანი" "ლექსნი ასნი ორმუხლნი" და "ლექსნი ასდაათნი"* წარმოადგენენ ერთგვარ ეთიკურ ტრაქტატს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ზნეობრივი ნორმები და რომელთა დაცვით თითქოს ადამიანი თავს დააღწევს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მანკიერ მხარეს.

ცუდ ზნეობრივ თვისებათაგან თავის დაღწევის, ადამიანის გამაჯანსაღებელ და გამსპეტაკებელ საშუალებად არჩილს მიაჩნია შრომა. შრომაში გართული ადამიანი, ერთი მხრივ, კეთილ საქმეს აკეთებს და, მეორე მხრივ, დაზღვეულია უზნეობისგან, მას აღარ ძალუძს ბოროტება:

განვიდევნოთ გულისწყრომა, ცრუი რისმე ენოვნება,

დავიშრიტნეთ გულისთქმანი, რომელს ძალუც დიდი ვნება;

მოვიძაგოთ ნაყროვნება, ცუდი, უქმი მოსვენება;

ბეჭთ ვიტვირთოთ მუშაკობა, ვით ცხედრისა განსვენება (12).

გარჯა, შრომისმოყვარეობა ადამიანის გამაკეთილშობილებელი თვისებაა, ამიტომ ამბობს არჩილი, "მუშაობაც კარგი ზნეაო".

რუსთველის ტრადიციებზე აღზრდილი არჩილი ადამიანის განსაკუთრებულად ამამაღლებელ გრძნობად მიიჩნევს მეგობრობას:

მეგობრის ბრძნის და სარწმუნოს არ იპოება ნაცვალი,

არ შეაწუხებს მოყვასსა, თუმცა არ ქონდეს საცვალი,

ახარებს თვალსა და გულსა, ვით მარგალიტის მარცვალი,

ლხინად შეგიცვლის ჭმუნვასა, გემართოს ვისმე რაც ვალი (10).

ვასაც ეს ამამაღლებელი გრძნობა არ აქვს, მასში საეჭვოა საერთოდ ადამიანური თვისებების ძიება, ის არა მარტო საზოგადოებისთვის უსარგებლია პიროვნებად რჩება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს ვნებსო:

კაცი მოყვრისა მოშურნე მისგან თავს უფრო ივნებსა.

არჩილი საერთოდ ძალიან ამახვილებს ყურადღებას ადამიანთა ურთიერთობაზე, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების წევრთა ჯანსაღ ურთიერთმიმართებას, ურთიერთგამტანობასა და თავდადებას, რადგანაც ის მიაჩნია ერის კეთილდღეობის საფუძვლად. თავმდაბლობა და მოკრძალება ადამიანის დიდი ღირსებაა:

ოქროსა ცეცხლი გამოსცდის, კაცსა სიმდაბლის ალია.

ადამიანი უნდა იყოს პრინციპული და მიუკერძოებელი, მას უნდა ეყოს მოქალაქეობრივი სინდისი და გამბედაობა, რათა აღიაროს საკუთარი ნაკლი და მაშინ დაძლევს კიდეც მას. მხოლოდ ვიწრო ბუნების, სულმოკლე ადამიანის თვისებაა სხვისი ნაკლოვანების გაზვიადება და საკუთარის მიჩქმალვა. ამიტომ დიდაქტიკური ტონით მიმართავს ის თანამემამულეებს:

შენსა ვერ ხედავ, სხვისასა ადვილად დაინახავ;

ჭკვიანი კაცი არ უნდა დაუკავშირდეს ცბიერს, თუნდაც კერძო შემთხვევაში რაიმე სარგებლობაც მოუტანოს, რადგანაც ცბიერი და ყალბი ადამიანი არაფრით არ იმსახურებს პატივისცემას. ვერაგისადმი საზოგადოებრივი ზიზღი იქცევა მისი

აღზრდის, გარდაქმნის ერთადერთ საშუალებად. არჩილმა შესანიშნავად იცოდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდ ზიანს აყენებს სიხარბე და ავი ენა, იგი დამარწმუნებლად აცხადებს:

ვინ ენას სძლევს და მუცელსა, დიდი ნიჭი აქვს მადლისა,

ვინ ბოროტსა სძლევს, ხელთა აქვს სრულყოფა მას საწადლისა.

ასეთი ზოგადი შეგონების შემდეგ იძლევა კონკრეტული ხასიათის დარიგებას:

მუშაკი დღეის საქმისა ხვალისა მდები სცდებისა,

მის-მის დღის საქმე მის დღეს სჯობს, რადგან სოფელი სცდებისა (ლექსნი ასნი ორმუხლნი 23).

არჩილის ზნეთსწავლება პასუხს იძლევა ცხოვრების ცალკეულ, პრაქტაკულ საკითხებზე. არჩილი კიცხავს "მემთვრალეობას":

ღვინო საშვებლად გულისა კაცთათვის ბრძნად დადებულა,

არა წარმღვნელად გონების და შფოთად დაბადებულა;

სვით ზომიერად, სალხინოდ, ვინ თქვენთვის გარდადებულა.

კარგა გასინჯეთ, ნუ ბძანებთ: რას მისდებ, ან მოდებულა (52).

კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით იბრძვის იმ დროს მეტად ფეხმოკიდებული ავი სენის-მექრთამეობის წინააღმდეგ:

კაცს უნდა სძულდეს საფასე სხვის ქრთამად შემოძლეულნი.

თვით სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ პრეტენზია ერის მოძღვრად ყოფნისა, თავს არ იკავებდნენ მექრთამეობისგან, რის გამოც არჩილი მათ აფრთხილებს:

ნურავინ ქრთამით დაიპყრობს, ნურც დიდ-გვარობით საყდარსა.

ასევე დიდ ნაკლად მიაჩნია არჩილს თავდაუჭერელი, დაუფიქრებელი ლაპარაკი. ავსიტყვაობა ბევრი უსიამოვნების გამომწვევია:

ავის სიტყვის აღმოშვებად ენას შენსა კბილნი დაადგ;

გიჯობს, იწვრთნა, დაადუმო, გარედამეც ბაგე მიადგ (ლექსნი ასეულნი.80)

არჩილის დიდაქტიკური პოეზია გამიზნულია სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთათვის. ის ერთნაირი გამბედაობით ტუქსავს ყმისა და ბატონის უზნეობას, ერთნაირი გულისხმიერებითა და მონდომებით არიგებს მუშასა და მხედარს, მღვდელსა და ვაჭარს, მაგრამ მისთვის მთავარი, ერის

კეთილდღვობის საფუძველთა-საფუძველი მაინც მოზარდი თაობის აღზრდის საქმის მოწესრიგებაა. ამიტომ ის ხშირად უბრუნდება აღზრდის პრობლემას. ცუდად აღზრდილი, ქვეყნისთვის გამოუსადეგარი შვილი დიდი საზოგადოებრივი უბედურებაა, ასეთის ყოლას სულ უყოლობა სჯობიაო.

უშვილოთა სჯობს სიკვდილი უკეთურთ შვილთა ყოლასა,

სჯობს მარტოდ ყოფა კაცისა ბოროტთა თან აყოლასა (83).

სამაგიეროდ არამარტო მშობელთა, არამედ ერის ბედნიერებაა კარგად აღზრდილი შვილი, ის იმედია დაუძლურებული მშობლისა:

შვილისა სიკეთისაგან იხარებს მამა ძლეული.

ასე ზოგად, ფართო საზოგადოებრივ მნიშვნელთბის მქონე მორალურ სენტენციებთან - დარიგებებთან ერთად, არჩილი აყალიბებს *ყოველდღიური ქცევის სახელმძღვანელო, საკუთრივ ზრდილობის წესებს.* ასე, მაგალითად: მარჯვნივ მჯდომ (სუფრაზე) ამხანაგს მონაცემი მარცხენა ხელით უნდა ჩამოართვა, და პირიქით (191 - 192); განმარტოებულად მოსაუბრეებთან მიუწვევლად მისვლა არ შეიძლება; მათ კი მართებთ გაირიონ საუბარში, ვინც შემოესწროთ (217 - 220); არ შეიძლება ჯდომის დროს ფეხის ფეხზე გადადება, ზურგით კედელზე მიყრდნობა; უზრდელობაა ადგომის დროს ხელის დაბჯენა ან ლაპარაკი, როცა პირში რაიმე გიძევს; ყოვლად დაუშვებელია "ცხვირის გამოკრკნა" და "კბილის საჩრჩელის" ხმარება, "ავად გადუჟვა" (გაფურთხება) და "ცხვირის მოხოცვა"; სიარული სიფრთხილით უნდა, რომ "წინ მავალს უკან არ მიჰყვე, ტალახი არ მოსცხო"; ზრდილ კაცს უნდა შეეძლოს აგრეთვე "ტანსა და ფეხსა გაწყობა".

არჩილი ასე დეტალურად იმიტომ ჩერდება ადამიანის ქცევის ნორმებზე, რომ თანამედროვენი ჩივიანო:

ბევრი კაცი იმიზეზებს, არა მყონდა მომვლელიო.

ხოლო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის დარიგება, ზნეთა სწავლება აუცილებელია, თორემ *"უთუოდ მთხრებლში შთავარდეს, ვინ უაღვიროდ რბოდისა"*. თანამემამულეთა ზნეობის მართებული გზით წარმართვა არჩილს დიდ მოქალქეობრივ მოვალეობად მიაჩნია. ამასთანავე, იგი იმდენად ფხიზელი და პრინციპულია თანამედროვეთა მანკიერი მხარეების შემჩნევასა და გამოაშკარავებაში, რომ უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთს, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალსაც კი.

თავისთ დიდაქტიკური პრინციპების ჩამოყალიბებისას თითქოს უხერხულობასაც კი გრძნობს ამდენი ნაკლის აღნიშვნის გამო და მობოდიშებით ამბობს:

თავსა ჩემსა ვწვრთნი უფრორე, ბოროტად ვხედავ განერსა.

ამ მორიდებული განცხადებით ყოველი ნაკლი, რომლის შესახებაც მის პოეზიაშია ლაპარაკი, არჩილს თავის პირად ნაკლად აქვს წარმოდგენილი და არა ქვეყნისა.

"ზნეობათა" შორის, როგორც მართებულად შენიშნულია, არჩილს ყველაზე მნიშვნელოვან და ძნელ დარგად "საღმრთო ზნეობა" მიაჩნია

თავსაც სამღვთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე-საქმე რაც არი.

ყოველგვარი სიკეთის საფუძველთა საფუძველი არის ღრმად მორწმუნეობა:

საფუძვლად ღვთის შიშს დაუდებს, ზედ სიყვარულსა აუგებს.

მორწმუნე პოეტის აზრით, მხოლოდ ღვთის შიში და სიყვარული განაპირობეს ადამიანის ბედნიერებას:

ვინ ძრწის სამღვთოსა შიშითა, ვერა რა შეაშინებსა,

უშიში ღვთისა თვისისა, ჩრდილისგან შეიშინებსა.

კაცს უყვარს ღვთისმოყვარესა ყოველი კაცი სრულებით,

ძმის მოძულარსა ღმერთი სძულს სიბოროტისა კრულებით (ლექსნი ასნი ორმუხლნი 25).

ასეთ ზოგად შეგონებებთან ერთად, რომელშიც ხაზგასმულია "საღმრთო ზნეობის" უპირატესობა, არჩილის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით ბიბლიური წიგნებიდან ამოღებულ სენტენციებს. მისი სასულიერო პოეზია გამოხატავს მორწმუნე ადამიანის რელიგიურ გრძნობებს, იმქვეყნიური ცხოვრებისადმი ტრფიალს. ამქვეყ-ნიური უსამართლობითა და ბოროტებით გულნატკენი პოეტი საიქიოში ეძებს სულიერ შვებასა და სამუდამო ნეტარებას

"გაბაასება კაცისა და სოფლისა". არჩილმა განსაკუთრებული სიმახვილითა და სიღრმით დააყენა ადამიანის ცხოვრებასთან, სინამდვილესთან დამოკიდებულების პრობლემა. მთელი სისრულით ეს საკითხი წამოჭრილია განსაკუთრებით პოემაში "გაბაასება კაცისა და სოფლისა", რომელშიც მსჯელობის საგანი თვით სინამდვილე, ცხოვრებისეული წინააღმდეგობებია. არჩილმა ყოველი მოვლენა განიხილა ურთიერთსაწინააღმდეგო კუთხით, საპირისპირო პოზიციებიდან.

მთავარი ბრალდება, რომელსაც ადამიანი სოფელს უყენებს, არის უსამართლობა, უკუღმართობა. ადამიანთა კეთილმდგომარეობა წარმავალია, ნივთიერი დოვლათი საზოგადოების წევრთა შორის სამართლიანად არ ნაწილდება:

ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგნებინებ,

ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნცლს მოაძებნინებ;

მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ,

ძველს თავადს ღაღანიძესა ქვეშ ჭილობს დააგებინებ. (141) (**არჩილი 1999: 54**)

მით უფრო გულსატკენია ის, რომ ბევრი სრულიად დაუმსახურებლად, მზამზარეულად, ყოველგვარი შრომის გარეშე აღწევს ნივთიერ უზრუნველყოფას, ფუფუნებაში იმყოფება ისე, რომ არც იცის და არც კითხულობს, თუ რა განაპირობებს ამ ფუფუნებას:

ზოგთ მიეცა დიდებანი ასეთს, რომ ვერ შეიტყვიან,

არ იმადლის, არვის მისცემს, ვინუბოძა, არ იტყვიან;

თვისი დადვეს მოუხმარად, სხვათაც იმათ გაუყვიან,

ვაიმე თუ ვით მე ვიყო, თქვიანო და არა ჰყვიან (342).

მეორე ბანაკს წარმოადგენენ ღარიბები, ისინი დღენიადაგ ჯაფასა და გაჭირვებაში არიან:

ვინ ღარიბობს, არ იღირსებ მოსვენებით თავს დებასა.

არჩილი ამხელს ადამიანის სიხარბეს, გაუმაძღრობას, მაგრამ ადამიანის ამ თვისებაში ადანაშაულებს თვით სოფელს, რადგანაც ეს უკანასკნელი აყალიბებს ადამიანის ბუნებას, მის ხასიათს:

თუ მდიდარ მყოფ, კიდევ უფროს დიდებასა მომანდომებ,

რომ შემომყრი დიდს ლაშქარსა თავსა დიაღ მომაწონებ,

მერმე ერთ სხვას წამომჭიდებ, მომრევს, იმას დამამონებ,

გგონია, რომ შენს სიმუხთლეს ვერ ვხედვიდეთ, ამას ჰგონებ (106).

ასე რომ, ადამიანის კეთილდღეობა, ბედნიერება დროებითია, წარმავალი და სოფელზე მინდობა თავის მოტყუებაა. სინამდვილის ასეთი აღქმა ასაზრდოებს არჩილის პესიმისტურ განწყობილებას. პოეტი სასოწარკვეთამდე მიჰყავს სოფლის სიმუხთლეს, წარმავლობას:

ვხედავთა, ჟამნი ყოველნი დღითი-დღე იცვალებიან,

ვინ იშვებს, ვინმე იხარებს, მეფენიც გარდიცვლებიან,

ამ საწუთოსა დღისაგან სხვის დღისად მიიცვლებიან,

სრულ ყოვლთა წელთა სიმრავლე ერთ დიდ დღედ შეიცვლებიან (58).

არჩილის გაგებით ყოველივე წარმავალია, სინამდვილის მკაცრი და საოცარი ლოგიკა ამსხვრევს ადამიანის აღმაფრენას, თვით ყოვლისშემძლე მეფენიც არარაობად იქცევიან ცხოვრების სასტიკ დინებაში. ღრმად მორწმუნე პოეტის თვალსაზრისით ამქვეყნიური ბედნიერება მოჩვენებითი და არარეალურია. ჭეშმარიტი და მუდმივი ბედნიერება საიქიოსაა. ადამიანისთვის ღმერთმა შექმნა სამოთხე და იქ ჰპოვებს ის რეალურად შვებას, ამისთვის კი საჭიროა, რომ ადამიანმა იხელმძღვანელოს რელიგიური პრინციბებით, მაშინ სამოთხის კარი მისთვის ღია იქნება:

სამოთხე დასხა ედემსა კაცთა ენითა უთქმელი,

ეგზომ ტურფა და სამდომი, ვერცაღა მე ვარ სრულ მქნელი,

მუნ გაფუფუნა შვებითა, არ იყო ურვით სულთქმელი;

თუ მორჩილ იყო იმისი, ვინ იყო შენი დამნთქმელი (25).

არჩილი უკიდურესობამდე როდი ავითარებს რელიგიურ პრინციპებს, ასკეტობამდე როდი მიდის. ის რეალისტურად უყურებს სინამდვილეს. მას ესმის ადამიანის ჯანსაღი, ბუნებრივი მოთხოვნილებები და რელიეფურად გამოკვეთს ამ მოთხოვნილებებს. მართალია, შუა საუკუნის მოქალაქის ცნობიერებაში რელიგიას გარკვეული ადგილი უჭირავს, მაგრამ ეს როდი თრგუნავს მასში ცხოვრებისეულ გრძნობებს. არჩილს კარგად აქვს გამოვლენილი მის თანამედროვეთა გულწრფელი სურვილი: მოიპოვონ სასუფეველი არა ცხოვრებისგან ხელის აღების ხარჯზე, არამედ სარწმუნოებრივი პრინციპების ამქვეყნიურ ბედნიერებასთან შეფარდებით.

მინდა ყოველი სიკეთით, ყოფა სიმდიდრით, სოფელო,

სახელით განვლა შენ მიერ, ცრუ ხანის წამ საყოფელო,

ზეცის ქალაქსა მკვიდრ ყოფა, მის წილად არ სამყოფელო,

არამედ შენვე მაცდუნებ, ტკბილადრე შემომყეფელო (105).

რეალურ სამყაროში "სიკეთით და სიმდიდრით მყოფს" გარკვეული პრეტენზიები აქვს საიქიოში კეთილმოწყობაზედაც. მიუხედავად ასეთი მიზანსწრაფვისა, მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნიური ბედნიერება თითქოს პირობითი და წარმავალია, არჩილი სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხს მაინც ჯანსაღად, ამქვეყნიური

თვალსაზრისით წყვეტს. არჩილის მსოფლმხედველობაში პესიმისტური საწყისები ადგილს უთმობს ქმედით პრინციპებს. ადამიანის მოვალეობაა არა პასიური და მოწუწუნე დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, არამედ მოქმედება, მოღვაწეობა:

მოღვაწება სჯობს სულისა უდებებითა გდებასა,

რა ძალუც უქმად ყოფასა, კაცობის სულ დადებასა,

უსარგებლოსა ტირილსა, მოთქმასა ან გოდებასა (ლექსნი ასდაათნი. 52)

კაცობრიობის მამოძრავებლად არჩილს აქტიური იმპულსები მიაჩნია, ადამიანის ერთადერთ დანიშნულებას ის ხედავს შემოქმედებით მოღვაწეობაში. ადამიანი მთელი არსებით უნდა ჩაერთოს ცხოვრების დუღილში და ხელი შეუწყოს კაცობრიობის წინსვლას. ამ ზოგადკაცობრიული პრობლემის - ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და დანიშნულების ასე პროგრესულად მებრძოლი, ოპტიმისტური გადაწყვეტილებით არჩილი წინამორბედია ბარათაშვილისა. არჩილი, ისე როგორც შემდეგ *ნ. ბარათაშვილი*, რეალისტურად წყვეტს სოფელთან დამოკიდებულების საკითხს, ადამიანმა უნდა გამოიჩინოს თაოსნობა, ჩაერიოს ამსოფლიურ საქმიანობაში და სოფლის სიმდიდრე თავის სასარგებლოდ გამოიყენოს:

რადგან ჩვენია სოფელი, მაშ, გვიხამს კარგა ხმარება.

ადამიანი სრულიად გულწრფელად აღიარებს თავის ჯანსაღ, ბუნებრივ მოთხოვნილებას სოფლისადმი:

სოფელო, კიდეც გიზრახავ, არც გაგვეძლება უშენოთ,

არას ვარგივართ შენ არ გვყვე, ვით სახლის ხე-ტყე უშენოთ (გაბაასება კაცისა და სოფლისა 215).

ამავე აზრს ავითარებს არჩილი ნაწარმოებში "ლექსნი ასდაათნი".

სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვეხსნებია.

არჩილი დამაჯერებლად გამოხატავს ადამიანის სოფლისადმი, სიცოცხლისადმი ტრფიალს. ადამიანი არ იზიარებს სოფლის რჩევას, რომ მას არაფერი არ დარჩება, რომ თვით მისი სიცოცხლეც ამქვეყნად მხოლოდ დროებითია; კიცხავს სოფელს განყენებული მორალის ქადაგებისთვის:

საწუთროვ, დაგიჟინია: "ცრუ ვარ და არ შეგრჩებიო;

შენ გაქვსო, ეისცა არ ჰქონდეს, მიეც, ნუ ეურჩებიო"(217).

ამის საწინააღმდეგოდ აყალიბებს თავის უაღრესად პრაქტიკულ ამოცანებს:

რაც მიშოვნია, სხვას მივცე, უმისოდ რით დავრჩებიო.

რაცა მაქვს ერთპირ გავფანტო, სალარო ჩემი ქონება,

მე ვინღა მომცემს, პატრონო, ამას გაავლე გონება? (218)

აქ უკვე გამოვლენილია ადამიანის ვიწრო ბუნება, ეგოისტური მიზანსწრაფვა. არჩილი აღწერს ადამიანის შეზღუდვას ყოფითი ინტერესებით:

რა ვქნა, სოფელო, შვილები მყავს, მიყვარს, მებრალებისა,

მინდა დაუგდო მრავალი სალარო-საუნჯეებისა,

მე ძლივ შევკრიბე, დაობლდენ, ამათ სად ეშოვებისა.

მოვკვდე ეს მინდა, მით მიყონ წესები რამ სულებისა. (არჩილი 1999: 66)

ეს ერთგვარი მობოდიშებაა იმის გამო, რომ ადამიანი მოქმედებაში მეტად შეზღუდულია, მის ქცევას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, ის თითქოს იძულებულია ერთგვარი ხარკი გაიღოს ოჯახის, შვილების წინაშე, რის გამოც უხდება საჭირო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. სოფელიც შემარიგებლურ პოზიციაზე დგება, არც ის მოითხოვს ხელის აღებას ამქვეყნიური ბედნიერებისგან:

ნუ გეშინიათ, არ გიშლით, სოფელი ნურვის გინდაო.

ეს სტრიქონი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ არჩილის აზრით, ქრისტიანობა როდი უგულებელყოფს ადამიანის ამქვეყნიურ ინტერესებს, როდი მოითხოვს ცხოვრებისგან განდგომას და სასიცოცხლო მოთხოვნილებებისგან ხელის აღებას.

ამრიგად, კაცის და სოფლის "გაბაასებაში" არჩილმა დასვა ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და დანიშნულების საკითხი, განავითარა ოპტიმისტური იდეა. თუმცა არჩილისეულ კონცეფციას სარწმუნოებრივი ელფერი გადაკრავს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ არჩილი ცხოვრების, სინამდვილისეული მოვლენების ანალიზისას ავითარებს ჯანსაღ, მოწინავე თვალსაზრისს. ადამიანის მოწოდებას ხედავს სოფელთან უშუალო კავშირში ყოფნისა და შემოქმედებით საქმიანობაში.

არჩილის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან შედარებით მკრთალად გამოიყურება სატრფიალო ლირიკა. არჩილის **"სამიჯნურონი"** უფრო გონების ძალით ნაკარნახევი წიგნური ზეგავლენით შექმნილი თხზულებაა. არჩილისეული მიჯნურის სახეც უფრო ზოგადი და განყენებულია, ლექსიკაც ნაწილობრივ რუსთველური და ნაწილობრივ თეიმურაზისეულია.

სპარსული მწერლობის წინააღმდეგ მებრძოლ არჩილს თვითონაც გარკვეული ხარკი გაუღია ამავე მწერლობის წინაშე. გაულექსავს **"ვისრამიანი"**. "არჩილი ტექსტს სიტყვასიტყვით არ ლექსავს. ზოგ შემთხვევაში ტექსტს კვეცს, ზოგ შემთხვევაში კი ახალი დეტალებითაც ავრცელებს, ცალკეული ადგილების თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა. ზოგ შემთხვევაში ებრძვის და ეკამათება ძეგლის იდეურ მხარეს. ერთი სიტყვით, გამლექსავი თავისუფლად და თავისებურად ამუშავებს მასალას, ოღონდ საერთოდ არ შორდება დედნის შინაარსეულ მონაცემებს, არ არღვევს სიუჟეტურ წყობას და თანმიმდევრულად მიჰყვება ამბის განვითარებას"**(ა. ბარამიძე: 1955).**

რამდენადაც მნიშვნელოვანია არჩილის შემოქმედება ღრმა აზროვნებით, ცხოვრების რთულ, მრავალფეროვან და საჭირბოროტო საკითხების გარკვევით, მრავალი აქტუალური პრობლემის წამოჭრითა და პროგრესულად გადაწყვეტით, მოწინავე შეხედულებებისა და თვალსაზრისის ჩამოყალიბებით, იმდენად შედარებით მკრთალია მისი ნაწერების მხატვრული მხარე. თუმცა ავტორი ბეჯითად აცხადებს: "სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამსო", მის სტრიქონებს მაინც აკლია სიმსუბუქე და პოეტური სინარნარე, სისადავე, მომხიბლაობა და ჟღერადობა. მიუხედავად ამისა, აქა-იქ მის ლექსებში ვხვდებით ორიგინალური სახეების გაელვებას. გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს არჩილის მიერ ოსტატურად გამოყენეგული განმეორებები:

ავის მქნელო, ავის მთქმელო, შენ ულირსო სულთქმისაო.

ასევე სოფლისადმი მიმართვა:

შენვე გვყვედრი, შენვე გვკიცხავ, შენვე გვმძლავრობ ვით ეგება.

ხე ხილისგან, ხილი ხისგან - ნათქვამია - იცნობება (გაბაასება 245).

თუ პირველ სტროფში სამჯერ მეორდება ერთი და იგივე სიტყვა, მეორე სტროფში ბგერათა ოთხგზის გამეორებით მიღებულია ალიტერაცია. ალიტერაციითა და ასონანსებით შესამჩნევია არჩილის "მეფეთა საქებარნი და სამხილებელნი":

ვისი ვის ვისდა, რასა საქმისდა

ვიყავ და აწე სად მივიბარე.

რიგ შემთხვევაში არჩილი ალიტერაციისა და ასონანსის მთელ რიგს ქმნის:

აგარ აკი, აგარაკი, ვერ მოიგო სარას სწორად,

იგ ავია, იგავია, ვერვინა თქვას, უთქვამსო რად (29).

ალიტერაციისა და ნაწილობრივ რითმის გულისთვის არჩილი ბარბარიზმსაც მიმართავს:

თვით პეტრე ცარი, ვნახე რაც არი (62).

პოეზიაში იშვიათია სალიტერაციო ბგერად ჟ-ს გამოყენება, ხოლო არჩილი ამ მხრივ ქმნის სასიამოვნოდ მჟღერ ტაეპს:

რად ვართ მიმდონი ჟამისა, ჟამიერს ჟამნივ დახსნიან (ლექსნი ასდაათნი 15).

ალიტერაციებს განსაკუთრებულად ხშირად მიმართავს ანბანთქებაში, მაგრამ იქ ისინი თვითმიზნური და ხელოვნურია.

სიტყვათა წარმოების თვალსაზრისით არჩილი არაიშვიათად იყენებს რუსთველურ ფორმებს:

ვინ ძმა იძმო, ან და იდო...

სიცრუვე შერთო, იძმო და იდო...

რუსთველურია ერთი და იმავე ცნების სხვადასხვა სინონიმური სიტყვებით გამოხატვაც:

უფრო არის, ვერ მოთვალოს სამოცხუთმან, ვერც სამასმან.

ბრძოლების აღწერაშიც არჩილი რუსთველის კეთილმოქმედ გავლენას განიცდის. ტარიელისებური შემართებითაა წარმოდგენილი თეიმურაზის მხნეობა:

პირველ შუბი მოვიქნივე, მერმე მივჰყავ ხმალსა ხელი,

ხმალმოწვდილი გავერივე, ვაქნევინე ომ-სახელი,

კვლაცა ლახტი დავამსხვრიე, ვინ ახლოს მყვა მონახელი,

სრულ ლაშქარნი გაცაჰკვირდეს, თქვეს: "არისო ესე ხელი" (550).

ორიოდე სტრიქონით ახერხებს არჩილი პერსონაჟის მკაფიოდ გამოსახვას. მაგალითად, ლუარსაბ მეფის პორტრეტი თუმცა ზოგადია, მაინც დამარწმუნებელია:

ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯობდა ნაყოფი,

თვალად და ტანად უცხო რამ, მართ მზისა გამონაყოფი,

უხვი, ზნესრული, მამაცი ლახვრულებრ მტერთა ნაყოფი (502).

კონტრასტულ ფერებში, მაგრამ დამაჯერებლად და რელიეფურად აქვს წარმოდგენილი საქართველოს არაერთგზის ამაოხრებელი, აღმოსავლელი დესპოტი - შაჰ-აბასი:

პირცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძვინებული,

მრავალჯერ გამარჯვებული, მტერზედან ალაღებული,

მომსრველი, ამომწყვეტელი, დამწველი ცეცხლ-მოდებული (445)

ძირითადი ნიშნების ჩამოყალიბებით, არჩილი რამდენიმე სიტყვით ქმნის ისტორიულ პირთა მხატვრულ სახეებსა და მკითხველზე ახდენს ემოციურ ზემოქმედებას. ღრმა შთაბეჭდილების მომხდენია გაზაფხულის აღწერა, რომელიც მოწმობს პოეტის მიერ ბუნების უშუალო განცდას:

მაისი დადგის - ტურფა თვე, ვარდი აყვავდის ბაღებსა,

ველნი ყვავილით შეიმკის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა,

ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭვრეტდით სულდანაღებსა (326).

მკითხველის წინაშე იშლება თვალწარმტაცი სურათი გალაღებული ბუნების სიმშვენიერისა.

ან:

მზე გარდეფარა გორს სამე, ქვეყანა იქმნნეს აჩრდილი.

რა თქმა უნდა, ,,არჩილი მოკლებულია რუსთველურ სიღრმესა და სიმკვეთრეს“ **(ბარამიძე 1940: 217)**. მაგრამ რუსთველის შემდეგ, შეიძლება ითქვას, არჩილი საუკეთესო აფორისტია ძველ ქართულ ლიტერატურაში. ის თავის დაკვირვებებსა და შეხედულებებს პიროვნული ან საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარის შესახებ საკმაოდ მკვეთრ პოეტურ სახეებში აყალიბებს.

სანიმუშოდ მოვიყვანოთ რამდენიმე სენტენცია - აფორიზმის მაგალითი ,,გაბაასებიდან“

1. *,,სიჩქარით კარგად ნაქმარი საქმე არ მოვა ბოლოსა,*

ვინც აუჩქარდეს სოფელსა, აკომლდეს, აებოლოსა.

დაჟინებისა მოყვასი დაემხოს დ (ა) ებოლოსა.

სჯობს ავის საქმის შემოცდა, კარგსა არ დაებრკოლოსა“. (506)

აქ აფორისტულია სტროფის ყველა ტაეპი.

2. *,,თუ სოფელი შენ არ მოგყვეს, შენ გიხმს მისკე მიიზიდო“ (508)*

3. *,,ჯაბანია იგი მოყმე, ვინ ქიშპისგან ადრე იძლევს,*

ხარბის კაცის წესი არის, თვით არ მისცემს, სხვისგან იძლევს“. (110)

4. *,,სიჩქარესა სჯობს სიწყნარე, უსმენსა გაგონებული“. (125)*

5. *,,კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლაში გაიზარდოს,*

თუ სიბრძნეშიგ გაიწვრთნების, უგვარომანც გაივარდოს!

თვარ უგვანო გვარიანსა ცუდათ ვინმე შეუფარდოს,

უგვარო თუ არას იწვრთნის, სიკეთე ვით გაიმარდოს?". (417)

6. *„მართლის თქმა სჯობს ტყუილისას, ცუდი არის მიდმოდება".(637)*
7. *„მას მოისთვლებს მემუშაკე, ძირად რასაც ნერგსა დარგავს". (1043)*

როგორც ვხედავთ, ბევრი აფორიზმი დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ხასიათისაა, ზოგიერთი მათგანი პირადი ცხოვრების გამოცდილებიდან აქვს აღებული.

პოეტის მიზანს შეადგენს თავისი აფორიძმებისა და სენტენცია-შეგონებებით ხელი შეუწყოს ზნეობრივად სპეტაკი და განათლებული ქართველის აღზრდას, რომელსაც ძლიერ სჭირდებოდა იმდროინდელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მხარე.

ფასდაუდებელია არჩილს ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში. ის არის პირველი დიდი ქართველი განმანათლებელი, რომელიც დაუშრეტელი ენერგიით იღვწოდა ქვეყნის აღორძინებისათვის და ოცნებობდა სამშობლოს დიად მომავალზე.

მიუხედავად ჟამთა სიავისა, არჩილი ბევრს ზრუნავდა ქართული კულტურის ცენტრების აღდგენა-გაშენებაზე. მან დააარსა პირველი ქართული სტამბა, შექმნა სამწერლობო კერა მოსკოვში, მის კარზე იყვნენ თავმოყრილი ქართველი სწავლულნი და მწერალნი. არჩილის მოსკოვის კოლონიის საშუალებით ქართველი საზოგადოება დაუკავშირდა რუსეთისა და ევროპის მოწინავე კულტურას. არჩილის განმანათ-ლებლური მოღვაწეობა გამოიხატა როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე ახალი მოწინავე იდეების განვითარებაში.

არჩილმა პირველმა წამოაყენა გონების, "სიბრძნის" პრიმატის პრობლემა, მასვე ეკუთვნის პიროვნების თავისუფლების იდეის წამოჭრა. არჩილმა ჩამოაყალიბა ჩვენს მწერლობაში რეალისტურობს, "მართლის" თქმის პრინციპები.

არჩილის განმანათლებლურმა იდეებმა გამოხატულება პოვეს როგორც ეთიკის, ისე სოციოლოგიის სფეროში. მისი დიდაქტიკა მიზნად ისახავდა საზოგადოების ზნეობრივად დახვეწას და ამაღლებას. ის იბრძოდა მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის გავრცელებისათვის. განმანათლებლურმა იდეებმა განაპირობეს აგრეთვე მისი პროგრესული შეხედულებები სოციალურ საკითხებში.

არჩილი, როგორც განმანათლებელი, იყო ქართული ჰუმანიზმის ტრადიციების აღმდგენი და გამგრძელებელი. ფრანგი განმანათლებლებისაგან განსხვავებით არჩილი არ ებრძოდა ეკლესიას, პირიქით, მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი ეჭირა რელიგიურ მოტივებს.

მაგრამ ეს თავისებურება განპირობებული იყო ეროვნულ-ისტორიული სინამდვილით. აგრესიულ მაჰმადიანურ სამყაროსთან ბრძოლის გარემოში სარწმუნოებრივი მოტივი ეჯაჭვებოდა ეროვნულს და თურქ-სპარსთა შემოტევის გამო ერში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცება ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფორმა იყო. ამით აიხსნება ქართული განმანათლებლობის ფუძემდებლის, არჩილის, მსოფლმხედველობაში ერთგვარი კომპრომისი რელიგიასთან.

არჩილი მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული მწერლობის ისტორიაში. მან გაბედულად დაიწყო ლიტერატურული ტრადიციების გადაფასება: ჩამოაყალიბა საინტერესო და პროგრესული შეხედულებები მწერლობის არსზე, მის სპეციფიკასა და მიზანდასახულობაზე, აღძრა მრავალი რთული და საჭირბოროტო საკითხი. დაგვიხატა საქართველოს ისტორიული წარსული და თანამედროვე ცხოვრება. დამარწმუნებლად აღწერა როგორც რთული ისტორიული მოვლენები, ისე ყოფითი სინამდვილის საინტერესო დეტალები, სიღრმითა და სიმწვავით წამოაყენა სოციალური პრობლემები და გამოთქვა მოწინავე შეხედულებები ამ საკითხებზე. ღრმა პატრიოტული გზნებითაა დაწერილი მისი თხზულებები. ბრძნული შეგონებებითაა გამსჭვალული მისი დიდაქტიკური პოეზია. არჩილის ზნეთსწავლება მოიცავს ადამიანის ქცევის ყველა სფეროს. არჩილთან უნდა ვეძიოთ გურამიშვილის დიდაქტიკის სათავე. არჩილმა დიდი სიღრმით წამოაყენა ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და დანიშნულების საკითხი და მეტად პროგრესული თვალსაზრისით განავითარა იგი. ყოველივე ამის გამო არჩილის ნააზრევმა დიდი ზემოქმედება იქონია ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

თავი III - მეფის ბიბლიურ-ქრისტიანული იდეალი და არჩილის შემოქმედება

მეფე საკრალური პიროვნებაა. პავლეს ეპისტოლეს ერთ-ერთი მუხლი მოგვითხრობს: „ყოველი სული ჴელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ჴელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი – იგი არიან ჴელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ **(რომაელთა 13, 1)**. სიბრძნე სოლომონისა ნათლად ქადაგებს მეფეთა ღვთაებრივი წარმოშობის იდეას: „ყურად – იღეთ, რომელთა გიპყრიან სიმრავლენი იზრახებთ ერითა თესლებითა, რამეთუ უფლისა მიერ მოცემულ არს თქუენდა სიმტკიცე და ძალი ძლიერება მაღლისა მიერ“ **(სიბ.სოლ. 6, 3-4)**.

ქართული მწერლობის შთაგონების წყარო ოდითგანვე იყო ბიბლია, რაც საღვთო ისტორიის სიუჟეტების, იგავების სიმბოლური გააზრებისა და ინტერპრეტირების უამრავი ნიმუშის არსებობით გამოვლინდა ქართულ ლიტერატურაში. თითოეულ ბიბლიურ სიუჟეტს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული არჩილის შემოქმედებაში, თითოეული ბიბლიური ეპიზოდი შორსმჭვრეტელური გააზრებითაა მოტანილი.

ბიბლიური სახისმეტყველება განმსაზღვრელია არა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის მსოფლმხედველობისა, არამედ მთელი შემდგომი ლიტერატურული ეპოქის სულისჩამდგმელად და სააზროვნო სისტემად გვესახება. ბიბლიის არქეტიპულ-პარადიგმული სახეებით აზროვნება ოდითგანვე მოსდგამდა ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას. თუმცა, იგი ე.წ. „აღორძინების“ ეპოქის ლიტერატურაში მთელი სისრულით ვლინდება. არჩილის შემოქმედების მსოფლმხედველობრივი და სახის-მეტყველებითი თავისებურებანი სწორედ ბიბლიური წიაღიდანაა ამოსული, ამასთანავე ქართული სულისათვის ორგანული და სპეციფიკურია, რადგან არჩილის მხატვრული ნააზრევი ქართულ ზეპირსიტყვიერ და ევანგელურ მოდელებს ემყარება, რომლებიც ერთმანეთს ერწყმიან და ერთ მთლიან სააზროვნო სისტემას ქმნიან. არჩილი ქვეყნისა და საკუთარ მორალურ ხსნას ქრისტიანულ რელიგიაში ხედავდა და ცდილობდა თავის შემოქმედებაში გაეცოცხლებინა ბიბლიური პასაჟები, რათა ზღაპრულ-ნაჭორ ამბებს არ გაეუფერულებინათ ქართული ლიტერატურა, სწორედ ამით აიხსნება ე.წ. „აღორძინების“ ეპოქის მწერალთა შემოქმედებაში ბიბლიური მოტივების მძლავრ ნაკადად შეჭრა. არჩილის და ამ პერიოდის სხვა მოღვაწეთა მსოფლმხედველობა, ცხადია,

ქრისტიანულ მსოფლაღქმას ემყარება, უფრო მეტიც, სახარებისეული სულისკვეთებითაა გაჯერებული.

არჩილ მეფის ლირიკული ქმნილებანი ლიტერატურული აღსარებაა ცოდვით დამძიმებული ადამიანისა, რომელიც ცდილობს მოიპოვოს სულის სიმშვიდე. მისი შემოქმედება გაჯერებულია ბიბლიური სახე-სიმბოლოებით, ბიბლიური ეპიზოდებით, თან საღვთო თემატიკა მოცემულია ყოველგვარი ტროპული საბურველის გარეშე, რასაც შემდეგ განავრცობს მეტაფორულად. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს არჩილის მიერ სასულიერო მწერლობის საფუძვლიან ცოდნაზე. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში იგრძნობა პატრისტიკული, ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის კვალი, თუმცა მთავარი შთაგონების წყარო მაინც ბიბლიაა.

ჯერ კიდევ ბევრად ადრე, ისრაელში მეფობის შემოღებამდე განუცხადა უფალმა მოსეს თავისი ნება მეფის არჩევის წესის შესახებ: "არა იდგინო შენ სხუაი, არამედ რომელნიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან ძმათაგანვე შენთა, იგი დაიდგინო მთავრად შენ ზედა, რომელ არა ძმათა შენთაგანი იყოს" **(მეორე რჯული, 17,15)**. მეფის არჩევაში წინასწარმეტყველს საგანგებო მოვალეობა ეკისრება: უფლის სიტყვები – როგორც ყველა სხვა შემთხვევაშიც მან უნდა გადასცეს ხალხს: "წინასწარმეტყუელნი აღუდგინო მათ ყმათაგანვე თვისთა, ვითარცა-იგი შენ და მივსცნე მე სიტყუანი ესე ჩემნი პირსა მისსა და ეტყოდის მათ ყოველთავე მცნებათა ჩემთა" **(მეორე რჯული, 18,18)**. დისერტაციაში ბიბლიური მოსეს მაგალითზე შევეცდებით განვიხილოთ ზოგიერთი მოსაზრება მმართველის ბიბლიური იდეალის შესახებ.

ძველი აღთქმა ჭეშმარიტად მსოფლიო საკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვარია, რომელიც თავისი შინაარსით აქტუალობას არ კარგავს დღემდე. მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ტრაქტატი სახელმწიფოსა და ხელისუფლების შესახებ. ტრაქტატი, რომელშიც ასახულია საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი პრინციპები, ხელისუფლების სტრუქტურების ფორმირება და სასამართლო სისტემა, მართვის პრინციპები, ლიდერის არსი და განათლებული ლიდერის სახე. აქვე შევნიშნავთ, რომ ის არ შეიცავს მკაფიო და ლოგიკურ სწავლებას სახელმწიფოზე, ხელისუფლებასა და საზოგადოებაზე, ამის მიუხედავად არსებულ კონცეფციაზე თვალის გადევნება მასში თვალნათლივ არის შესაძლებელი.

ძველ აღთქმაში დაცულია ცნობები ეგვიპტიდან დევნილი ებრაელებისათვის სასურველი ბიბლიური სახელმწიფოს ეტაპობრივ ფორმირებაზე, საზოგადოებრივი ურთიერთობების ევოლუციურ განვითარებაზე, საზოგადოების იმ ლიდერებზე, რომლებიც მათ ჭეშმარიტ გზაზე აყენებდნენ. ლიდერებზე რომლებმაც საზოგადოებასა და ძლიერ სახელმწიფოს პოლიტიკური, ზნეობრივი და სამართლებრივი ფუნდამენტი ჩაუყარეს. ბუნებრივია, ძველი აღთქმა განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ბიბლიურ საზოგადოებას, შემდეგ - ისრაელის ლიდერებს, იქნება ეს მოციქული, მოსამართლე თუ მეფე. ისინი არიან განათლებულნი, პასუხისმგებლიანი, ღვთისგან ბოძებული ნიჭით აღსავსე ადამიანები. აღიარებული იყო, რომ ეს ადამიანები აღვსილნი იყვნენ წმინდა სულით და ახორციელებდენ უფლის ნებას. ძველი აღქმა, უფლის შემდეგ პირველ ადგილზე აყენებს ადამიანურ ფაქტორს – ადამიან-ლიდერს.

პირველი ასეთი ლიდერი იყო მოსე. ის იყო პირველი კანონშემოქმედი, პირველი მოსამართლე, ებრაული საზოგადოების პირველი მმართველი, ჭეშმარიტ გზაზე მათი წარმმართველი. აქვე განვმარტავთ რომ მმართველის ოფიციალური თანამდებობა მაშინდელ საზოგადოებაში არ არსებობდა. მოსეს, როგორც მმართველის სტატუსი განისაზღვრება მისდამი ხალხის დამოკიდებულებით, მათი ნდობითა და პატივისცემით. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ხელისუფლების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი ავტორიტეტი. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მოსე როგორც მმართველი-ლიდერი აღიარებული იყო არაუბრალოდ ,,ქვემოდან" ხალხის მიერ არამედ ,,ზემოდან" - უფლის მიერ, რომელიც ასევე ნდობით ეკიდებოდა მას. საზოგადოება და ღმერთი ხედავდა მასში ხელმძღვანელის მიწიერ სახეს – მმართველს, თუმცა ოფიციალურად ძველ აღთქმაში მას ასეთად არ მოიხსენიებენ **(Баренбойм 1997: 15)**.

მოსეს როგორც იდეალურ მმართველზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბიბლიურ საზოგადოებაში ის იქცა პირველ მოსამართლედ. ის არამხოლოდ დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს კონკრეტულ შემთხვევებში, არამედ საკუთრივ ხალხში აარჩია ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ მისთვის დახმარების გაწევა ,,და განსჯიდნენ ხალხს ყოველ დროს. დიდი საქმე მიჰქონდათ მოსესთან, ხოლო ყოველ მცირე საქმეს თავად განსჯიდნენ"**(გამოსვლა 18:26).**

მორწმუნე მეფის, ღვთისრჩეული ერის წინამძღოლის ერთგვარი ეტალონად წმინდა წერილში წარმოდგენილია დავითი. როდესაც დავითის ძე სოლომონი გამეფდა, ღმერთი მას ეტყვის: თუ ივლი ჩემს წინაშე როგორც მამაშენი დავითი დადიოდა წმინდა გულითა და სიმართლით, ყველაფერს აასრულებ, რაც ნაბრძანები მაქვს შენთვის, დაიცავ ჩემს წესსა სამართალს, განვამტკიცებ შენს სამეფო ტახტს ისრაელში სამარადისოდ, როგორც დავითისთვის, მამაშენისთვის მითქვამს…"(**3 მეფ IX.4:5**) სწორედ იმის გამო, რომ სოლომონი დავითის შთამომავალი იყო, ღმერთი მას სამეფო ტახტს შეუნარჩუნებს. როდესაც ისრაელის ერთიანი სამეფო ორად გაიყო, ჩრდილო ისრაელის პირველ მეფეს, იერობოამს უფალი ეუბნება: არ გავხარ ჩემს მორჩილს დავითს, რომელიც იცავდა ჩემს მცნებებს, მთელი გულით მომყვებოდა უკან და მხოლოდ სიმართლეს სჩადიოდა ჩემს თვალში (**3 მეფ.XIV,8**). შესაბამისად, უფალი ეუბნება იერობოამს, რომ მხოლოდ იმ პირობით შეეწეოდა, თუ ის ისე იცხოვრებდა და იმგვარად მართავდა ქვეყანას, როგორც ამას დავითი აკეთებდა. სწორედ დავითის მეფობაა უფლისათვის სათნო და ყველა მეფეს, რომელიც ღვთის ერის სამართავად ჰყავდა მოვლენილი უფალს, ევალებოდა დავითს მიმსგავსებოდა.

წმინდა პეტრე მოციქული ანტიოქიის სინაგოგაში დავით მეფეზე ასეთ სიტყვებს ამბობს: უფალმა დავითზე თქვა: ვპოვე დავითი, ძე იესესი, ჩემი გულით ნანატრი კაცი, რომელიც მთლიანად იქმს ნებას ჩემსას"(**საქმ. XIII, 22**) ეს სიტყვები დავითის მთელი ბიოგრაფიის ეპითეტად გამოდგება, რადგანაც აქ აღნიშნულია ის მთავარი შტრიხი, რაც დავითის პიროვნებას დაგვანახებს. ბიბლიაში დავითი გახლავთ ერთადერთი ადამიანი, რომელზეც ღმერთი ამბობს, რომ ის გულით ნანატრი კაცი იყო.

როგორც ნესტან სულავა აღნიშნავს: ქრისტიანი მეფის ბიბლიური პარადიგმა დავით წინასწარმეტყველია. ამითაა განპირობებული არჩილის მიერ თამარის მოხსენიება დავითის სულიერ შთამომავლად, მის ხელდასმულად მიჩნევა ამით აიხსნება. ტრადიციული მოსაზრებით, ქართველი მეფეები იწოდებიან „იესიან-დავითიან-სოლომონიანად" და ქრისტეს ჩამომავლებად, რაც სიმბოლურად აისახა ქართველ ბაგრატიონთა სამეფო გერბზე დავითის ქნარისა და შურდულის გამოსახვით, რაც ერთგვარი მინიშნებაა მათი ბიბლიური წარმომავლობისა და განსაკუთრებული მისიისა. ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის თემა საფუძველია ერის მესიანისტური ტრადიციისა, კერძოდ „საზეპურო ერად" მიჩნევისა, ამით საქართველო ღვთისგან

რჩეული შეიქმნა, ღვთაებრივი მადლის მოზიარე გახდა და დამცველად მოევლინა საქრისტიანო სამყაროს, ამას მოწმობს ქართველ ბაგრატიონთა წოდება „მესიის მახვილი“ **(სულავა 2003: 58-59)**. ჯერ კიდევ წმინდა გრიგოლი ამკობდა აშოტ კურაპალატს მესიანისტური ეპითეტით: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ შვილად წოდებულო ჴელმწიფეო“. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ბაგრატიონთა წარმომავლობის პირველწყაროდ მიაჩნია მარიამ ლორთქიფანიძეს **(ლორთქიფანიძე 1966: 146)**. ერის რჩეულობას და მის მესიანიზმს ერთგვარად განაპირობებდა საქართველოში უფლის კვართის დავანებაც, რამაც ქართველ ერს სულიერი ნათელი შესძინა. ამით გამჟღავნდა ღვთის დამოკიდებულება საქართველოსადმი და ქართველი ერისადმი. უფლის კვართის საქართველოში დავანება ერთგვარად განპირობებულია საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობით.

რა ნიშნები აქვს ქართულ მესიანისტურ იდეას ? აკაკი ბაქრაძე ოთხი საყურადღებო ფორმულით ხსნის.

პირველი: ცნობილი ჰიმნით – „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ქართული ენა გამოცხადებულია ქრისტეს ენად. მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამ ენით დაელაპარაკება კაცობრიობას. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ძველ ქართულ მწერლობაში ქართული ენა განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ, როცა 13 ასურელი მამა საქართველოს საზღვარს მოადგა, კათალიკოს ევლავიოსს ღამით უფლის ანგელოსი ეჩვენა და უთხრა: ღვთის მონა იოანე მოწაფეებითურთ მოდის, შეეგებე და შეიწყნარეო. კათალიკოსი ევლავიოსი ასურელ მამებს შეეგება. იოანეს ქედზე მოეხვია და კეთილად მობრძანება უსურვა. სტუმარი მასპინძლის ფერხთით დაეცა და ღმერთს მადლობა შესწირა, კათალიკოსის თაყვანისცემის ღირსი რომ გახდა. იოანესა და ევლავიოსს შორის საუბარი ქართულად მიმდინარეობდა. ამის გამო „ცხოვრების“ ავტორი გაკვირვებული ამბობს: „ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყველი ყოვლად დაუბრკოლებელი?“ პასუხს ასე იძლევა: „ეჰა, საკვირველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა“. როგორც ხედავთ, ქრისტეს შთაგონებით, ქართულად ამეტყველდა კაცი, რომელსაც ქართული „არცა ოდეს ასმიოდა, არ თუ ესწავა“. ასევე ღვთის შთაგონებით ალაპარაკდა ქართულად ექვთიმეც. მართალია, იგი ქართველი იყო, მაგრამ გადავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა. უჭირდა ქართულად საუბარი („იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“). ერთხელ ექვთიმე

მძიმედ იყო ავად. ავადმყოფს ღვთისმშობელი ეჩვენა და ჰკითხა: რა გტკივა, ექვთიმე? სნეულმა უპასუხა: ვკვდები, დედოფალო. ღვთისმშობელმა ანუგეშა იგი: „არარაჲ არს, ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ. ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. ამ სიტყვების მერე ექვთიმე არა მარტო სრულიად განიკურნა, არამედ დიდებული ქართულითაც ამეტყველდა: „მიერითგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროჲ აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“. ასე მჭიდროდ უკავშირდება, ჩვენი მწერლობის აზრით, ქართული ენა და იესო ქრისტე ერთმანეთს.

მეორე: ქრისტეს კვართი საქართველოში, მცხეთაშია დასაფლავებული. დაკრძალვის ადგილს აგებულა სვეტიცხოველი. მატიანე გვიამბობს, რომ ორი კაცი, ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, საქართველოდან იერუსალიმს გაემგზავრა. ისინი მაშინ ჩავიდნენ იერუსალიმში, როცა იქ იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. უფლის კვართი თურმე მცხეთელ მოქალაქეებს ხვდათ წილად. „ხოლო კვართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთას“.

მესამე: საქართველო ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

მეოთხე: ბაგრატიონთა სამეფო დინასტია არის იესიან-დავითიან-სოლომონიანი. მოგეხსენებათ, ქართველ მეფეთა ბრძანება-განკარგულებანი, წესისამებრ, იწყება ასე: „ჩვენ იესიან-დავითიან სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთ მეფემან...“ ამრიგად, ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლად თვლიდნენ თავს. რატომ? იმიტომ, რომ იესეც, ძეც მისი დავით, სოლომონიც ძე დავითისი სახარებაში მოხსენიებული არიან ქრისტეს წინაპართა შორის. მაშასადამე, ქართველი ბაგრატიონები და ქრისტე ნათესავები არიან. ეს კი ქართული სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მოწმობდა. ამასთან ერთად, გარკვეულ პერიოდში ქართველი მეფეები „მესიის მახვილად“ იწოდებიან. ისინი დამცველიც არიან და გამავრცელებელიც ქრისტეს მოძღვრებისა. ქართულ მესიანისტურ იდეას აყალიბებს ქართული საეკლესიო მწერლობა. მისი აზრი მკაფიოა: თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, ქართული ენა ქრისტეს ენაა, რომლითაც უნდა ელაპარაკოს უფალი კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს, ბაგრატიონები კი ქრისტეს ნათესავები არიან, ცხადია, ქართველი ხალხი საგანგებო, განსაკუთრებული მისიის მატარებელია. იგი მოვალეა ეს მისია აღასრულოს. ქართული ეკლესია, ისტორიის ასპარეზზე, ამ იდეით წარმართავს და ამოქმედებს ქართველ ხალხს.

იბრძოდნენ თუ არა ქართული სამეფო კარი და ქართველი პოლიტიკოსები ამ იდეის პრაქტიკული განხორციელებისათვის? თუ აზრი მხოლოდ აზრად დარჩა და ამით დამთავრდა ყველაფერი? რა თქმა უნდა, იბრძოდნენ. ქართული მატიანე, ქართული მწერლობა ამას გვიდასტურებს. **(ქართული მწერლობა 1988:7)**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეფის ბიბლიური (ქრისტიანული) იდეალი მთავარ ხაზად გასდევს არჩილის შემოქმედებას.

თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ არჩილი ქმნის ქრისტიანი მეფის იმ იდეალურ პარადიგმულ სახეს, რომელიც ყოველი მონარქისათვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. სწორედ ასეთი მეფეა თამარი, რომლის შესამკობადაც არჩილი ბიბლიურ-ევანგელურ სახე-სიმბოლოებს ემყარება და იხსენიებს: „თამარ ნათელი“ (სტროფები: 815, 2; 821, 2; 829, 1). თამარის შედარება ნათელთან, მზესთან შემთხვევითობით არ არის განპირობებული, იგი მომდინარეობს ქართული მესი-ანისტური ტრადიციიდან. ამ იდეას ეხმიანება არჩილი პოეტურად, როდესაც წერს: „ხელმწიფევ მზის შარავანდო, უმჯობევ, უნათლიერო“ (930, 2).

სახელი „თამარი“ ძველ ებრაული სახელია და განიმარტება, როგორც „ფინიკის ხე“, იგივე პალმის ხე, რაც სიმბოლურად დაკავშირებულია ცხოვრების ხესთან **(გამსახურდია 1991: 123)**. ცხოვრების ხე ერთმანეთში აერთიანებს ღვთაებრივ ნათელსაც და მის მესიანისტურ წარმომავლობასაც. მისი სახელი ერთგვარი განმარტებაა თამარის წარმომავლობისა, ასევე მის მისიასაც განსაზღვრავს საქრისტიანო სამყაროში.

პავლეს ეპისტოლეს მიხედვით, სამეფო ხელისუფლების საკრალურობის იდეა სახარებისეულ მოძღვრებაზეა დაფუძნებული, რომლის მიხედვით, ყოველი მეფე ღვთის მიერ რჩეულია და სწორედ მის მიერაა დადგენილი სახელმწიფო სამსახურში: „...რომელნი იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომ; 13, 1). იგივე შინაარსობრივი გამოძახილია არჩილის ნააზრევში „მეფედ ხმობილსა დედოფალს, მას ხელმწიფესა ზესთ-ზესა“ (880, 2).

ყოველივე ეს არჩილთან თამარის სახის სრულყოფილად წარმოსაჩენად შემდეგნაირადაა გააზრებული:

„ითხოვეს სიტყვა, დალოცვა, გამარჯვებისა ძლევისა

პირისა მისგან ბრძენისა ტომ დავითისა ლევისა,

წამძღვარებული ჯვარისა, ცხოველმყოფელის ძელისა

კვლავ დროშა გორგასლიანი, ბაგრატიონთა ძველისა“ (861).

ძალზე სიმბოლურია თამარის შემკობა „ნათლის“ ეპითეტით, მასში დავანებულია ბიბლიურ-ევანგელური სახისმეტყველება, რომლის მიხედვით, „ნათელი“ ღვთის ერთ-ერთი სახელია. ძველ აღთქმაში „ნათელი“ სამოსია, რომლითაც იმოსება ღმერთი: ,,შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი“ (ფს. 103, 2). „ნათელი“ ახალ აღთქმაშიც დასტურდება ღვთის სახელად: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ“ (იოანე 8, 22). „ნათელი“ მრავლისმომცველი სიმბოლოა, ბიბლიაში „ნათელი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. უპირველესად, უნდა გავიხსენოთ შესაქმის წიგნი, სადაც ღმერთმა შექმნა ნათელი, შემდეგ უკვე წარმოგვიდგება, როგორც მამაღმერთის და იესო ქრისტეს სიმბოლო, როგორც უმთავრესი ნათელი ადამიანთა სულისა, რადგან მან ბრძანა: „მე ვარ ნათელი“, ამიტომაა მთელი სასულიერ მწერლობა ნათლის სიმბოლიკით გამთბარი. როგორც ქეთევან ელაშვილი აღნიშნავს: „სასულიერო მწერლობაში წმინდანი „ნათელი შარავანდედითაა“ მოსილი, რაც მხოლოდ ღვთისგან რჩეულთა ხვედრია“ **(ელაშვილი 2004: 37)**. სწორედ ამგვარ წმინდანად სახავს თამარ მეფეს არჩილი.

ნესტან სულავას დაკვირვებით, „ნათელი“ გამოხატავდა სამებას, ღვთისმშობელსაც, მოწამეთაც. ხოლო მოგვიანებით საერო მწერლობაში ეს ეპითეტი გამოხატავდა გარეგნულ და შინაგან ესთეტიკურ სილამაზესაც **(სულავა 2003: 216)**. შესაძლოა, არჩილთანაც მოიაზრებოდეს „ნათელი“, როგორც თამარის ესთეტიზმის გამომხატველი, თუმცა უფრო მეტად სავარაუდებელია მისი ალეგორიული პლანი. როგორც ჩვენთვის ცნობილია ძველი აღთქმიდან, ღმერთმა ადამი და ევა შემოსა ნათლის სამოსელით, სამოთხის დაკარგვის შემდეგ ისინი განძარცვულ იქნენ ნათლის სამოსლისაგან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ არჩილი თამარის ,,ნათლით'' შემკობისას ცდილობს წარმოაჩინოს მისი სულიერი-ინტელექტუალური მხარე, მისი სულიერი მადლმოსილება. აქვე გასათვალისწინებელია თამარ მეფის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა. მისი იამბიკოები ნასაზრდოებია ერის მესიანისტური იდეით. თამარი „ცასა ცათასაში“ თავის თავს მიიჩნევს ბიბლიური დავითის ჩამომავლად:

„შენგან ქალწულო, რომელსა შენთჳს დავით

როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად“ (სულავა 2003: 295).

ან კიდევ:

„მე, თამარ, მჩენი ტომთაგან დავითებრთაადთ

თჳსად შემამკევ, მადიდე, აღმამაღლე“ (სულავა 2003: 295).

ტრადიციული მოსაზრებით, ქართველი მეფეები-ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან, წორედ იგივე ფესვებზე და შთამომავლობაზე საუბრობს არჩილი: „მოართვა თამარს, ვინ არის დავითიანი ცხებული“ (882, 4).

არჩილის ახსნით, თამარის იდეურ-პოლიტიკური წინსვლა, მისი წარმატებული და წინდახედული ბრძოლები, სწორედ ქვეყნის ღვთისმშობლის წილხვედრობის იდეით იყო განპირობებული. თამარი ღვთისმშობლის მისიის გამგრძელებლად ესახება მეფე-პოეტს. ეპითეტი „ნათელი“ კი თამარის ღვთიური მადლმოსილების გამოხატულებაა.

არჩილი არაერთ თხზულებაში მიმართავს მესიანისტური ტრადიციის წარმოჩენას, რაც გარკვეულ მიზანს ემსახურება. სრულიად მართებულად შენიშნავს ლ. ჭუმბურიძე, როდესაც წერს: „არჩილი მესიანისტური ტრადიციის გახსენებით მარტო აწმყოთი გამოწვეული ტკივილების დაამებას კი არ ცდილობდა, არამედ მიზნად ისახავდა, თანამედროვეებში განემტკიცებინა რწმენა შინაგანი ძალებისა, რომ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას დაღუპვა არ ეწერა და ბაგრატიონთა დინასტია ძალებს კვლავ აღიდგენდა“ (ჭუმბურიძე 1990: 68).

არჩილის თხზულებათა ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი სრულყოფილი არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ მათ საღვთისმსახურო ესთეტიკასაც. თამარია ის პიროვნება, რომელშიც საერო და ქრისტიანული ინტერესები შეერწყა ერთმანეთს, რის შედეგადაც მოხდა მისი უმაღლეს სარწმუნოებრივ რანგამდე აყვანა. თამარის სადიდებლად შექმნილ ნაწარმოებ „თამარიანში“ დედოფალი წარმოდგენილია სახელმწიფოებრივი და ღვთიური ნიშნებით. თამარში მხოლოდ მეფეს როდი ხედავდნენ. იგი იყო ქრისტიანული სარწმუნოების დამცველი და გამავრცელებელი, მფარველი მთელი საქრისტიანოსი. არჩილის შემოქმედების მიხედვით, თამარი არის ღვთაებრივი ნათლით მოსილი. როგორც ლამზირა ბუბუტეიშვილი აღნიშნავს: „მნათობთა მსგავსად ნათების უნარი ადამიანსაც აქვს მინიჭებული, როგორც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი, იგი ცდილობს მიბაძოს შემოქმედს, ისწრაფოს მისკენ. ქრისტიანული გაგებით ეს გზა ხორციელის დათრგუნვას, ამაოებისაგან განძარცვას გულისხმობს, ასეთ შემთხვევაში იძენენ ადამიანები უხილავი ნათლით ნათების უნარს,

წმინდანის ნათლით შემოსვა ღვთიური მადლის გამოვლენაა, იგი ღმერთთან თანაზიარების ნიშანია“ **(ბუბუტეიშვილი 2009: 40)**.

თამარ მეფე - ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრე თავისი დიდი პაპის - მეფე დავით აღმაშენებლისა, ერის წინაშე ბუმბერაზი დამსახურების გამო, ღმერთთან წილნაყარად შერაცხა ქართველმა ერმა **(შიოშვილი 2014: 6)**. „თამარ-ქალისთანა“ სიმღერებმა რვა საუკუნე გამოიარა და დღესაც მღერის ხალხი პირვანდელი ძალისხმევით, მაშასადამე, ერის სულის განუყოფელ ნაწილად ქცეულან ისინი, ერს შეუსისხლხორცებია, უკვდავუყვია და ასე ნალოლიავები გადაუცია შთამომავლობისთვის“ **(არდაშელია 1986: 46).**

არჩილი თავის შემოქმედებაში ბიბლიურ მეფეებთან მიმსაგვასებულ მმართველებთან აიგივებს მას და ღვთის მიერ დაბადებულს უწოდებს.

ამრიგად, არჩილის შემოქმედებაში განფენილ პრობლემათა შორის ერთ-ერთი არსებითია ეროვნული ცნობიერებისა და ქრისტიანული აღმსარებლობის ერთ მთლიანობაში გააზრება, რაც გამჭოლ პრინციპად გასდევს მთელ ქართულ მწერლობას. ქრისტიანულ აღმსარებლობასა და ეროვნულ პრობლემას შორის ურთიერთკავშირი ოდითგანვე არსებობდა. ჯერ კიდევ „აბოს მარტვილობა“ გადმოგვცემს: „დავივიწყეთ მამულისა ჩვეულებისამებრ სვლაჲ“. ეს სიტყვები გულისხმობს ეროვნული ტრადიციებისა და აღმსარებლობითი პრინციპების შესუსტებას, რასაც გამოძახილი ე.წ. „აღორძინების“ ეპოქაშიც აქვს, კერძოდ, არჩილის პოეტურ სამყაროშიც.

თავი IV - მეფეთა სახეები პოემაში

„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“

მეფე-პოეტ არჩილის ლიტერატურულ ქმნილებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულების მქონე პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, რომელსაც არც თუ ისე ბევრი მკვლევარი შეხებია. არჩილის თხზულებებზე მეცნიერულ-კრიტიკული წერილები საკმაოდ მცირეა, თუმცა საერთო მინიშნება, რომელიც თითქმის ყველა მკვლევართან გვხვდება, არის ის, რომ მეფე-პოეტი „მართლის თქმის“ პრინციპის დამფუძნებელი და ერთგული დამცველია. მეტნაკლები სისრულით არჩილის თხზულებანი მაინც განხილულია ქართული კრიტიკის ისტორიაში. უნდა ითქვას, რომ მკვლევარები განსაკუთრებით აანალიზებენ „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისას“ და ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი პოეტის ერთ-ერთი უმთავრესი ქმნილებაა. მეტად საინტერესოა თხზულების ფორმა. იგი ჟანრული თვალსაზრისით ეკუთვნის გაბაასებას, რომელიც სპარსეთიდან შემოვიდა ჩვენში და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. „აღორძინების“ ხანის მოღვაწეთა შემოქმედებაში.

თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ თვალნათლივ იკვეთება რეალური და მხატვრული სინამდვილე. რეალურად არსებულ პიროვნებებსა და მათ მხატვრულ თხზულებებს, რომელთა შედარება-შეპირისპირება არჩილს საშუალებას აძლევს საკუთარი ეთიკურ-ესთეტიკური მრწამსი, მოვლენებისადმი საკუთარი დამოკიდებულება გაგვაცნოს. ასე რომ, არჩილს სრული უფლება აქვს საკუთარი თხზულება ზღაპრობად და მონაჭორად არ ჩათვალოს, მისი რეალური საყრდენი რუსთველის პოემა და თეიმურაზის შემოქმედებაა. სწორედ მათი მსოფლაღქმა გახდა საფუძველი არჩილისათვის, რათა გაერღვია დრო-სივრცული ზღვარი და შეექმნა პოემა, რომელიც ორი ეპოქის ტენდენციათა განსჯა და გაანალიზებაა.

აღნიშნულ პოემაში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის პასუხები, სადაც თეიმურაზი პირველ პირში გვიხატავს მისი მეფობის დროინდელ საქართველოს, მაგრამ სანამ ამ ისტორიულ ნაწილზე გადავიდოდეთ ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ თეიმურაზის ლიტერატურულ საქმიანობას, საინტერესოა როგორია მეფე-პოეტ არჩილის თვალით დანახული ასევე მეფე-პოეტი თეიმურაზი. სათაურიდანვე ჩანს, რომ

ამ კუთხით არჩილი არ უნდა იყოს გულგრილი თეიმურაზის შემოქმედების მიმართ, რადგან ისეთ დიდ შემოქმედს გააპაექრა როგორიც რუსთაველია.

არჩილის თანამედროვე საზოგადოებაში საცილობელ საკითხად ყოფილა ქცეული, თეიმურაზსა და რუსთაველს შორის რომელს უნდა მიკუთვნებოდა უპირატესობა. მართალია, რუსთაველის გავლენა აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაზე განუზომელი იყო, მაგრამ ერთ დროს, განსაკუთრებით XVII საუკუნეში, თეიმურაზ პირველის პოეტური სახელი ისე დიდი იყო, რომ მას ქართული მხატვრული სიტყვის გენიასაც კი ადარებდნენ.

თეიმურაზი იყო შვილი კახეთის მეფის დავითისა და ქეთევან დედოფლისა.
იგი მამას თბილად, სიყვარულით აღსავსე სიტყვებით გვიხასიათებს:

პაპა ჩემი ჯდა ხელმწიფედ კახეთს ღვთისაგან წყალობით,

მშვიდი, მოწყალე, მდაბალი, რჯულზედან ერთობ მკრძალობით;

ქვრივთა, ობოლთა შემბრალე, არ იყო მათზედ ძალობით,

კვლავ მშვილდოსანი უსახო, ცხენ-მალე, მშვილდ-ფიცხელობით (არჩილიანი: 1999:207)

ხაზს უსვამს მის სიძლიერესაც:

მტერთა მლეველი, ძლიერი, ლომი მიაჩნდა მელადა,

მუდამ მას ჟინად ნადირთ-სრვა აეღო ერთობ ხელადა (208)

დავითიც და ქეთევანიც ქართული მწიგნობრობის მოყვარულნი და მოამაგენი იყვნენ. დავითს უთარგმნია ქართულ ენაზე "ქილილა და დამანას" ერთი ნაწილი, ქეთევანისაგან კი ჩვენს დრომდის მოღწეულია "ანბანთქება" და "ვედრება". თეიმურაზის მამა დავითი ადრე გარდაიცვალა (1602 წ.), მომავალი პოეტის აღზრდას ხელმძღვანელობდნენ პაპამისი (მეფე ალექსანდრე) და დედა. XVII საუკუნის დასაწყისში კახეთის სამეფო კარზე თავი იჩინა მწვავე დინასტიურმა განხეთქილებამ. ამან ქეთევანი აიძულა თავისი პირმშო სპარსეთში გაეგზავნა, შაჰ-აბას პირველთან. შაჰის კარზე თეიმურაზი "ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა".

ვერაგ შაჰ-აბასს იმედი ჰქონდა, რომ კახეთის უფლისწულს აღზრდიდა "სჯულსა და წესსა თვისსა ზედა" მას უკვე ასე ჰყავდა აღზრდილი თეიმურაზის ბიძა, გამაჰმადიანებული კონსტანტინე. შაჰ-აბასი იყო ქართველობის საშინელი მოძულე და დაუძინებელი მტერი, იგი ოცნებობდა ქართლ-კახეთის საბოლოოდ დამორჩილებასა და

დამონებაზე. თავისი მიზნის განსახორციელებლად შაჰი ცდილობდა, შეეძინა მომხრეები ქართველთა შორის. სხვადასხვა მზაკვრული ხერხით მან თავის მხარეზე გადაიბირა ქართლ-კახეთის თავადაზნაურული საზოგადოების ერთი ნაწილი, აგრეთვე სამეფო გვარეულობის ზოგიერთი წევრი. 1605 წელს შაჰ-აბასმა საიდუმლო დავალებით კახეთში გამოისტუმრა თავისი აგენტი კონსტანტინე ბატონიშვილი, ალექსანდრე მეფესა და ტახტის მემკვიდრეს (თეიმურაზის ბიძას გიორგის) შაჰმა კონსტანტინეს ხელით ძვირფასი ძღვენი გამოუგზავნა. ამ ძღვენის საზეიმო ვითარებაში გადაცემის დროს კონსტანტინეს მიჩენილმა ყიზილბაშებმა მუხანათურად მოკლეს მამა-შვილი (ალექსანდრე და გიორგი) და მათი ამალის წევრები. კონსტანტინემ მძლავრებით ჩაიგდო ხელში კახეთის ტახტი, გარეწარმა არ ითაკილა ქართველთა ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლების შელახვა და მოინდომა ქვრივი დედოფლის, ქეთევანის, ცოლად შერთვა. კახეთში იფეთქა აჯანყებამ.

აჯანყებულებმა ქეთევანის წინამძღოლობით დაამარცხეს კონსტანტინე, მისი მომხრეები ამოხოცეს და თვითონ შაჰის აგენტი აკუწეს. კახეთის ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპარსეთის სამეფო კარზე. გაცოფებულმა შაჰ-აბასმა დროებით თავი შეიკავა, გარეგნულად ვითომც არაფერი დაიმჩნია, შურისძიებისათვას ის უკეთეს დროს უცდიდა. სპარსეთის ორიენტაციის მომხრე ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: "ეს ამბავი შაჰ-აბაზ ყაენს... ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისად ასრე ბრძანა: «ხელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო»". აბასმა კახეთი ოფიციალურად უბოძა თეიმურაზს და მოჩვენებითი პატივით სამშობლოში გამოგზავნა. 1605 წლის ბოლოს თუ 1606 წლის დასაწყისში თეიმურაზი ავიდა კახეთის სამეფო ტახტზე მაგრამ ის მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა მეფედ, დროს უფრო ნადირობასა, ბურთაობასა და ნადიმობაში ატარებდა. ქვეყანას განაგებდა ენერგიული და ზნეფაქიზი ქეთევან დედოფალი.

გაბაასებაში თეიმურაზი ნათლად გადმოგვცემს საკუთარი გამეფების ეპიზოდს და შემამკობელ სიტყვებსაც არ ერიდება:

წამოველ გვირგვინოსანი, პორფირცმულ, ხელ-სკიპტრიანი,

გამდიდრებული, სვიანი, მაშინ არ ვიყავ მტრიანი;

შეუპოვარი ღმერთს გარდა, არვისგან მქონდა ზიანი.

მოველ და დავჯექ ტახტზედა ნათელმოსილი, მზიანი (283)

დიდი მზადების შემდეგ 1614 წელს შაჰ-აბასი რჩეული ლაშქრით მოადგა საქართველოს საზღვრებს. მიზეზიანი შაჰი არ დაყაბულდა ქეთევან დედოფლისა და თეიმურაზის შვილების (ლევანისა და ალექსანდრეს) მძევლობას, შეესია ქვეყანას და უმოწყალოდ ააოხრა. (სხვათა შორის, მაშინ შაჰ-აბასის ბანაკში იმყოფებოდა ქართველ ფეოდალთა ერთი ჯგუფი ნუგზარ ერისთავის მეთაურობით). თეიმურაზი და ქართლის მეფე ლუარსაბი იმერეთში გადავიდნენ. შაჰ-აბასმა მოახერხა ლუარსაბის გამოტყუება, თეიმურაზი კი ვერ დაიყოლია. შაჰის სპარსეთში დაბრუნების შემდეგ თეიმურაზი კახეთში გაჩნდა და საქვეყნო საქმეების მოგვარებას შეუდგა. ამის გამგონე შაჰი "განძვინდა ვითარცა ვეშაპი". ხელმეორედ შეიჭრა კახეთში, მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჟლიტა, ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები დაანგრია, სოფლები გადაწვა, ბაღ-ვენახები და თუთის ნარგავები ააჭრევინა, მთელი კახეთი გაავერანა და გააპარტახა. გადარჩენილი მოსახლეობა შაჰის ბრძანებით აჰყარეს და შიდა სპარსეთში გადაასახლეს (იმ დროის გადმონაშთია ფერეიდნის ქართველობა). უპატრონოდ დარჩენილ კახეთში ჩამოასახლეს მომთაბარე თურქმანები.

ამ ყველაფრის გამო გულმოსული თეიმურაზი სამართლიანად ახასიათებს შაჰ-აბასს:

პირცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძვინებული,

მრავალჯერ გამარჯვებული, მტერზედან ალაღებული,

მომსრველი, ამომწყვედელი, დამწველი, ცეცხლ-მოდებული (442)

კახეთის შემდეგ შაჰ-აბასი ქართლის აოხრებას აპირებდა. ეს საქმე დაკისრებული ჰქონდა გიორგი სააკაძეს, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო შაჰის სამსახურში იმყოფებოდა. როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძემ საარაკო მამულიშვილობა გამოიჩინა, სამშობლოს სიყვარულის გამო საკუთარი შვილი გაწირა, სპარსელებს განუდგა, მტრის ჯარი გაწყვიტა და ქვეყანა ხიფათისაგან იხსნა. გიორგი სააკაძემ და ზურაბ ერისთავმა ქართლ-კახეთი გააერთიანეს და გაერთიანებული ქვეყნის მეფობა თეიმურაზს მისცეს. თეიმურაზი სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს. შაჰ-აბასმა შური იძია მასთან ტყვეობაში მყოფი თეიმურაზის ოჯახის წევრებზე, ჯერ თეიმურაზის შვილები აწამეს (1620 წელს), შემდეგ (1644 წ.) წამებითვე მოკლეს ქეთევან დედოფალი. შაჰმა

იმსხვერპლა აგრეთვე თეიმურაზის დაი და ასული. სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა თეიმურაზის მესამე ვაჟიც, დათუნა ბატონიშვილი.

გულწრფელი სიტყვებით გამოთქვა თეიმურაზმა სოფლის სამდურავი ამ ტრაგედიის გამო:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!

გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!

დამიკარგე ძე, ასული, ძმა, არ ვიცი და სად აგე!

სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე? (84)

შაჰ-აბასმა ქართველობას არ აპატია განდგომა და ყიზილბაშების გაწყვეტა. მან ერთხელ კიდევ ველურად იძია შური ჩვენს ხალხზე, 1625 წლის ზაფხულში, მარაბდის ველზე, მდინარე ალგეთის ნაპირას თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა ათიათასამდე რჩეული ქართველი მეომარი. ქართველობა მარაბდის დამარცხების შემდეგაც არ იხრიდა ქედს. ოღონდ, საუბედუროდ, იმატა შინაგანმა განხეთქილებამ. ერთმანეთს დაშორდნენ თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე. 1626 წელს ბაზალეთის ტბის მიდამოებში ისინი ერთმანეთს შეებნენ. დამარცხდა სააკაძე, გაიმარჯვა თეიმურაზმა. ვაი ამ გამარჯვებას! ამ დროიდან თეიმურაზს ნამდვილად მოეკვეთა მარჯვენა. თეიმურაზმა მალე ჩამოიშორა ზურაბ ერისთავი და ზოგიერთი სხვა მისანდო დიდებული. მას თითქოს აღარ ჰყავდა მეტოქეები, მაგრამ განსაცდელის დროისათვის არც მაშველი ჰყავდა. განსაცდელი კი ფეხდაფეხ დასდევდა.

1634 წლიდან თეიმურაზს გაუჩნდა ახალი ძლიერი მოქიშპე, გამაჰმადიანებული ბაგრატიონი ხოსროვ-მირზა, როსტომ მეფის სახელით ცნობილი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ თეიმურაზი საბოლოოდ დამარცხდა. 1649–1656 წლების განმავლობაში ის, როგორც ლტოლვილი, გამუდმებით ცხოვრობდა იმერეთში. "უსაქმოდ მოწყენილი" მეფე თავის ნაღვლიან განწყობილებას ლექსებით გამოთქვამდა, გრძნობიერად ამბობს ის ერთგან (შამი-ფარვანიანი, 13).

მე გასაძლებლად დავწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,

გული ამაზედ დავაპყარ, ბევრი დღე დავაღამეო;

სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევიღამეო,

ჩარხი უკუღმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო!

სხვაგანაც გულისტკივილით იგონებს (იქვე 67, 1; **შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა, 77, 1 – 2**):

ცუდად წოლით და გდებითა ეს მომაგონა რაჭამა…

მე ვიყავ უცხო ღარიბად რაჭა ჰქვიან, თუ აგარა.

იგ რამდონ რიგად სოფელმან გული ცეცხლითა დაგა რა!

ღრმად მწუხარე პოეტი ლიტერატურული საქმიანობით ერთგვარად იქარვებდა მოწოლილ ბოღმას, ხოლო განგებას სთხოვდა პატიებას (**შამი-ფარვანიანი, 68**):

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბსა, მიდმოდებასა,

ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდეგასა,

შეჭირვებისა ცეცხლთა და გულსა სახმილთა დებასა.

მოველი შენგან ხსნასა და შენსავე იმედებასა!

თეიმურაზი ყურადღებას მაინც არ აკლებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა მტრების იერიშების მოსაგერიებლად შეეკავშირებინა ქართული სამეფო-სამთავროები. თეიმურაზი აქტიურ საგარეო პოლიტიკასაც ეწეოდა. მას მოლაპარაკება ჰქონდა ევროპულ ქვეყნებთან შაჰ-აბასის წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის შესაქმნელად. ამ მოლაპარკებამ ნაყოფი ვერ გამოიღო. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა თეიმურაზი ერთმორწმუნე რუსეთზე. მან რეგულარული მიმოწერა გააჩაღა და ელჩების საშუალებით ცოცხალი კავშირი დაამყარა რუსეთის სამეფო კართან, თეიმურაზი სწორად ითვალისწინებდა რუსეთის ისტორიულ როლს ამიერკავკასიის ხალხების დაცვის საქმეში სპარსეთ-ოსმალეთის აგრესიისაგან. მას მოქნილი დიპლომატიური სვლები ჰქონია, მაგრამ იმდროინდელი რუსეთი არ იყო მზად, რომ რეალურად აესხა იარაღი აღმოსავლეთის აგრესორების შესამუსრავად. მეორე მხრივ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ვითარება აღიზიანებდა ოსმალეთსა და სპარსეთს, რაც ძლიერ ართულებდა საქართველოს ისედაც რთულ საშინაო და საგარეო მდგომარეობას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივით დაშინებული შაჰ-აბასი ცდილობდა საბოლოოდ გასწორებოდა ქართველ ხალხს.

1658 წელს თეიმურაზი პირადად ეწვია მოსკოვს, მეფე ალექსი მიხეილის ძეს (1653 წლიდან რუსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა მისი შვილიშვილი ერეკლე, მომავალი ნაზარალიხანი). მალე უკან დაბრუნდა იმედგაცრუებული (ფინანსური დახმარება

აღმოუჩინეს, ოღონდ სპარსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის გართულებაზე მაშინ რუსეთი ვერ წავიდოდა). ამასობაში დედოფალი ხვარეშანიც გარდაცვლილიყო. მგლოვიარე თეიმურაზი "დაშთა ციხესა შინა სკანდას ფრიად უპოვარი"; სხვა გამოსავალს რომ ვერ ხედავდა, სოფელს ზურგი შეაქცია და ბერად აღიკვეცა. ჯანგატეხილი და სასოწარკვეთილი მოხუცი თეიმურაზი შაჰნავაზმა სპარსეთში გაგზავნა, "ცრუ დაპირებით შაჰმა მიიტყუა" კახეთის ქედმოუხრელი მეფე. შაჰს იმედი ჰქონდა, რომ თეიმურაზის შემწეობით გადაიბირებდა ერეკლე ბატონიშვილს და იმასაც სპარსეთში ჩაიტყუებდა. მართლაც, თეთმურაზ-ხანის თხოვნის თანახმად, ერეკლე-მირზას სახელზე გამოვიდა გამხნევების რაყამი, რომ ის მოსულიყო ქვეყნის საფარველის (ე. ი. სპარსეთის შაჰის) კარზე. ერეკლეს სპარსეთში ჩასვლის საქმე დაყოვნდა, თეიმურაზის პოლიტიკურმა წონამ იწყო კლება, მას შარი მოსდეს, შეურაცხყვეს მისი ადამიანური ღირსებები, დასცინეს მის სარწმუნოებრივ გრძნობებს, შეიპყრეს და, როგორც განწირული, შორეულ ასტარაბადში გაგზავნეს პატიმრად. თეიმურაზმა ამდენი წვალება ვეღარ აიტანა, ასტარაბადში ჩასვლის უმალვე გარდაიცვალა, "დადუმდა ენა რიტორი": (არჩილი),თეიმურაზის ნეშტი გადმოასვენეს კახეთში და მშობლიურ მიწას - ალავერდს მიაბარეს.

დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და გრძნობიერმა პოეტმა სამარეში ჩაიტანა დამსხვრეული იმედები და სამშობლო ქვეყნის ღრმა სიყვარული. თეიმურაზის ხანგრძლივ შეუპოვარ ბრძოლას ყიზილბაშური სპარსეთის წინააღმდეგ უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად აუნაზღაურებელი მსხვერპლის გაღებისა, თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში გამოიბრძმედა და გამოიჭედა ჩვენი ხალხის ნებისყოფა; ქართველობამ მტერს ქედი არ მოუხარა, შეუბღალავად შეინარჩუნა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსება.

,,თეიმურაზის დიდი ავტორიტეტისა და სახელის მიზეზი იყო ის დამსახურება, რომელიც მას მიუძღოდა ქართული ლიტერატურის განვითარებაში; თეიმურაზმა დაამკვიდრა ჩვენს ლიტერატურაში რამდენიმე ახალი ჟანრი, მისი სახელი პოპულარობას განსაკუთრებით ხელი სეუწყო ლირიკული ჟანრის შემოღებამ, რომელიც ადრე ,,ვეფხისტყაოსნის" გავლენით, სრულიად უგულებელყოფილი იყო. ამას ზედ ერთოდა ქართულ ლიტერატურაში ეროვნული თემატიკის დანერგვის ცდა და ცნობილი ,,მაჯამის" დიდი რეზონანსი. მკითხველ საზოგადოებას არანაკლებ იტაცებდა თეიმურაზ

პირველის პოეტური ენის სილამაზე და მიმზიდველობა. ეს გარემოება იძლეოდა იმის საფუძველს, რომ თეიმურაზი არა მარტო დიდ პოეტად ყოფილიყო აღიარებული, არამედ ის რუსთაველისთვისაც კი შეედარებინათ" (**ქიქოძე1965: 81**)

არჩილმა კარგად იცის გაბაასების სპეციფიკური თვისებები; ტრადიციისამებრ იგი ცდილობს ნეიტრალიტეტი დაიცვას და მოკამათე მხარეებისადმი უაღრესად ობიექტური იყო. სამართლიანი დასკვნის გამოტანს ის მკითხველს ანდობს: ,,ბატონი და რუსთაველი გავაბაასე და ორსავ ვსთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსეობის გამოჩენა და თქვენ გაარჩიეთ უმჯობესია". არჩილი ზოგჯერ თეიმურაზსა და რუსთაველს სახავს თანაბარი ძალისა და ნიჭის პოეტებად, რომლებიც, მისი აზრით, ქართველ პოეტთა შორის დაფნის გვირგვინის ღირსნი არიან:

ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა,

რუსთველსა ენა რიტორსა, მეფეს-ალვისა ნამორსა (გაბაასება 37).

,,თეიმურაზი თზულებაში გამოყვანილია მეტისმეტად გულზვიად და ამაყ პიროვნებად, თითქმის ისე, როგორც ის თავის პირად ცხოვრებში ხასიათდებოდა. თეიმურაზი ზემოდან, მეფური მედიდურობით დაჰყურებს რუსთაველს და ზოგჯერ მეტად უხეში სიტყვებითაც კი მიმართავს სწორუპოვარ პოეტს: ,,კაცი ამ ყოფნის პატრონი რად შეგადარო მევირესო". მიუხედავად ამისა, არჩილი საკმაოდ კარგი შეხედულებისაა გვირგვინოსანი მეფის პოეზიაზე. ამის შესახებ ის ჯერ ნაწარმოების შესავალში გამოთქვამს თავის აზრს:

მეფე ბევრს რასმე შემოჰკრავს მიჯნურთა ერთად მკობასა,

არ დასწყვეტს სიბრძნის წყაროსა, ენისა მუსიკობასა,

აქებს შვენება-სიტურფეს, სიფიცხე-კისკასობასა (45).

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ბევრის მთქმელია ის სათაური, რომელიც მეფის მეთექვსმეტე პასუხს წინ მიუძღვის: ,,ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა, სახელოვანისა და მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა რიტორისა და ფილოსოფოსისა მეფისა თეიმურაზისა, რომელი სიყმაწვილით, გაზრდით, ვაჟკაცობით, სიბერით სიკუდილამდის ეშრომა და გარდაჰხდოდა". გარდა ამისა, არჩილი ,,საღვთო სწავლასა" და სასულიერო ხასიათის ლექსების წერაში თეიმურაზს უპირატესობას ანიჭებს რუსთაველთან შედარებით. არჩილი თეიმურაზის მოღვაწეობის განსაკუთ-რებულ ძნელ პირობებსაც ითვალისწინებს, მაგრამ ყველაფერი ეს მოგვაგონებს ცუდად

შეიარაღებულ რაინდს, რომლის აბჯარი მოწინააღმდეგის ხმლის ერთ დარტყმასაც კი ვერ უძლებს. მართლაც, ბაასში ჩაბმული თეიმურაზის საბუთები, რომლებიც მას თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად მოჰყავს, მეტად სუსტია და არადამაჯერებელი.

ზოგჯერ თეიმურაზს თითქოს ეჭვი ეპარება თავის სიძლიერეში და სკეპტიციზმში ჩავარდნილი მეფე ორაზროვნად წარნოთქვამს:

მე ჩემნი ჯობნი მგონია, თუ სხვათ გამოგდავესა.

ხშირად თეიმურაზი თავის გასამართლებლად მისი მოღვაწეობის მძიმე პირობებზე მიუთითებს:

სად მეცალა ლექსისათვის, ჭირსა შინა გული იობს,

სხვას ჩემდენი განსაცდელი ვის გარდაჰხდა, არ თუ იობს!

ან კიდევ:

გითხარ, სალექსე დროები არროდეს არ შემომესწრო. (ქიქოძე1964: 86-87)

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის აღნიშნულ პოემაში გაცილებით საინტერესოა თეიმურაზის როგორც მეფის სახე, არჩილი თვით თეიმურაზს აყოლინებს თავის ისტორიას, ,,მისი მოთხრობა ტრაგიზმით აღსავსე, ზედმიწევნით დეტალურია, არ გამოპარვია მას მეჩვიდმეტე საუკუნის I ნახევრის ისტორიის არც ერთი ფაქტი. ამ ფაქტებს ის განავრცობს სხვადასხვა დეტალით, თან რაც უფრო საყურადღებოა გადმოგვცემს მრავალ ისტორიული ხასიათის ამბავს, რომელიც მემატიანისა და სხვა დოკუმენტებიდან არ ვიცით"(კეკელიძე1952: 409)

ალ. ბარამიძის შენიშნით: ,,თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასება თეიმურაზის პირველხარისხოვან საბიოგრაფიო წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს"(ბარამიძე1940: 193)

არჩილის თვალით დანახული თეიმურაზი წარმოდგენილია როგორც ,,სახელოვანი და მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებული" მეფე, რომელსაც მრავალი ბრძოლა გადაუხდია საქართველოს გადასარჩენად თვით თეიმურაზს ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა და მრავალჯერ გაუნადგურებია საქართველოს მოსასპობად შემოსული მტრის ურდოები. სამშობლოს გადარჩენისათვის თეიმურაზმა დიდი მსხვერპლი გაიღო, მან სისხლისმსმელ შაჰ-აბასს მძევლად გაუგზავნა დედა და ორი ვაჟი, შეუბრალებელმა მტარვალმა წამებით გამოასალმა სიცოცხლეს.

არჩილი თეიმურაზის პირად ცხოვრებას ეხება და ,,მართლის თქმის" მოყვარული პოეტი არ მალავს თეიმურაზის, როგორც პიროვნების ნაკლს. თხზულებაში თეიმურაზი

ისეთი თვისებებითაა დახასითებული, რომლებიც მას მემკვიდრეობით მამისაგან ჰქონდა მიღებული. სიამაყე, გადაჭარბებული პატივმოყვარეობა, გულზვიადობა, უნდობლობა, აი, ის თვისებები, რომლებიც სამწუხაროდ თეიმურაზს ახასიათებდა. თეიმურაზის ვერაგული ხასითი და გულპილწობა ყველაზე მკაფიოდ მაშინ გამოჩნდა, როცა მან მოაკვლევინა საკუთარი სიძე ზურაბ ერისთავი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღოდა თეიმურაზის წინაშე. არჩილი აღშფოთებულია თეიმურზის ასეთი საქციელით. მეორე მხრივ, ის თითქოს კიდეც ცდილობს სინანულის გამომხატველი სიტყვებით დანაშაული შეუმსუბუქოს გვირგვინოსან მეფეს. არჩილი ასე ალაპარაკებს თეიმურაზს:

ვირე ცოცხალ ვარ ვინანი, სამუდამოდ ცრემლი მდის და...

რად მოვჰკალ, ვით შემოვიკალ, შვილის უმჯობე, ძმისა და,

ნამსახური და კვლავ სიძე, სიკეთე აქვს მოდგისადა?!"

,,ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა მყოფელსა,

გული გაშმაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახვრის მყოფელსა?(723).

სრულიად საწინააღმდეგო თვისებებს ამჟღავნებს თეიმურაზი თავისი ოჯახის წევრების მიმართ; აქ ის უაღრესად სენტიმენტალურია. მაგალითად ცოლ-შვილისა და დედის დაღუპვას ის დიდი განცდით აღგვიწერს და თავისი მძიმე სულიერი მდგომარეობის გადმოცემით მკითხველზეც მოქმედებს"

რაც მყვა ყველა დამიხოცა, მე, გლახ, მარტო მისთვის მჰოვა,

ყმანი ცემნი დიდებულნი შემომმარცვა, შემომძოვა,

მწიხნა ფიცხლად საწერტლითა, გაუძღომლად სისხლი მწოვა(1078).

არჩილი შესანიშნავ, უტყუარ ცნობებს იძლევა თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. ჩნობილია, რომ თეიმურაზმა თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როცა ის ქართლ-კახეთის ტახტს განაგებდა, თარგმნა ,,ლეილ-მაჯნუნიანი" და ,,იოსებ-ზილიხანიანი" მეორე პერიოდში როცა იმერეთსი იყო გადახვეწილი, თეიმურაზმა შექმნა შემდეგი თხზულებები: ,,შვიდთა კრებათათვის", ,,ვარდ-ბულბულიანი", ,,შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა", ,,შამი-ფარვანიანი" და ,,მაჯამა".

თზულების დასასრულს არჩილი განსაკუთრებულ სიყვარულსა და თანაგრძნობას გამოხატავს თეიმურაზის მიმართ. ერთ-ერთ სტროფში არჩილს თეიმურაზი დახასიათებული ჰყავს, როგორც შეუდრეკელი და დაუცხრომელი მებრძოლი, რომელიც საქართველოს უკეთესი მომავლის შექმნისთვის ხან მოსკოვს მოგზაურობდა, ხან სტამბოლს, ხან კიდევ ისპაანს:

რაზომ გამსაჯა სოფელმან, ცდა არ დავაკელ სიკვდიმდი,

არ გავსტყდი, არც შეუზარდი, ვირე არ მოვკვდი, მანამდი;

მოსკოვს, სტამბოლს და ისპაანს, მას შიგნით მთა და ბარამდი

ჩემის სახელი ძეგლები ყოვლგან დავასევ მანამდი.

არჩილის ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტებაა, რადგან თეიმურაზი იყო ,,ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოებული გმირული ბრძოლის მეთაური" **(საქართველოს ისტორია 1958: 304)**

როგორც ჩანს, თხულებაში არჩილს თეიმურაზი დახასიათებული ჰყავს, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული და მისი კეთილდღეობისათვის მებრძოლი მეფე.

პირველად თეიმურაზი ლაპარაკობს თავისი პაპის, ალექსანდრეს მამის (დავითის) და სამი ბიძის (ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე) შესახებ. პოეტი მოკლედ გადმოგვცემს იმ ტრაგედიას, რომელიც გამოიწვია სამეფო ტახტის მისაკუთრების გამო ძმებს შორის გამართულმა შუღლმა და მტრობამ. განსაკუთრებით აღშფოთებას იწვევს კონსტანტინეს მოქმედება, რომელმაც ტახტის მიტაცებისთვის სიცოცხლეს გამოასალმა მამა და ძმა - გიორგი და რძლის ცოლად შერთვა განიზრახა. აქვე თეიმურაზი ლაპარაკობს თავის დაობლებისა და სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდის შესახებ. კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ შაჰის განკარგულებით ტახტზე ადის თეიმურაზი, რომელიც მალე ცოლად ირთავს გურიელის მშვენიერ ასულს და შვიდი წლის განმავლობაში დამშვიდებით განაგებს ქვეყანას. ამავე თავში თეიმურაზი განსაკუთრებულ აღტაცებას გამოხატავს ორი ვაჟის შეძენის გამო.

შემდეგ აღწერილია თეიმურაზის დაქვრივება და ამით გამოწვეული დიდი გლოვა-მწუხარება, შაჰ-აბასის მიერ თეიმურაზის სპარსეთში გაწვევა. შაჰის წინადადებით ქართლის მეფის ლუარსაბის დის - ხვარეშანის ცოლად შერთვა. შაჰ-აბასთან მძევლების დედის - ქეთევანისა და ორი ძის-ლევანისა და ალექსანდრეს გაგზავნა. ამ მდგომარეობით გამოწვეული დიდი მწუხარება. შაჰისაგან კახეთის აოხრება,

თეიმურაზისა და ლუარსაბის იმერეთში გაქცევა. ლუარსაბის მოტყუებით კახეთში დაბრუნება. შაჰის კვლავ ლაშქრობა და ქართლ კახეთის აოხრება, თეიმურაზის ისევ იმერეთში გადახვეწა. სპარსელების ახალი ლაშქრობა საქართველოში, ქართველთა შეთქმულება გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის ხელმძღვანელობით და მათ მიერ სპარსეთის ჯარის ამოწყვეტა. თეიმურაზის დაბრუნება და ქართლ-კახეთში გამეფება. ბაზალეთის ომი და მოურავის ოსმალეთში გაქცევა. თეიმურაზის დიდოეთს ლაშქრობა და დამარცხება. როსტომისა და თეიმურაზის ომი, პირველის გამარჯვება. თეიმურაზის ამ პასუხში მოცემულია ცნობები მისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდის შესახებ, აქვე არჩილი გვაწვდის ცნობებს თავისი თხზულების დაწერის თარიღოს შესახებ.

თხზულების მე-16 პასუხის ერთ-ერთ თავში არჩილი გულისტკივილით აღწერს საქართველოს იმდროინდელ სავალალო მდგომარეობას, რომელიც გამოიწვია შაჰ-აბასის ლაშქრობამ ქართლ-კახეთში. ამის შესახებ არჩილი თეიმურაზს ასე ალაპარაკებს:

სპანი ბევრი უამრავი ერანიდამ მან მოასხა,

ჩვილნი მოსრნა, ვით ჰეროდემ, მოწიფულნი თან წაასხა.

ერთგულები დამიხოცა, ორგულთ ტყავი წამოასხა(449).

პირსისხლიანი შაჰის ლაშქრობა საქართველოში რამდენჯერმე განმეორდა, უთანასწორო ბრძოლებს მსხვერპლად შეეწირნენ ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილები.

არჩილს გულს უკლავს არამარტო თავადაზნაურთა საუკეთესო შვილების გაწყვეტა, არამედ საქართველოს მცხოვრებთა ძირითადი ნაწილის - გლეხობის განადგურებაც (ქიქოძე1952: 98)

არჩილი გულდასმით იკვლევს მშობლიური ქვეყნის დამარცხებისა და გაპარტახების მიზეზებს. ,,მართლის თქმის'' მოყვარული პოეტი მზად არის კრიტიკისა და ზნეობრივი შერცხვენის ქარ-ცეცხლში გაატაროს ქვეყნის დაცემა-განადგურების მთავარი მონაწილენი. ის კატეგორიულად აცხადებს:

ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავი საქმის მე დამგმობრე (726)

არჩილის კრიტიკის მთელი სიმწვავე პირველ რიგში მიმართულია თავადაზნა-ურობისადმი, რომელსაც ოდითგანვე ახასიათებდა ურთიერთშორის მტრობა, შუღლი. პროგრესულად მოაზროვნე პოეტის აზრით, ჩვენი ქვეყნის დამარცხება და შემდეგ მისი

გავერანება დააჩქარა არა გარეშე მტრის თარეშმა, არამედ ანგარებისა და ,,უჩემოთ ვინ იმღერათა“-ს მიმდივარმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ (**ქიქოძე1952: 99**).

მშობლიური ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინების შემდეგ არჩილი აკაკი წერეთლის მსგავსად „საქართველოს სინამდვილეში ეძებდა გმირებს“ (**ბარამიძე ალ. 1942: 16**), რომლებიც განმსჭვალულნი იქნებოდნენ სამშობლოს ძლიერი სიყვარულით, გააერთიანებდნენ და სათავეში ჩაუდგებოდნენ ქართველთა დაქსაქსულ ეროვნულ ძალებს და რაინდული თავგამეტებით ეკვეთებოდნენ ყოველი მხრიდან შემოსეულ მტერს. არჩილმა ასეთი გმირები მართლაც იპოვა გიორგი სააკაძისა და სხვათა სახით. არჩილი თავის არჩევანში არ შეცდა, ვინაიდან „გიორგი სააკაძემ იხსნა თავისი პირადი ბედნიერების ფასად საქართველო სასიკვდილო საფრთხისაგან იმით, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი 1623-1625 წლის გმირული სახალხო ომისა, რომელმაც აიძულა შახ-აბასი ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსპობის განზრახვაზე“ (**ბერძენიშვილი 1948: 346**). სწორედ ასეთ დიდ პატრიოტ და სამშობლოსადმი უსაზღვრიო სიყვარულით განმსჭვალულ პიროვნებად ჰყავს არჩილს გიორგი სააკაძე.

არჩილი თანამედროვეებისგან მოითხოვს, რომ მიბაძონ გიორგი სააკაძის მიერ ჩადენილ საარაკო გმირობას. იგი თავის უაღრესად ძლიერ, პატრიოტულ განწყობილებას ამჟღავნებს არამარტო გიორგი სააკაძის მიერ ჩადენილ გმირობის აღწერისას, არამედ მას ხიბლავს, იტაცებს და მშობლიური ქვეყნის კვლავ აღდგენის იმედს აძლევს თამარის დროინდელი ძლიერი, თავისუფალი და აღმავლობის გზაზე მდგარი საქართველოს გათვალისწინება.

ავტორი ისტორიული ცნობების მიხედვით ცდილობს გონებაში მაინც აღადგინოს XII საუკუნის საქართველოს უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე:

ახლა ისმინე, საზღვარი საით სადამდის იპყრობდა
პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდის, სპერიდამ დარუბანდამდის,
ყოვლნი კაბკასნი, იმერნი, ამერნი, ხაზარეთამდის,
მთით გელაქუნით, ჩრდილოთ-კერძ მპყრობელი სრულ ყივჩაყამდის,
ვაი, ვაება მამირთე, უმისოდ სული ამამდის. (790)

პოეტს ეროვნული სიამაყისა და სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობებს უძლიერებს აგრეთვე იმ ძლევამოსილი ომების მოგონება, რომელთაც თამარის დროინდელი საქართველო აწარმოებდა ჩვენი მეზობელი მუსლიმური ქვეყნების წინააღმდეგ.

თამარ მეფე არჩილისთვის არის ღვთაებრივი ნათლის გამოვლენა, რაც არაერთგან აღინიშნა კიდეც. მის პარალელებსა და სიღრმისეულ პასაჟებს უკვე შევეხე, ამიტომ განმეორების თავიდან ასაცილებლად აღარ ჩავუღრმავდები, მხოლოდ ერთს მივანიშნებ, რომ თხზულება მთლიანად ემყარება მესიანიზმის იდეას, სადაც მოხმობილია მეფეთა მთელი გალერეა, რათა ერთგვარი ფონი შეუქმნას ქართველ მეფეთა სულიერების წარმოჩენას.

"მზისა, ვარდისა, სიცოცხლისა და შვების თვეა მაისი. ამ თვესთან დაუკავშირებია ქართულ ეკლესიას ჩვენი სიქადულის და დიდების - თამარ მეფის ხსენება" (ეპისკოპოსი ლეონიდე).

...იდგა 1178 წელი. საქართველოს სამეფო ტახტზე ღმრთის განგებულებითა და მეფე გიორგის ნებით, სწორედ რომ ქალი დაბრძანდა. მოხდა ამბავი არსმენილი, არგაგონილი. დიდად იზეიმა მეფე-ქალის გახელმწიფება ქვეყანამ. ანტონ ქუთათელმა "მშვენებით მოჭედილი" გვირგვინი დაადგა თავს, რაჭის ერისთავმა ხმალი შემოარტყა წელთ, მეფე გიორგიმ "მისცა სკიპტრა" და სხვათა დიდებულთა შეამკეს "მეფეთა სამოსელითა" თამარ "მზებრ ჭვრეტდა ყოველთა ცნობითა ბრძნადმხვედველითა." 6 წელი იმეფეს ერთად მეფე გიორგიმ და თამარმა. მამის სიკვდილის შემდეგ ოცი წლის უმშვენიერესმა ქალწულმა მარტო დაიწყო ქვეყნის მართვა. გაიხარეს ქართველთა მტრებმა: ქალი ვერ გაართმევს თავს სამეფო საქმეებს - უშფოთველად დავეპატრონებით საქართველოსო. თავი წამოყვეს გიორგი III-ის მიერ ფრთაშეკვეცილმა დიდებულებმა - უწინდებურად განგვადიდეო! -მოსთხოვეს მეფეს. უარი შეუთვალა - არ შეშინდა თამარი. ჯარი შეჰყარეს ამპარტავნებმა. ჯარი მოიხმო მეფემაც. მაგრამ დაენანა სისხლი დასაღვრელად. მხურვალე ლოცვით ღირსეული მანდილოსნები - კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი გაუგზავნა შუამავლად ამბოხებულებს. გასჭრა ლოცვამ და მანდილმა...

ამის შემდგომ სამღვდელოების სრულ განახლებას შეუდგა მეფე. მსგავსად დიდი პაპის - დავით აღმაშენებლისა, მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც განაყენეს

უღირსნი ეპისკოპოსნი, წარმოჩინდნენ ღირსეულნი. დაფასდა ზნეობრიობა - განმტკიცდა რწმენა.

1186 წელს დიდებულთა გადაწყვეტილებით გიორგი რუსთან აქორწინეს მეფე თამარი. პიროვნულად უღირსი აღმოჩნდა გიორგი რუსი. იძულებული შეიქმნა თამარი, განშორებოდა მას და მეორედ იქორწინა ოსთა ბაგრატოვან უფლისწულ დავით სოსლანთან. მუსლიმებმა არა ერთხელ სცადეს გამოლაშქრება საქართველოსკენ, მაგრამ არ ფრთხებოდა მეფე თამარი: შეკრებდა ლაშქარს, ჯვრით ხელში გაუძღვებოდა წინ, ლოცვით შეეწეოდა მათ.

1195 წელს სელჩუკები შემოიჭრნენ საქართველოში. 16 ივნისს, შამქორის ველზე, დავით სოსლანის მეთაურობით ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი.

1202 წლის 27 ივლისს კი ბასიანის სახელოვანი ომი გადაიხადა მეფემ. ბასიანში ცხენზე ამხედრებული რუმის სულთანი რუქნ ად-დინი ერთ მაღლობზე შემდგარიყო და იქიდან ხელმძღვანელობდა თავის ჯარს. მედგარი გული ჰქონდა შალვა ახალციხელს. ცხენდაცხენ აიჭრა რუქნ ად-დინის ბორცვზე. სეფე-დროშა წაართვა სულთანს და საჩრდილობელი თავზე დაამხო. ბრძოლის წინ რუქნ ად-დინს თამარისთვის მოეწერა - თუ რჯულს უარჰყოფ, ცოლად შეგირთავ, თუ არა და - ხარჭად დაგისვამო. ვიღას ახსოვდა მუქარა: სამარცხვინოდ გარბოდა დამფრთხალი რუქნ ად-დინი და ოტებული ლაშქარი ზვავივით მოსდევდა უკან.

ბასიანს მიმავალ თამარ მეფეს არჩილი შემდეგნაირად გვიხასიათებს:

თამარ ბრწყინვალე, შუქ-მფენიც;

ღვთისმშობელს ლაშქარს ვედრებდა, იქმნა მოწყალე, მომსმენიც:

ღვთისა დედაო, დამიცევ მე თამარი და ესენიც. (არჩილიანი: 1999:889)

თბილისში გამართულ აღლუმზე ქართველმა მხედრებმა თამარ დედოფლის წინ დაყარეს ნაალაფარი დროშები. "უამრავი ტყვე და სიმდიდრე იგდეს ხელთ ქართველებმა. სულთნის ერთ-ერთი დიდებული, რომელიც მიიყვანეს თამარ მეფესთან, უეცრად დაეცა ძირს ენაჩავარდნილი და იღვლარჭნოდა გუელივით." გაიყვანეს გარეთ, მოასულიერეს და ჰკითხეს, რა დაგემართაო, ხოლო მან თქვა: "რომელი არს თავსა ზედა თამარისასა, მან ჰყო ძლევა ესე ჩვენ ზედა და ახლაც შევშინდი მის დანახვაზეო." ხოლო ჟამსა მას ხატი მთავარანგელოზის მიქაელისა ეკიდა თამარის ტახტის ზემოთ". **(ქართლის ცხოვრების ქრონიკები 2015:458)**

გამარჯვებებმა უფრო ღვთისმოსავი გახადა თამარი. დღისით იგი განაგებდა სამეფო საქმეებს, ღამით კი ლოცულობდა ან ხელსაქმობდა. თავის ნაკერ-ნაქსოვს გლახაკებს ურიგებდა და მადლობას სწირავდა უფალს. ერთხელ ლოცვით და ხელსაქმით დაღლილ მეფეს ჩაეძინა და ძილთაშორისი იხილა: მდიდრულად გაწყობილ სახლში თვალმარგალიტით შემკული ოქროს ტახტი იდგა. თამარი გაემართა მისკენ დასაბრძანებლად, მაგრამ ნათლით მოსილმა კაცმა შეაჩერა და უთხრა: "შენი არ არის საჯდომელი ისი". გაოცებულმა თამარმა იკითხა: "ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომელი?" ხოლო ნათლით შემოსილმა კაცმა მიუგო: საჯდომელი იგი შენი "მოჯალაბისა არს," რადგან მან თორმეტ მღვდელს სამოსი შეუკერაო და თამარს სხვა, ნაკლებ ბრწყინვალე ადგილზე მიუთითა, გამოღვიძებულმა თამარმა თავისი ხელით დაიწყო რთვა-ქსოვა და თორმეტი მღვდელი შემოსა. ისტორიამ ერთი ასეთი ამბავიც შემოგვინახა. ერთხელ თურმე თამარი სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას გელათში და ლალებს ამაგრებდა სამეფო შემოსაკრავზე, როცა ამცნეს: მონასტრის კოშკის კართან მდგომი დედაკაცი წყალობას ითხოვსო. მეფემ ბრძანა, დაეცადა მათხოვარს, თუმცა, როცა პალატიდან გაბრძანდა და წყალობის გაცემა ინება, მათხოვარი ვეღარ იპოვეს. შეცბუნებული მეფე საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბ-ღატაკი დედაკაცის სახით უარი უთხრა თვით უფალ იესოს. მოიხსნა ის, რამაც დააბრკოლა - სამეფო სარტყელი და ღვთისმშობლის ხატს შესწირა. "თამარი საეკლესიო ლოცვებს და წესებს დაუკლებლივ აღასრულებდა ვრცელ ტიბიკონზე სახლის ეკლესიის მწუხრზე, ცისკარზე და წირვას არაოდეს არ დააკლდებოდა." თითქოს მხეცებიც გრძნობდნენ თამარის სათნოებას: "შამახიის მბრძანებელს თამარისათვის ლომის ბოკვერი მიუძღვნია. ლომი საშინელი გაიზარდა. ახლოს არავის იკარებდა. მაგრამ როდესაც დარბაზში შემოიყვანდნენ, ლომი მიიწევდა თამარისკენ. იგი ხელს კიდებდა და უბეში თავს უყოფდა. ლომი იდგა მშვიდად თამარის ხელ ქვეშ და არა რა მხეცებრივ ნასაღი მან ვერ გამოიჩინა." **(ქართლის ცხოვრების ქრონიკები 2015:460).**

თამარისადმი შემამკობელ ეპითეტებს არ იშურებს მეფე-პოეტი გაბაასების შემდეგ სტროში:

მოვიდნენ სამნივ მეფეს წინ, მათ მოახსენეს: „ძლიერო,

ხელმწიფევ მზის შარავანდო, უმჯობევ, უნათლიერო,

უფროსო ხმელთა მპყრობელთა, ღვთისაგან თქვენ მადლიერო,

გიხილავს თქვენ სპათ სიკეთე, მძლეველო შენ მათ მიერო (არჩილიანი: 1999:926). ან კიდევ:

განათლდა პირი მთვარისა, სულ არე-მარე მონათა,

სიტყვა აღმოთქვა სიბრძნისა ყოვლთათვის გასაგონათა,

არ საწუნარი ბრძანება, ყოველთა მოსაწონათა (არჩილიანი: 1999:928).

ბრძოლებში წარმატებებს მხოლოდ საკუთარ თავს როდი მიაწერდა მეფე. ბედნიერი გამარჯვებების შემდგომ ეკლესია-მონასტრებს აშენებდა წმინდანთა სახელზე. თამარმა არა ერთი ტაძარი ააგებინა არა მარტო საქართველოში, არამედ დაღესტანში, ოსეთსა და ჩერქეზეთს, სადაც დღესაც საკუთარ მეფედ მიაჩნიათ იგი. საინგილოში დღესაც არის შემორჩენილი თამარის დროის ხიდი... და დღესაც ჩეჩნეთში ყველა ლამაზ ყვავილს თამარი ჰქვია.

თამარის ეპოქისეული შემოქმედება ბექა და ბეშქენ ოპიზრებისა ნებისმიერ საუკუნეში აღაფრთოვანებდა მნახველს. თამარის დროს უფრო აყვავდა მწერლობა და მეცნიერება, წარმოჩნდნენ: რუსთველი, შავთელი, ჩახრუხაძე. თამარის დროის მსოფ-ლიოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო კაცის სიკვდილით დასჯა ან დამახინჯება, მისი მეფობის ხანაში კი "არცა ვის ღირსსა სიკვდილისასა... მიეხადა თანანადები, არცა ვინ ბრძანებითა მისითა ასომოკვეთილ იქმნა."

"მისი, ვითარცა მანათობელი დედოფლისა, მხოლოდღა თამარის ქება ამოდიოდა ქართველთა პირიდან" - შენიშნავს მემატიანე. თამარ დედოფლის მიმართ უსაზღვრო სიყვარული ქართველმა ერმა არაერთ ქართულ ლექსსა თუ თქმულებაში გამოხატა. "თამარ ქალო, ქვეყნის თვალოო?" - ასე უმღერენ მას დღესაც კახელი ვაჟკაცები. "ყველაზე კარგო თამარ დედოფალო ("ჩიდმან ჩენე თაიამარა") - ესიყვარულებიან სვანები თამარ მშვიდმნათობერს. მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობისას აქაურებმა ერთი ლეგენდა მიამბეს: მომავალი დედოფალი ბიძასთან ერთად ასპინძა-ახალციხის მხარეს სწვევია. დამხვდურებს ცხენი ჩამოურთმევიათ და ძველი თოკით საბძელზე მიუბამთ. აუწყვეტია ცხენს ძველი თოკი, გაქცეულა და ერთ ალაგას იდუმალად დამალულა. თამარი კი თურმე თავის ცხენს ამაოდ დაეძებდა ვარძიაში. თამარის სტუმრობის აღსანიშნავად ასპინძიდან ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე შეხვდებით სოფლებს: ძველი, თოკი, აწყვიტა, ქუნცა (დაქუცმაცებული თოკი), იდუმალა და დამალულა, რაც სემანტიკურად გადმოგვცემს ამ ლეგენდას.**(ქართლის ცხოვრების ქრონიკები 2015:455)**

ჯერ ისევ ახალგაზრდა უკურნებელი სენით დაავადდა მეფე. ვერარა უშველეს ყოველი კუთხიდან გარს მოხვეულმა მკურნალებმა. ქართული წყაროების მიხედვით, მამა-პაპათა საძვალეს, გელათს დაკრძალეს თამარის ნეშტი. მეორე ვერსიით - ლაშა-გიორგიმ დედის ცხედარი იერუსალიმს წაასვენა. სვანები უშგულში ეძებენ თამარის საფლავს, ლეგენდა კი გვეუბნება: ცხრა ოქროს კუბო გავიდაო მაშინ სამეფო სასახლიდან და მეკუბოვეების მეტმა არავინ იცოდა, რომელში ესვენა დიდებული მეფე.

მართმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა მეფე თამარი და თამარობას პირველ (14) მაისს ვზეიმობთ. წმინდა მეფე თამარის ხსენებას აღვნიშნავთ აგრეთვე მენელსაცხებლე დედათა კვირიაკეს.

თამარის მამა, შვილიშვილი დავით აღმაშენებლისა გიორგი III გამოირჩეოდა მაღალგონიერებითა და ძლიერი ხასიათით. იყო "ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი." თამარის დედას, ოსთა მეფის, ხუდანის ასულ ბორდოხანს, ემოსა აუწერელი სიმშვენიერე და ამკობდა მოსიყვარულე გული - "მისებრი სძალი არა ეხილა ქართლის თემსა." თამარში კი თითქოს გამთლიანდა ღირსებანი დედისა და მამისა.**(ქართლის ცხოვრების ქრონიკები 2015:454)**

არჩილს განსაკუთრებით უხარია და გამარჯვების რწმენას უნერგავს ის გარემოება, რომ თამარის სახელოვანი ლაშქარი ანადგურებდა არჩილის დროინდელ საქართველოს დაუძინებელ მტრებად ქცეულ მაჰმაფდიანურ ქვეყნებს, როგორიც იყო: კარი (ყარსი), თურქეთი, განძა, ბარდავი, არზრუმი, ხორასანი, აგრეთვე ცნობილი დამპყრობლები: ირანის მპყრობელი ბობქარი, არდაველის სულთანი და სხვა მარბიელი **(ქიქოძე გ. 1952: 101)**.

არჩილი უყურადღებოდ არ ტოვებს იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერეს, რომელიც მას სიმტკიცის ქვაკუთხედად მიაჩნია:

ღმერთსა მადლებდეს გლახაკნი, ყოველი მუნ მპოვნიერი,

ლაშქარი გამდიდრებული, აავსო მხნენი, ძლიერნი;

უბოძა მის-მის საფერი, საქმე ქნა მან მის მიერი.

შვება სამუდმო შეიქნა, მეფე ზირს პირ-მშვენიერი (964).

ავტორს განსაკუთრებით აჯადოვებს თამარ მეფის ულამაზესი სახის წარმოდგენა:

როს თამარ, დიდი ხელმწიფე, სრულ ხმელთა პირსა ნათობდა

სხვათა მნათობთა უმჯობე, მზესა მით ეკამათოდა,

ბროლ-მინა ერთად შეთხზილნი, გარშემ გიშერის სათოდა. (785)

პოეტის აზრით, თამარი არამარტო სიმშვენიერის განსახიერებას წარმოადგენდა, არამედ ის იყო „მძლეველი მძლავრთა მეფეთა, დამამხობელი მათო და“. კიდევ მეტი თამარის სწორუპოვარი გვირგვინოსანი ქალია, რომელიც მთავრი მიზეზია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერისა. ამიტომ მას პოეტი დიდების შარავანდედით მოსავს:

გამარჯვება შენ ლაშქრისას ჰსუფევდა თამარ ნათელი,

უმაღლეს ყოვლთა მეფეთა, არვისგან არგანათელი,

არვის უნახავს დავსილი მისის დროშისა სანთელი,

სვიანი, გამდიდრებული, უტკივრად მყოფი, კვლავმტელი. (828)

ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ,,თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასების“ მსგავსი მეორე თხზულება, რომელშიაც ასეთ ძლიერ კონტრასტულ ფორმებში დაპირისპირებული იყოს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ორი, ერთმანეთისაგან დროის დიდი მანძილითა და თავისი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებით განსხვავებული ეპოქა. როგორც ჩანს ასეთ ხერხს არჩილი განზრახ მიმართავდა: მას სურდა თავისი თანამედროვე ქართველებისთვის, ერთი მხრივ, ეჩვენებინა XVII საუკუნის საქართველოს მძიმე მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, მათ თვალწინ გადაეშალა თამარის დროინდელი საქართველოს დიდებისა და სიძლიერის თვალწარმტცაი სურათები. ასეთი დაპირისპირებით ის ფიქრობდა, თანამედროვე ქართველებში გაეძლიერებია სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების დიადი გრძნობა. პოეტის ღრმა რწმენით, ქართველებს, რომლებსაც შესანიშნავი დიადი წარსული ჰქონიათ, მომავალიც დიდბეული ექნებათ, მხოლოდ საჭირო იყო ხალხში პატრიოტული გრძნობების გაძლიერება და სოლიდარული ურთიერთობის აღდგენა.

სამშობლოსადმი თავდადებულ გმირად სახავს არჩილი ლუარსაბ მეფესაც, რომელიც უხვად ყოფილა დაჯილდოებული მაღალი ფიზიკური და სულიერი თვისებებით:

ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯობდა ნაყოფი,

თვალად და ტანად უცხო რამ, მართ მზისა გამონაყოფი,

უხვი, ზნე-სრული, მამაცი, ლახვრულებ მტერთა ნაყოფი,

მაგრამ მას დაჟინებაზედ დაედგა მისი სამყოფი. (502)

ლუარსაბ II 14 წლისა მეფედ დაამტკიცა თბილისში მყოფმა შაჰ აბას I-მა უეცრად გარდაცვლილი გიორგი X-ის ნაცვლად. მას ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა. თავი გამოიჩინა ტაშისკარის ბრძოლაში (1609). 1610 ლუარსაბ II ირანში ესტუმრა შაჰს, რომელმაც ამ ვიზიტის შედეგად მას დაუბრუნა თბილისის ციხე (ამ ციხეში ადრე ოსმალები, 1606-იდან კი ყიზილბაშები იდგნენ). 1611 ბოლოს ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო გიორგი სააკაძის და, რომელსაც დიდ თავადთა მოთხოვნით მალე გაეყარა, ამას მოჰყვა შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ. ლუარსაბ II-ს ცოლი აღარ შეურთავს, თუმცა ქართლის სამეფო ტახტს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. 1612 ლუარსაბ II-მ მოაკვლევინა ყაზახის ხანი მოჰამედი, რომელიც შაჰის წაქეზებით მტრობდა ქართლს. იმავე წელს ლუარსაბ II-ის და ხორეშანი ცოლად შეირთო კახეთის მეფემ თეიმურაზ I-მა. ამით ქართლსა და კახეთს შორის შეიკრა კავშირი, რომლის მიზანი იყო ერთობლივი ბრძოლა ირანის მოსალოდნელი აგრესიის წინააღმდეგ. 1614 დასაწყისში, შაჰ აბას I-ის შემოსევის დროს, ლუარსაბ II იმერეთში გადავიდა და სხვა ქართველ მეფეებთან ერთად ოსმალეთს სთხოვა დახმარება ირანის წინააღმდეგ. 1614 ოქტომბერში ლუარსაბ II შადიმან ბარათაშვილის მეცადინეობით ქართლში დაბრუნდა და შაჰთან მივიდა, რათა ქართლი აოხრებისაგან ეხსნა. შაჰმა ლუარსაბ II ირანში წაიყვანა და ციხეში დაამწყვდია, რადგან მან გამაჰმადიანებაზე უარი თქვა. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა თხოვნით ლუარსაბ II-ის გასათავისუფლებლად შაჰთან იშუამდგომლა რუსეთის ხელმწიფემ, მაგრამ უშედეგოდ. ლუარსაბ II შაჰის ბრძანებით შირაზის ციხეში საბლით მოაშთვეს.**(ქართლის ცხოვრების ქრონიკები 2015:458)**. იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ლუარსაბის გასაოცარ სულიერ მხნეობას არჩილი ასე გადმოგვცემს:

შენს იქით ქართლს რას ხელსა ჰყრი, რა დარჩე სახლ-დავსებული?

მიხვიდე, მოგკლავს, ან ტყვე გყოს, შენ იქმნე დანაღვლებული. (516)

ის მაინც დაჟინებით გაიძახოდა: ,,წავალ უსაცილოდ, აბა თქვენ კი აქა სვითა“, ვინაიდან ფიქრობდა:

მაგრა რაღა ვქნა მას უკან, ქართლი ჰყონ ცეცხლმოდებული?!

ან კიდევ:

ანუ ქართლი ავაოხრო დახოცით და მერმე წვითა.

მართალია, ლუარსაბის თავდადებამ და გამბედაობამ მისი მშობლიური ქვეყნა დროებით იხსნა აოხრებისგა, მაგრამ თვით ლუარსაბი ცბიერმა შაჰმა თვალთმაქცურად გაიტყუა ირანში და იქ წამებით მოაკვლევინა. მომაკვდავ მეფეს იმედი გულში თან ჩაჰყოლია, რომ შაჰმა *,,ქართლს და კახეთშიგა საპატრონოდ ვერვინ დასო".*

საყურადღებოა, რომ პატრიოტი ავტორი არ ივიწყებს ძველი და ახალი დროის არც ერთ ქართველ გმირს, რომელსაც რაიმე წილი უდევს მშობლიური ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ეკონომიური თუ პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, როგორიც იყვნე მაგალითად: ზაქარია და ივანე მხარგრძელები, ლაშა გიორგი, ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, ბაადურ ციციშვილი და სხვა მრავალი.

როგორც ვხედავთ, ,,არჩილი იშვიათი მიუდგომლობითა და პატრიოტული გულის-ტკივილით აგვიწერს საქართველოს ცხოვრების მწუხარე ამბავს, მახინჯ მოვლენებს აძაგებს, ქებათა-ქებას უძღვნის ეროვნულ გმირებს და... მათ სამაგალითო საქციელს ანდერძად უდებს შთამომავლობას." **(ბარამიძე ალ. 1940: 192)**

უნდა აღინიშნოს, რომ არჩილი, როგორც დიდ პატრიოტს შეეფერება, უდიდესს ზიზღსა და სიძულვილის გრძნობას გამოხატავს საქართველოს დაუძინებელი მტრების მიმართ. განსაკუთრებით გაბოროტებულაი შაჰ-აბასის მოქმედებით, რომელმაც თავისი დაუსრულებელი ლაშქრობით თითქმის მოსპობის პირას მიიყვანა ქართველი ხალხი. თხზულებაში შაჰ-აბასი დახასიათებულია როგორც ცბიერი, ვერაგი, უნდო, პატივ-მოყვარე და უდანაშაულო ადამიანთა სისხლისმსმელი დესპოტი:

პირცეცხლიანი, უწყალიო, ვეშაპი განძვინებული,

მრავალჯერ გამარჯვებული, მტერზედან ალაღებული,

მომსრველი, ამომწყვედელი, დამწველი, ცეცხლ-მოდებული. (445)

არჩილი თხზულებაში რამდენჯერმე მიუთითითებს მის მიერ გამოყენებულ წყაროებზე. განსაკუთრებით მდიდარი და უტყუარი ცნობები ჰქონია ხელთ არჩილს თეიმურაზ პირველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ეს ცნობები მას, როგორც კარგ ისტორიკოსს შეეფერება, დამოუკიდებელი კვლევა-ძიებით შეუკრებია და შემდეგ ლიტერატურულად დაუმუშავებია. თეიმურაზის შესახებ არსებული ჭეშმარიტი ცნობების შეგროვება მას, რასაკვირველია, არ გაუძნელდებოდა; ჯერ ერთი, ის თეიმურაზის თანამედროვე იყო, ამიტომ მას შეეძლო ბევრი რამ საკუთარი თვალით

ენახა და განეცადა. გარდა ამისა, არჩილს კახეთსა და იმერეთში ცხოვრობა და მოღვაწეობა უხდებოდა იმ საზოგადოებაში, რომელთანაც ხანგძლივი დროის განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ პირველსაც. ამიტომ არჩილს თეიმურაზ პირველის ნაცნობ-მეგობრებისაგან ბევრი ცნობის მიღება შეეძლო. ამ გარემოებაზე არჩილი ხაზგასმით მიუთითებს: ,,მეფის თეიმურაზი ამ ქვემოს ხსენებულ სახელთა და სარჯელთ სმბსბავი თვითმნახავთა და თან-ნაახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხოტბა - არამედ მართალი; რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს მახლდენ, ვჰკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს“ **(არჩილიანი 1937: 7).**

არჩილს ოჯახური გადმოცემითაც შეეძლო ესარგებლა, ვინაიდან არჩილს ცოლად ჰყავდა თეიმურაზ პირველის შვილის დათუნას ქალი ქეთევანი **(ქართლის ცხოვრება 1854: 127)**. თხზულებიდან ჩანს, რომ ეს ორი სახელოვანი მეფე-პოეტი ერთმანეთს შეხვედრია 1663 წელს, შორეულ ირანში, შაჰის კარზე. ამის შესახებ არჩილი ამბობს:

,,თავად ბატონი მეც ვნახე სიბერით მჯდომი კუბოსა,

ველარ ცხენს ჯდომის შემძლები, მტეზედა ვა უშუბოსა!

...

კაცი რას გაიგონებდა მისის სიტყვისა უტკბოსა?”(1112)

ასეთი მდგომარეობის გამო ,,გაბაასებაში“ არათუ უაღრესი სიზუსტით არის აღწერილი თეიმურაზის მოღვაწეობის ხანა, არამედ ის ,,გადმოგვცემს მრავალ ისტორიული ხასიათის ამბავს, რომელიც მემატიანისა და სხვა დოკუმენტებიდან არ ვიცით'' **(კეკელიძე 1941: 467)**.

არჩილის თხზულების ამ ნაწილს, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, თავისი ისტორიის წყაროდ იყენებს ვახუშტი ბატონიშვილი. ის რამდენიმეჯერ მიუთითებს ამ თზულების ცნობებზე **(ბატონიშვილი 1913:)**.

თამარის დროინდელი საქართველოს ვითარების ასახვისას არჩილს უსარგებლია ,,ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლის ვარიანტით“. ამ წყაროს არჩილი რამდენიმეჯერ იმოწმებს: ,,...მის ჟამის ნაქმარნი ომნი და მის დროთ საქართველოს საქართველოს დიდებულთ ნაქმარნი სრულნი, რომელნი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცლად, აწ მე შემოკლებით ვთქვა ლექსად“ **(არჩილიანი: 1937: 90).**

ან კიდევ: ,,სხვას მორჭმა-დიდებულობას ქართველთ ცხოვრება მოგვითხრობს“ (972) - ამბობს არჩილი.

,,გაბაასებისა“ და ,,ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ადგილების შედარებიდან ირკვევა, რომ არჩილი, გარკვეული მოსაზრების გამო მეტ ყურადღებას აქცევს ,,ქართლის ცხოვრების“ იმ ადგილებს, სადაც აღწერილია თამარის დროინდელი ქართველთა ძლევამოსილი ომები და ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი სამხედრო სიძლიერე. არჩილი თითქმის უყურადღებოდ ტოვებს იმთავებს, სადაც მემატიანე ეხება საქართველოს შინაური ცხოვრების ცალკეულ მხარეებს.

არჩილი ბევრი ახალი პროგრესული იდეის ავტორია; მისი ზოგიერთი აზრი და შეხედულება დღესაც არ არის ინეტერსს მოკლებული, მაგრამ მისი თხულებების მხატვრული მხარე, როგორც ეს შენიშნული აქვთ ჩვენს მკვლევრებს, ვერ უსწორდება შინაარსის მაღალ იდეურობას. მიუხედავად ამისა, ,,გაბაასებაში“ სუსტი ადგილების გვერდით მოიპოვება მხატრვრულობის თვალსაზრისით საკმაოდ კარგად გამართული სტროფები **(ქიქოძე: 195: 112-113)**.

განსაკუთრებით ძლიერი ფსიქოლოგიური განცდების გამომხატველია ,,გაბასების“ ის ადგილები, სადაც აღწერილია პოეტის მშობლიური ქვეყნის გაპარტახებით გამოწვეული სევდა-ნაღველი.

არჩილს კარგად ეხერხება მოქმედი გმირების სულიერი განწყობილების გადმოცემა. ძლიერი პოეტური ექსპრესიით არის ასახული, მაგალითად, გიორგი სააკაძის პატრიოტული გრძნობები და თეიმურაზ პირველის უაღრესად პესიმისტური განწყობილება. თხზულების ერთი თავი, სახელდობრ, ,,მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის მგლოვიარობა და მწუხარება'', ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ქართული ელეგიისა“. ამ თავში შემავალ მე-12 სტროფში კარგი დაკვირვებული ფსიქოლოგის თვალით არის აღწერილი საყვარელი მეუღლის გარდაცვალების გამო გულმოკლული ახალგაზრდა მეფის მძიმე სულიერი განცდები.

ერთ-ერთი სტროფით ასე მოთქვამს დამწუხრებული თეიმურაზი:

ჟამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი,

ლხინმა მიმრიდა, შემექმნა გულს ურვა, თვალთა წუხილი,

ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი,

ნადიმი აღკრბა, სერობა, ვაღარ მაჭამეს წუ-ხილი. (384)

აქ მესამე ტაეპი: ,,ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი“, შეიძლება ითქვას, მწუხარე ადამიანის სულიერი განცდების პოეტურ სახეებში გადმოცემის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

როგორც ირკვევა, არჩილს არანაკლებ ეხერხებოდა ბუნების თვალწამრტაცი პეიზაჟების ასახვა. სანიმუშოდ დავასახელოთ ერთი სტროფი:

მაისი დადგის - ტურფა თვე, ვარდი აყვავდის ბაღებსა,

ველნი ყვავილით შეიმკვის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა,

ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭვრეტდით სულდანარებსა.

მე ვინ მნახევდის იმ დროსა ულხინოდ, სუფრა ნაღებსა? (326)

საკმაო პოეტურ ნიჭსა და უნარს იჩენს არჩილი ბატალური სცენების აღწერისას; მისი პოეტური კალმის უნარი კარგად ჩანს იმ მრავალრიცხოვანი ომების აღწერისას, რომლებსაც მის თხზულებებში მეტად დიდი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ საყურადღებოა თეიმურაზსა და ალი-ყული-ხანს შორის არაგვზე გამართული ომისა (549-555) და შამქორის ომის აღწერა (867-874).

არჩილი კარგი პორტრეტისტიც ყოფილა. მაგალითად, ის ორიოდე ტაეპით თეიმურაზ პირველის ცოლს საკმაოდ მიმზიდველ სახე იძლევა:

არას ვიტყვი, თქვენც გასმია ქება, არ თუ ცუდი ხოტბა:

პირად-ბროლი, ბაგე-ძოწი, თვალებია გიშრის ხო ტბა (300)

არჩილი არ გვევლინება მშრალი მსჯელობის მოყვარული თეორეტიკოსის როლში. პირიქით, მისი თხზულების გმირები, რომლებიც საქართველოს ისტორიის სინამდვი-ლიდან არიან ამოღებულნი, თავიანთ პასუხებში ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ მიერ მოყვანილი საბუთები რეალური ფაქტებია და არა ,,ნაჭორი“ ან ,,ზღაპრული“ ამბები. თვით თეიმურაზიც კი, რომელიც ძლიერ გატაცებული იყო ,,სპარსთა ნაჭორი“ ამბებით, თავისი თავგადასავლის გადმოცემის დასაწყისში რუსთაველს აფრთხილებს:

ისმინე ჩემი ამბავი, სიყრმითგან ვით ვზი გოდებად,

მართალი, არ თუ ტყუილი, არ მიზეზისა მოდებად.

რაც მახსოვს, ყველას გიამბობ, არ მინდა სხვაგან მოძებად. (210)

არჩილს თავისი დევიზი ,,მართლის თქმისა“ ნაწარმოებში თავიდან ბოლომდე განუხრელად აქვს დაცული; განსაკუთრებით დიდ სიზუსტეს იჩენს თეიმურაზის თავგადასავლის გადმოცემისა. მკვლევართა აზრით, თხზულების ეს ნაწილი შესანიშნავ

საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს, მაგრამ არჩილი არ გამოდის მშრალი ობიექტივის ან მემატიანის როლში. პირიქით, ფაქტების ან მოვლენების აღნუსხვისას ის ყოველთვის ამჟღავნებს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას თუ შეხედულებას ამ ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. პოეტი ერთგან აცხადებს: **„ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავის საქმის მე დამგმობრე“ (726).**

ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არჩილის შემოქმედებაში რეალიზმის დამახასიათებელი ელემენტები უდავოდ შეინიშნება, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს უფლებას, რომ არჩილი ვაღიაროთ რეალიზმის, როგორც გარკვეული სალიტერატურო სკოლის დამწყებად ან წარმომადგენლად **(ქიქოძე 1964: 97)**.

ალექსანდრე ბარამიძე ერთ-ერთ თავის ნაშრომში, სწორად განიხილავს რა რეალისტური ნაკადის საკითხს XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, არჩილის შემოქმედებითი მრწამსის შესახებ შენიშნავს: „არჩილის შეხედულება ასე თუ ისე ემთხვევა რეალიზმის ერთ საფუძველს, დეტალების სიმართლეს. სამაგიეროდ... არჩილისთვის თეორიულად უცხოა ცნება ტიპიურობისა, რაც შეადგენს რეალისტური ხელოვნების საფუძველს **(ბარამიძე 1955: 112-115)**. თუმცა მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ არჩილმა შეძლო ამ შეზღუდულობის გადალახვა. მან ჯერ ერთი სრული და დამაჯერებელი სურათები მოგვცა იმდროინდელი ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობის შესახებ, მეორე მხრივ „ერთგვარად ტიპიზირებულად გამოგვიხატა თავისი პოემის გმირები, ისტორიული პერსონაჟები“ **(ბარამიძე 1955: 116).**

გ. ჯიბლაძე მართებულად შენიშნავს, რომ არჩილის აზრით, მგოსანი პოეტურ ნაწარმოებს უნდა ქმნიდეს არა მეფის ბრძანებით ან დაკვეთით, არამედ თავის ნებით, დამოუკიდებლად. ეს მოსაზრება არჩილმა თეიმურაზს რუსთაველთან პაექრობის დროს ამგვარად ათქმევინა **(ჯიბლაძე 1955: 102)**:

ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს, რაცა სთქვი - იძულებითა,

თამარ მეფემან გიბძანა, ძალი გიყო თუ ნებითა,

მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა?(71)

თხზულება მეტად ღირებულია ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით. იგი მიჩნეულია XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო პირველწყაროდ. ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის წევრები ეყრდნობოდნენ მთელი რიგი მოვლენების გადმოცემისას. ამ საკითხს საგანგებო

კვლევა დაუთმო დავით კაციტაძემ. მისი აღნიშვნისამებრ, სწორედ არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისას“ ეყრდნობოდნენ ვახუშტი ბატონიშვილი და ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის წევრები. თხზულების ერთ-ერთი ისტორიული პირი დაუდ-ხან უნდილაძე არჩილის გარდა, სხვა წყაროებშიც დასტურდება (ისქანდერ მუნი, ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“ და სხვა), თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი გვარი უნდილაძე პირველად არჩილს აქვს მოხსენიებული, მისი შემდეგდროინდელი მოღვაწენი კი არჩილს ეყრდნობიან (კაციტაძე 2003: 51). აქედან ნათლად იკვეთება არჩილის თხზულების საისტორიო ღირებულება, მასში დაცულია სხვადასხვა სახის კონკრეტული ცნობა თუ ფაქტი, რომლების მოქცეულია მხატვრულ-ლიტერატურულ კონტექსტში.

ამგვარად, მოცემულ თავში - ,,გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ განვიხილეთ არჩილის თვალით დანახული ქართველი მეფეები, რომლებზე დაკვირვებამაც გვიჩვენა, რომ მეფე-პოეტმა ისტორიული სიზუსტითა და მხატვრული ელფერით დაგვიხატა ჩვენი სასიქადულო მეფეები. ასევე აღნიშნულ საკითხში ყურადღება მივაქციეთ არჩილის მეტად საინტერესო ლიტერატურულ შეხედულებეს, რაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩილი თავისი დროისთვის იყო არა მარტო პოეტი, შემოქმედი, არამედ ლიტერატურის თეორეტიკოსიც.

თავი V – „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“
და ქართული ლიტერატურული ტრადიცია

ეპოქის მოთხოვნილებათა მიხედვით მწერლობის რეგლამენტაციის ერთგვარ ცდას წარმოადგენს პოემა “მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი”, რომელიც მესიანისტური ტრადიციის კიდევ ერთი გამოხატულებაა. სრულიად მართებულად შენიშნავს ლ. ჭუმბურიძე, როდესაც წერს: „არჩილი მესიანისტური ტრადიციის გახსენებით მარტო აწმყოთი გამოწვეული ტკივილების დაამებას კი არ ცდილობდა, არამედ მიზნად ისახავდა, თანამედროვეებში განემტკიცებინა რწმენა შინაგანი ძალებისა, რომ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას დაღუპვა არ ეწერა და ბაგრატიონთა დინასტია ძალებს კვლავ აღიდგენდა“ (ჭუმბურიძე 1990: 68).

თხზულება სახოტბო ჟანრის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად, ჩახრუხაული საზომითაა შესრულებული, ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ მეფეთა საქებელნის პირველი ხუთი სტროფი კონკრეტულად ჩახრუხაძესა და მის სახოტბო პოემას – “თამარიანს” ეძღვნება და წარმოდგენას გვიქმნის არა მხოლოდ ავტორის, არამედ ეპოქის ესთეტიკურ გემოვნებაზე. ამის დასტურად მოვიტანთ ამონარიდს თავად თხზულებიდან:

„მოხეველისამ, ჩახრუხელისამ,
ლექსთა სიტკბომა ამიყოლია,
მისებრ მთიული, სიბრძნით ღვთიული
თამარის კიდე ვისმცა ჰყოლია?
ან სხვა მდივანი, გულ-შემტკივანი,
გინა შინაძმა კაამყოლია?
მაგრა რიტორთა, ვით რამ მარტოთა,
დასჯის ლექსობა, ვინ მოჰყოლი (5) (არჩილი 1999:161).

გარდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა ავტორის შეხედულებით, ჩახრუხაძის ხოტბის ობიექტები სამართლიანად არიან ერისა და ქვეყნის გამოჩენილი შვილები:

„ქალნი თუ ყრმანი, არსად უხმარნი,
მჭევრად უქია ერნიც მეფენით. (2.4) (არჩილი 1999:160)

არჩილი დაუფარავად აღიარებს, რომ ნაწარმოების ,,მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი” შექმნა მას ჩახრუხაძემ და მისმა „თამარიანმა“ შთააგონა:

„სიყვარულითა მის ხმითა ვთქვა მეცა“

და

„მოხეველისამ, ჩახრუხელისამ ლექსთა სიტკბომა ამიყოლია“.

აშკარაა, მეფე-პოეტს უპირველესად მხედველობაში აქვს სალექსო ფორმა „ჩახრუხაული“ და მასში გამოვლენილი სიტყვის დიდოსტატობა. ჩახრუხაული მისთვის ჩვეულებრივი, ტრადიციული, გავრცელებული ლექსის სახეობა არ არის, იგი უცხოა (**„უცხოდ რამ ლექსსა“**). „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ არჩილი “თამარიანის” ლექსს **„სხვა ლექსს“** უწოდებს (24.1), ამიტომაა მოწადინებული **„მის ხმით“,** მისებურად, ანუ ჩახრუხაულით გამოთქვას თავისი სათქმელი. ამა თუ იმ **„ხმით თქმა“,** რომელიც ჯერ კიდევ ადრინდელ ჰიმნოგრაფიაში იყო ფეხმოკიდებული, XVII-XVIII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში უაღრესად მოდური და გავრცელებულია **(არჩილი 1999:213).**

ისმის კითხვა: რატომ არ ახსენებს არჩილი მეორე სახოტბო პოემას - ე.წ. „აბდულმესიანს“? ნუთუ არ იცნობდა მას არჩილი? თუ რაიმე მოსაზრებებით არ ახსენებს იგი შავთელის თხზულებას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემამდე საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

„ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში „ამირან-დარეჯანიანის“, „დილარგეთისა“ და თვით „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით დასახელებულია შავთელის „აბდულ-მესია“:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა

<u>აბდულ-მესია - შავთელსა</u>, ლექსი მას უქეს რომელსა,

დილარგეთ - სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,

ტარიელ - მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“

ე. მეტრეველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში წერს: „...ცნობის მიხედვით, რომელიც ძველ ტრადიციას ეყრდნობა, შავთელს დაუწერია თხზულება, სადაც აბდულ-მესია უნდა ყოფილიყო შექებული, მაგრამ „აბდულმესიანის“ სახელწოდებით ჩვენამდე არცერთ თხზულებას არ მოუღწევია. ვინ არის აბდულ-მესია? გმირის სახელწოდებაა ეს თუ ზედწოდება, რა ხასიათის თხზულებაა „აბდულმესიანი“ - ეპიკური თუ ლირიკური? და, ბოლოს, ვინ არის მისი ავტორი? - ეს არის საკითხები, რომლებზედაც ქართველი მწიგნობრები და მკვლევარები საუკუნეზე მეტია ცდილობენ გასცენ პასუხი“ **(ქართული ლიტერატურის ისტორია 1966: 90).**

როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავს: „აბდულმესიანის“ ხელნაწერთა ერთი ნახევარი თხზულებას მიაწერს იოანე შავთელს და ქების საგნად თამარს თვლის, მეორე ნახევარი კი ავტორად მიიჩნევს არჩილის თანამედროვე ცნობილ სასულიერო მოღვაწესა და მწერალს იაკობ სამებელ-შემოქმედელს გვარად დუმბაძეს, აქ ქების საგანი არჩილია. საცილობელი არ ყოფილა და არც ახლა იწვევს რაიმე ეჭვს, რომ იაკობ შემოქმედელს ერთგვარად მიუთვისებია შესანიშნავი სახოტბო ძეგლის მზამზარეული ტექსტი, მას მხოლოდ თამარის სახელი ამოუკვეთია პოემიდან და სანაცვლოდ ჩაუსვამს არჩილი, სხვა მხრივ ტექსტისთვის სრულიად არ უხლია ხელი“ **(ნარკვევები 1945:107)**.

რ. ხალვაში შენიშნავს, რომ 1681 წელს, როცა არჩილ მეფე „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებას“ წერდა, „არჩილ მეფის ქების“ ტექსტი უკვე არსებობდა. ის თავად წერს:

აწ სამებელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი:

ამჟამად მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს უბარი;

ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი;

სრულად ამისთვის არ ვაქე რომ იყო ჩემი მკობარი (214)

არჩილი 1681 წლამდე იმერეთში ორჯერ გამეფდა: 1661-1663 და 1678-1679 წლებში. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იაკობ დუმბაძემ მას „ქება“ იმერეთის ტახტზე მეორედ ასვლის დროს მიუძღვნა, რადგან 1661 წელს არჩილი მხოლოდ და მხოლოდ 13 წლისა იყო. „არჩილ მეფის ქების“ დაწერის დროს (1678-1679წწ) შემოქმედის მიტროპოლიტი გელათში უნდა ვიგულვოთ“ **(ხალვაში 2003:15-16).**

ლიტერატურული პოლემიკის გულდაგულ შესწავლის საფუძველზე ბორის დარჩია ასკვნის: „აბდულმესიანის“ რაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ცალკეული განსხვავებული მოსაზრებანი, მაგრამ ძირითადი დებულება, რომ ეს ნაწარმოები არის ადრინდელი, კლასიკური ხანის ძეგლი და იგი XVII საუკუნეში შეცვალა და გადააკეთა იაკობ შემოქმედელმა, ერთხმადაა აღიარებული და მიღებული **(დარჩია 2009: 152).** ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დარჩია დასძენს, რომ „ხელნაწერული მემკვიდრეობა ნათლად და მტკიცედ გვიჩვენებს, რომ ამჟამად „აბდულ-მესიანად“ შერაცხილი ნაწარმოები იაკობ შემოქმედელს ეკუთვნის და არჩილის ქებას გამოხატავს“ **(დარჩია 2009: 152).**

როგორც დავინახეთ, იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქება“ XVIII-XX საუკუნეების

მანძილზე შეცდომით იყო გაიგივებული იოანე შავთელის „აბდულმესიანთან.“ აი, სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რის გამოც არჩილი არ ახსენებს მას „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნის“ ტექსტში, მის შესავალ ნაწილში და მხოლოდ „თამარიანზე“ საუბრით იფარგლება.

აქვე ცხადი ხდება ისიც, რომ არჩილი ემიჯნება ჩახრუხაძეს. თუკი „თამარიანი“ მხოლოდ ქება და ხოტბაა თამარისა, არჩილს თავის თხზულებაში შემოაქვს მეორე თემა - მხილება. მისი ნაწარმოები მხოლოდ მეფეების ქებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მხილებასაც. სწორედ ესაა ნაწარმოების მთავარი თემა და იდეა, რაც სათაურშიც კარგად ჩანს - „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“.

თხზულება ემყარება ,,მართლის თქმის” პრინციპს, რომელსაც საგანგებო ადგილი უჭირავს არჩილის მხატვრულ-შემოქმედებით კონცეფციაში. მისი მიზანი, რაც ნაწარმოებში აშკარადაა ნათქვამი, მეფეთა ქებაა, ოღონდ ქება იმ მეფეებისა, რომლებიც ღირსებით გამოირჩევიან. პოეტი თავის მისწრაფებას ასე აყალიბებს:

„ხელვჰყო, მცნობელო, დაუცთომელო,
ქვეყნიერთ მეფეთ სახელდებულთა,
ჩვენ წინ მოსულთა, აწ გარდასულთა,
ახლად მზრახველად დადუმებულთა,
მხნედ და ძლიერთა, საძებნიერთა,
ახოვნად, ქველად გმირებ გებულთა,
ღრმად აღმოვიწყო, გარ შემოვიწყო
ქება ღვთის მიერ დაბადებულთა“ (7) (არჩილი 1999:161).

მწერალი არ იფარგლება რომელიმე კონკრეტული გეოგრაფიული თუ დროითი არეალით. თხზულებაში უპირველესად დახასიათებულია ქრისტიანობის წინადროინ-დელი **„წარმართ მეფენი, საქმით კეთილნი“** (10.1), რომელთაც, თუმცა **„კერპთა მსახურნი“** იყვნენ, მაგრამ **„საქმენი ქმნიან მართლმორწმუნეთა“** (11.1). ასეთია ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც საკუთარი ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრა მსოფლიო ისტორიაში. მას მოჰყვება **„ღვთისმსახურთ მეფეთ ქებულნი“** (17.1). თავდაპირველად შექებულია ბიბლიური, ებრაელთა მეფეები - დავითი, სოლომონი, იოსია, მანასე, შემდეგ ქრისტიანი მმართველები - ბიზანტიის იმპერატორები: კონსტანტინე დიდი და ივბიმიანე. მათ გვერდით „მხილებულნი“ არიან ებრაელთა მეფე იერობოამი და რომის

კეისარი ივლიანე განდგომილი.

იოსია, იუდეველთა მეფე ისტორიაში ცნობილია როგორც ყველაზე კეთილი მეფე იუდეის მეფეთა შორის „არ ჰყოლია ისრაელს მანამდე და არც შემდეგ აღზევებულა მეფე მსგავსი“ (4მეფ. 23-25).

სწორედ ამ ისტორიული ფაქტის გამოძიხლია არჩილის სიტყვები:

განა ოსია? დიდ იოსია

მეფეთა შორის უმეტესადა

პირველისადა, შემდგომისადა

სიმართლისა და სიმშვიდისადა.

მისებრი სხვაღა ვერ შეიბაღა,

ვერც ვინ აღყვავნა, ვინ მეთქვა სადა.

დარჩა სახელი, სხვათა სამხელი

უკუნისამდე დიდებისადა (არჩილიანი) (24).

იერობამი ბიბლიის მიხედვით ისრაელის მონარქიის ორ - ისრაელისა და იუდეველთა სამეფოებად გაყოფის მოთავე და შესაბამისად ისრაელის პირველი დინასტიის ფუძემდებელი იყო. მან იუდეველთა სახელმწიფოსთან შესაძლო გაერთიანების თავიდან აცილების და გაუცხოების გაღრმავების მიზნით ქვეყანაში გაატარა რელიგიური რეფორმა და კერპები აღმართა (3მეფ. 14-20).

იერობამის ბილწთ შეპყრობა მის

სახედ დაედვა ყოვლ ავის მქნელსა.

მან ისრა ელნი, მან ისრაელნი

ნათლისა წილად შთაყარა ბნელსა.

ვინმცა იტყოდეს, გამოიტყოდეს,

მისსა ნაქმარსა, სათქმელად ძნელსა!

ვინ ისი შობა, ეთქმის ბუშობა,

ცეცხლი მოედვა მისსა შემქმნელს. (არჩილიანი) (27) .

მანასიას ბიბლია განიხილავს როგორც რწმენის უარმყოფ მეფეს, ხოლო მის მეფობას კი კერპთაყვანისმცემლობის ცოდვის ნიმუშს. რის გამოც ის ღმერთმა დასაჯა და ასირიელების ტყვეობაში მოაქცია. მოგვიანებით როცა მეფემ მოინანია თავისი საქციელი უფალმა მას მიუტევა. პოემაში ვკითხულობთ:

რა ქნა მან ასე, გმო რა მანასე,

ყოვლის მპყრობლის წილ კერპსა არ უგო.

ყოვლის ბიწითა, სულთ სიბილწითა

თავი იწოდა სულ-საუგო.

კვლავ სინანული, ბრძენთაგან ქმნული,

მხურვლის გულითა სულსა მოუგო.

მით შეინანა, ვით მანანა

ცოდვილთ სანუკვრად წინა დაუგო (არჩილიანი) (28).

მოციქულთა სწორი წმინდა კონსტანტინე დიდი (306-337) პირველი იყო რომის იმპერატორთაგან, რომელმაც შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მოციქულთა სწორმა იერუსალიმში ქრისტეს დიდებული აღდგომის სადიდებლად ტაძარი ააშენებინა, რომელიც თავის კედლებში გოლგოთასაც მოიცავდა და უფლის საფლავსაც.

სწორედ ამ დამსახურების გამო მოგვიწოდებს არჩილი არ დავივიწყოთ კონსტანტინე:

დიდ კონსტანტინეს ნუ დავივიწყებთ,

მეფედ მთიებად დამტკიცებულსა,

ელინობასაც, კერპთ მონებასაც,

ყოვლის სიკეთით დიდად ქებულსა,

სულის მობერვით განახლებულსა,

ცათა მწვერვალთა დადგინებულსა.

ამას პატივს-ვცემ და თაყვანის-ვცემ,

თვით მოციქულებრ განათლებულსა (არჩილიანი) (30.)

კონსტანტინე დიდის ძის, კონსტანციუსის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიის ტახტზე ავიდა უსჯულო იულიანე, რომელიც აშკარად განუდგა ქრისტეს და თავი წარმართად გამოაცხადა. მან განაახლა ქრისტიანების დევნა და დიდ საფრთხეს უქადდა ქრისტეს ეკლესიას, მაგრამ სპარსელებთან ერთ-ერთ ბრძოლაში დაეცა. მეფე-პოეტმა შემდეგნაირად ამხილა იგი:

შენ, ივლიანე გარდივლიანე

მორწმუნე ხარ და კერპს თაყვანის-ცემ;

მართლმადიდებელთ გასადიდებელთ

სტანჯავ უწყალოდ და მხეცთა მისცემ

კერპთა საგებლად, ბომონთ საგებლად

იქადაგებ და საყვირსა დასცემ.

ქვეყანათ შენთა, მეგობართ შენთა

მოსვრა-მოწყვეტად ბრძანებას გასცემ (არჩილიანი) (37).

კეთილმსახური ივბიმიანე ქვეყანას 363-364 წლებში მართავდა. მისი მეფობის პერიოდში ბიზანტიაში ეკლესიურ ცხოვრებაში სიმშვიდემ დაივანა.

ივბიმიანე მხედრად იამნე

ივლიანესა თანა-მზრახველად;

სცან მისი სიბრძნე, შნცა ისიბრძნე

რა საქმის იქმნა თვით დამსახველად.

განდგა მისთანა სხვა არ მისთანა

სპარსთა საზღვარსა ახარა ველად.

ვერავინ იცანთ, ვერც გამოიცანთ

მისის ცხოვრების მოუნახველად (არჩილიანი) (36)-

დასძენს ავტორი.

ქართველ მეფეებს კი უდიდესი საკრალური ფუნქცია აკისრიათ. განსაკუთრებული ხოტბაც მათ მიემართება:

„აღმშენებელო, დამმშვენებელო,

სრულ საქართველოს ოხრის შენადა!

გმირებრ რებითა შენს საზღვრებითა

ხელი განგეპყრა მტერთა შენადა.

დავით, დავითის ძედ წოდებულო,

სოლომონ გიძმოს თვის-ტომ შენა და“ (47).

მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა…

არჩილი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს ქართველ მეფეთა ბიბლიურ ჩამომავლობას, მათ სულიერ ნათესაობას დავით წინასწარმეტყველთან. დავით აღმაშენებელს მიიჩნევს დავით წინასწარმეტყველის „ძედ“, რითაც ხაზი ესმება სულიერ-ინტელექტუალურ მხარეს. მეფე-პოეტისთვის დავითი საქართველოს შინაგანი სამყაროს,

არსის გამომხატველია.

განსაკუთრებული სიფაქიზითა და ღვთაებრიობით მოსავს თამარ მეფეს, რომელსაც ასე ახასიათებს:

„მეფეთა შორის მთიებო,
დიდო დიდებავ დედათა,
სულით ხორცამდე ბრწყინვალევ,
წარჩინებულო შვებათა, –
სიწმინდით, ქვეყნის მფლობლობით
ვინა შესხმა თქვა ქებათა! –
ფუფუნებულო სამოთხეს,
განშორებულო ვნებათა!“ (54).

პოეტი საკმაოდ ხატოვნად მოგვითხრობს თამარ მეფის შესახებ: მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, დიდება ამა სამყაროსა და სარწმუნოებისა, მესიის მოვლენილი…

სამი გვირგვინოსანის მოხსენიებით არ იფარგლება პოეტი, ის ერთ ნაწილში დასძენს კიდეც: „თუმცა ზეობდნენ სხვაც ბევრეულნი“.

მწერალი არც შაჰ-აბას მეორესა და პეტრე I ივიწყებს.

პეტრე პირველს ავტორზე წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია თავისი განათლებულობით, ახოვანებითა და მეცნიერული ალღოთი.

პეტრე, რუსეთის მეფის - ალექსეი I-ის მე-12 შვილი იყო. მეფე ფედორის დასაფ-ლავების შემდგომ ბოიარების დუმამ პატრიარქ იოაკიმის დასტურით პეტრე მეფედ გამოაცხადა.

რომანოვების 300–წლიანი მეფობის მანძილზე (და მანამდელ რიურიკოვიჩთა შორისაც) არ ყოფილა მეფე, რომელსაც მიეღწიოს იმ სიდიადისთვის, რომელიც ჰქონდა პეტრე პირველს (1672– 1725). მას ღირსებად უთვლიან დრომოჭმული ტრადიციების მსხვრევას, ძველი გამოცდილების ახალი იდეებით შეცვლას და რუსეთისათვის საჭირო და სასარგებლო ცოდნის გადმოღებას სხვა ხალხებისაგან **(კრეიჰკრაფტი 2007: 27).**

პეტრე გამოირჩეოდა თავისი გარეგნობითა და ახოვანებით. შავგვრემანი, დიდი და ცოცხალი თვალებით და უშიშარი, არწივისებური გამოხედვით. ბუნებით მონიჭებული

უსაშველო ძალის პატრონი იყო. ის ევროპაში აღიარებული იყო ერთ–ერთ საუკეთესო გემთმშენებლად, ხოლო რუსეთში – საუკეთესოდ. პუშკინის თქმით, „ყველა კანკალებდა და უდრტვინველად მორჩილებდა მეფეს“. **(კრეიჰკრაფტი 2007: 65)**

რაც შეეხება შაჰ-აბასს, თხზულებიდან გარკვევით ჩანს ქართველი მეფე-პოეტის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ მრისხანე მბრძანებლისადმი. ერთი მხრივ, ის მას უყურებს და აფასებს როგორც გარკვეული ღირსების მქონეს, სპარსეთის ძლევამოსილ მეომარსა და მხედარმთავარს:

„სპარსეთი ეპყრა დამშვიდებულად... მისი მოყმენი არ ყვნეს მომყმენი ტკბილთა ალერსთა გარ მოგდებულად. მე მისი მსგავსი ვერსად ვიმსგავსი, ეგეთი იყო ზრო აგებულად“ (57).

ან

„სხვა ვერვინ ვნახე მისებრ სიმხნითა... მხედრობა სრული, თვით კეისრული სახელმწიფოსა საქმეთა ქმნითა“ (58), „საამსოფლიო, სამეფო წესი სხვამ ისე ვეღარ მოიხმაროსა“ (59).

მეორე მხრივ კი „სამგზის დაწყევლილ და შეჩვენებულ მტარვალს“ (**ქიქოძე 1952: 107**) ახასიათებს როგორც:

პირცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძვინებული,

მრავალჯერ გამარჯვებული, მტერზედან ალადებული.

მომსრველი, ამომწყვედელი, დამწველი, ცეცხლ-მოდებული (445).

არჩილი აღნიშნავს იმ სავალალო შედეგებსაც, რომელიც თავად მას, როგორც ქრისტიან მეფეს, მასთან ურთიერთობით ერგო:

„ვაი, მას დღესა, მე რომ მედღესა მასთან გაგზავნა ჩემდა გზა-ძნელსა! ნათლისა წილად უფროს ასწილად უმეცრებითა ჩავიჭერ ბნელსა... ვერა ვსწვევივარ ჩემს საძებნელსა“ (60),

ან

„ჩემებრ ვინანი, სადა ვინანი ჩემთა მაშინდელ სჯულთ გარდასვლასა! რად მოვიღორე, ვერ დავიღვარე სისხლი ქრისტესთვის, ვა, ჩემს სწავლასა!...“ (61) და სხვა.

საინტერესოა თხზულების ნაწილი მეფეთა „სამხილებელი კარგ-ავებისა“ (72.1)., რომელშიც საუბრობს მათზე, ვინაც **„ვიეთთა ხელყვეს, ცუდს საქმეს, რჩეულთ მეფეთა არად საქნარსა“** (74.1).

დასასრულს მეფე-პოეტი საკუთარ განცდებზეც გვიამბობს და მწვავედ განიცდის სამშობლოსგან მოშორებით ყოფნას, რაც ნოსტალგიის გაძლიერებული გრძნობითაა გამოხატული. სხვა მეფეთაგან განსხვავებით არჩილი ბრძოლის ველიდან გაქცევასა და უცხოეთში გადახვეწას იძულებად თვლის და არა ნებაყოფლობით აქტად. აქვე დასძენს, რომ უთავბოლო ხეტიალით **„აღვირჩიე მე სამარე"** და **„ყოვლისავე აღსასრულად ესე ვპოვე მოსახმარადო".**

თხზულებას დასასრულს ერთვის დამოუკიდებელი ათტაეპიანი უსათაურო ლექსი („თანა წარჰხედ..."), რომლის აკროსტიხი ასე იკითხება: **„თუ შენ არა, ვინა გამოცდილ?"** იგი სასულიერო პოეზიის მიბაძვით შექმნილი ლექსია შინაარსითაც და ფორმითაც. ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ არჩილის რითმიანი და მეტრულად მოწესრიგებული ნაწარმოებების ფონზე იგი თავისუფალი ლექსის ნიმუშად აღიქმება.

ამრიგად XVII საუკუნეში არა ერთი ქართველი პოეტი თავისი ნიჭისა და უნარის შესაბამისად იღვწის ეროვნული ლიტერატურის სარბიელზე. სხვა რომ არ გავითვალისწინოთ, მხოლოდ საისტორიო მწერლობამ მოგვცა მრავალფეროვანი ნააზრევი, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი არჩილ მეფის თხზულებებს უჭირავს. ამ მეფე-პოეტის შემოქმედება ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული, ამიტომ ყოველი ახალი ზიარება ახალი პლასტებით წარმოგვიჩენს ამ, უდაოდ გამორჩეული ხელწერის მქონე შემოქმედს, რომელიც ქართული ვერსიფიკაციის მკვლევარს ელოდება.

ძირითადი დასკვნები

1. ნაშრომში დასმულია არჩილ მეორის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირეული საკითხები. მეფე-პოეტი „მართლის თქმის“ პრინციპის ფუძემდებელი და ქართული ენის დიდი მოჭირნახულეა. სარწმუნოებაშეცვლილი შინაგანად ქრისტიანად რჩება და თავისი შემოქმედებით სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობს. იგი თამამად აღიარებს სამება – ერთარსებას, როგორც განუყოფელს. პოეტი მუდამ შემწეობის მოლოდინშია, შემწედ კი ღვთისმშობელი ესახება. მეფე-პოეტის შემოქმედება სულით-ხორცამდე ბიბლიასთან, წმინდა მამათა სწავლებასთან, ხალხურ სიტყვიერებასთან სულიერ სიახლოვეს ამჟღავნებს.

2. არჩილის შემოქმედებაში განფენილ პრობლემათა შორის ერთ-ერთი არსებითი იდეა - მმართველის იდეალის კონცეფციაა, რომელსაც ავტორი ორმხრივად გვიხატავს: საკუთარი სინანულით, რადგან თავად არის მეფე და ამით თავის დიდ წინამორბედებს, პირველ რიგში კი - დავით აღმაშენებელს ბაძავს, მეორე მხრივ კი, მეფე-პოეტი სხვა მეფეთა რეალისტური და მიუკერძოებელი დახასიათებით ცდილობს ბიბლიურ-ქრისტიანულ თემებთან დიალოგს და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნაკლოვან მხარეებზე მითითებას.

3. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ არჩილი ემყარება ორგვარ აქსიოლოგიას: მისტიკურს და ესთეტიკურს, მისი ლირიკული ქმნილებების ნაწილი სიმბოლურ-ალუზიური ასპექტების შემცველია, მთელი შემოქმედება კი გაჯერებულია საღვთისმეტყველო ტენდენციით.

4. არჩილის პოეზია გამოვლენაა ახალი გემოვნებისა, ახალი დამოკიდებულებისა სინამდვილისადმი. არჩილი არა მარტო თეორიულად აყალიბებდა “მართლის თქმისა” და ეროვნული თემატიკის პრინციპებს, არამედ საკუთარი შემოქმედებითი მეთოდიც ამ პრინციპზე აქვს აგებული. არჩილის პოეზიაში ჩვენ ვხედავთ ახალი თემატიკის შემოჭრას, აღმოსავლური სიუჟეტების ნაცვლად იგი ამუშავებს ეროვნული სინამდვილის საჭირბოროტო საკითხებს.

5. არჩილის მხატვრულ-შემოქმედებითს კონცეფციაში ასახვის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილე, რეალური მოვლენა. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟები, სიტუაციები, ამბები, რეალურად არსებულ ისტორიულ ფაქტებს უნდა ასახავდეს. ის არ ახდენს დროის ლოკალიზაციას, მისი რეალიზმის კონცეფციაში ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ამბის ასახვას, რადგანაც მისთვის ამოსავალია ფაქტის ისტორიულად არსებობა, ნაცვლად გამოგონილისა, პოეტური ფანტაზიის ნაყოფისა. არჩილისათვის ერთნაირად "რეალისტურია" როგორც თამარ მეფის, ისე თავისი უფროსი თანამედროვის, თეიმურაზ პირველის დროინდელი ამბავი.

6. ნაშრომში კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არჩილის მთელი სააზროვნო სისტემა ემყარება ბიბლიურ-ევანგელურ მოდელებს. მეფე-პოეტი უხვად იყენებს ბიბლიურ ალუზიებს, ამონარიდებს სახარება-ოთხთავიდან, იმოწმებს წმინდა მამათა სწავლანს.

7. ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ,,თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასების“ მსგავსი მეორე თხზულება, რომელშიაც ასეთ ძლიერ კონტრასტულ ფორმებში დაპირისპირებული იყოს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ორი, ერთმანეთისაგან დროის დიდი მანძილითა და თავისი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობებით განსხვავებული ეპოქა. როგორც ჩანს, ასეთ ხერხს არჩილი განზრახ მიმართავდა: მას სურდა თავისი თანამედროვე ქართველებისთვის, ერთი მხრივ, ეჩვენებინა XVII საუკუნის საქართველოს მძიმე მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, მათ თვალწინ გადაეშალა თამარის დროინდელი საქართველოს დიდებისა და სიძლიერის თვალწარმტცაი სურათები. ასეთი დაპირისპირებით ის ფიქრობდა, თანამედროვე ქართველებში გაეძლიერებია სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების დიადი გრძნობა. პოეტის ღრმა რწმენით, ქართველებს, რომლებსაც შესანიშნავი დიადი წარსული ჰქონიათ, მომავალიც დიდბეული ექნებათ, მხოლოდ საჭირო იყო ხალხში პატრიოტული გრძნობების გაძლიერება და სოლიდარული ურთიერთობის აღდგენა.

8. არჩილი არ გვევლინება მშრალი მსჯელობის მოყვარული თეორეტიკოსის როლში. პირიქით, მისი თხზულების გმირები, რომლებიც საქართველოს ისტორიის სინამდვილიდან არიან ამოღებულნი, თავიანთ პასუხებში ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ მიერ მოყვანილი საბუთები რეალური ფაქტებია და არა ,,ნაჭორი“ ან ,,ზღაპრული“ ამბები.

9. არჩილის მესიანისტური ტრადიციის კიდევ ერთი გამოხატულებაა „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, სადაც მეფე-პოეტი აგრძელებს პოეტურ ტრადიციას ეპოქის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციის შესაბამისად. ავტორი კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნავს ქართველ მეფეთა ბიბლიურ ჩამომავლობას, მათ სულიერ ნათესაობას დავით წინასწარმეტყველთან. მისი მიზანი არამხოლოდ ღვთისმსახურ მეფეთა ქებაა, არამედ ,,მხილებაც“, რის გამოც, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ თხზულება ,,მართლის თქმის“ პრინციპს ემყარება.

10. პოეტის შეფასება, მისი ღირსების შეცნობა მეტად ძნელი საქმეა. პოეზიის სიტკბოს შეუცდომლად შეგრძნება განსაკუთრებულ ნიჭსა და ღრმა ცოდნას მოითხოვს. დიდი ერუდიცია და პოეტური გუმანი არის საჭირო, რომ მრავალ ლექსთა შორის გამოარჩიო ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოები. განსაკუთრებით საყურადღებოა არჩილის გამაფრთხილებელი დარიგება, რომ თუ მკითხველს არა აქვს პოეტური ალღო, მას პოეზია შეუმჩნეველი დარჩება, მრავალ ლექსს შორის ვერ შეიგრძნობს და ვერ გამოყოფს აშკარად პოეტურ ქმნილებას. პოეზიას ისეთივე პოეტური სმენა და შეგრძნობა სჭირდება, როგორც მუსიკას. პოეზიის არსში ასე ღრმად ჩახედული არჩილი მკვეთრად და დამარწმუნებლად წარმოგვიდგენს იმ დიდ სიძნელესა და პასუხისმგებლობას, რაც დაკავშირებულია მხატვრული ნაწარმოების ჭეშმარიტად და ღირსეულად შეფასებასთან.

11. არჩილის ლიტერატურულმა შეხედულებებმა კონკრეტული განხორციელება ჰპოვეს მისსავე შემოქმედებაში. არჩილის პოეზია გამოვლენაა ახალი გემოვნებისა, ახალი დამოკიდებულებისა სინამდვილისადმი. ყოველივე ამის გამო არჩილს გარკვეული ადგილი უკავია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **არჩილიანი 1999:** არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული ,,მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, თბილისი
2. **არჩილი 1936:** არჩილი, თზულებათა სრული კრებული ,,გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, თბილისი
3. **არჩილიანი 1939:** არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქცით, ტ. II თბილისი
4. **არისტოტელე 1979:** არისტოტელე, პოეტიკა, ს. დანელია გამოკვლევა და თარგმანი, თბილისი
5. **არდაშელია 1986:** ც. არდაშელია, „საყდარი გელათისთანა...“ . - ც. არდაშელია, საუნჯე სათნოებისა. თბილისი
6. **ასათიანი 1984:** ნ. ასათიანი, კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675), საქართველო და აღმოსავლეთი, თბილისი
7. **ავალიანი 1989:** ზ. ავალიანი, ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი
8. **აფრიდონიძე 2006:** თ. აფრიდონიძე, მართლმადიდებლობა და ქართული ეროვნული ცნობიერება. თბილისი
9. **ახალი აღთქუმაჲ 2003:** ახალი აღთქუმაჲ, წმიდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მესამე სრული გამოცემა, „საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა“, თბილისი
10. **ბარამიძე 1983:** ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II თბილისი
11. **ბარამიძე 1983:** რ. ბარამიძე, არჩილ ბაგრატიონი, თბილისი
12. **ბარამიძე 1955:** ალ. ბარამიძე, რეალისტური ნაკადის შესახებ XVII-XVIII სს. ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, ტ. IX
13. **ბარამიძე 1961:** რ. ბარამიძე, არჩილის ლიტერატურული შეხედულებები, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XIII, თბილისი
14. **ბატონიშვილი 1913:** ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469-დან 1800 წლამდე, მეორე გამოცემა, თბილისი

15. **ბაგრატიონი 1973:** ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა/ ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი
16. **ბერძენიშვილი 1948:** ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, მესამე გამოცემა, თბილისი
17. **ბერძენიშვილი 1974:** ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII, „მეცნიერება“, თბილისი
18. **ბროსე 1900:** მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ .II, თბილისი
19. **ბრეგვაძე 2002:** ბ. ბრეგვაძე, პლატონი, პარმენიდე, ბ. ბრეგბაძის გამოკვლევა და თარგმანი, თბილისი
20. **ბუბუტეიშვილი 2009:** ლ. ბუბუტეიშვილი, საღვთისმშობლო სიმბოლიკა V-XI საუკუნის ქართულ მწერლობაში, წარდგენილი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ, თბილისი
21. **ბიბლია 2002:** ბიბლია: ძველი და ახალი აღთქმა, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი
22. **გამსახურდია 1991:** გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, საქ. მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართ. ლიტ. ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი
23. **გონიკაშვილი 1986:** მ. გონიკაშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბილისი
24. **გიბსი 2005:** კარლ ბ. გიბსი. ბიბლიის განმარტების პრინციპები, გლობალური უნივერსიტეტი, ტეხასი
25. **გვარამაძე 2014:** გვარამაძე ს. არჩილ მეფის შემოქმედების მხატვრული სამყარო, წარდგენილი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი
26. **გვრიტიშვილი 1965:** დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), წგნ. 2, თბილისი
27. **დარჩია 2009:** ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი. თბილისი
28. **დოიაშვილი 2002:** თ. დოიაშვილი, ქართული ლექსი XVII საუკუნეში (თეიმურაზ I,

არჩილი), ლიტერატურული ძიებანი XXIII (ნაწილი II), თილისი

29. **დოიაშვილი 2002:** თ. დოიაშვილი, ქართული ლექსი XVII საუკუნეში (არჩილი), ლიტერატურული ძიებანი XXIV, თბილისი
30. **ეგნატაშვილი 1959:** ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება/ქართლის ცხოვრება II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი
31. **ელაშვილი 2004:** ქ. ელაშვილი, ,,ნათლის" სახარებისეული სიმბოლიკა ქართულ ჰაგიოგრაფიაში, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, #7, თბილისი
32. **თაჰერი 1954:** მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმნა და კომენტარები დაურთო ვ. ფუთურიძემ/მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნარკვ. 30, თბილისი
33. **თეიმურაზ პირველი 1934:** თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი
34. **ინგოროყვა 1938:** ინგოროყვა პავლე, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეკვიდრეობა - რუსთაველის კრებული, სახელგამი, ტფილისი
35. **ინგოროყვა 1954:** ინგოროყვა პავლე. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბილისი
36. **კაკაბაძე 1922:** ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თფილისი
37. **კარბელაშვილი 1999:** მ. კარბელაშვილი ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია (მასალები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისთვის). ლიტერატურული ძიებანი. #20. თბილისი
38. **კარბელაშვილი 1992:** მ.კარბელაშვილი, „უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ", - მამული, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, №5 (59), მარტი
39. **კარბელაშვილი 1989:** მ. კარბელაშვილი, კოსმოსი რუსთაველი ეპოქის სააზროვნო სისტემაში და პლატონის „ტიმეოსი"- სამეცნიერო სესია XXIII, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, „მეცნიერება", თბილისი
40. **კარბელაშვილი 1977:** მ. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის, „მეცნიერება", თბილისი

41. **კარბელაშვილი 2001:** მ. კარბელაშვილი, ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანი“- XII ს. ოქროს ხანის იდეოლოგია და მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები // ,,ლიტერატურული ძიებანი“, XXI
42. **კაციტაძე 2003:** დ. კაციტაძე, არჩილის ,,გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ როგორც საისტორიო წყარო, აღმოსავლეთი და კავკასია, 3, თბილისი,
43. **კეკელიძე 1956:** კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი
44. **კეკელიძე 1941:** კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II
45. **კეკელიძე 1999:** კეკელიძე ლ., არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი, საძიებელი და გამოკვლევა დაურთეს: ი. ლოლაშვილმა, ლ. კეკელიძემ, ლ. ძოწენიძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი
46. **კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები 1961:** კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა, ტბილისი
47. **კუჭუხიძე 2012:** გ. კუჭუხიძე, მეფე-პოეტები,XVI-XVII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ინსტიტუტი, თბილისი
48. **ლორთქიფანიძე:** მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შსახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი
49. **მახარაძე 2009:** მახარაძე მ., რენესანსი ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009.
50. **მენაბდე 1991:** ლ. მენაბდე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან, თბილისი
51. **მინჩხი 1946:** ი. მინჩხი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბილისი
52. **მინჩხი 1987:** იოანე მინჩხის პოეზია, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
53. **ნუცუბიძე 1976:** ნუცუბიძე შ., შრომები, ტ. IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
54. **ჟორდანია 1897:** თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წ. II
55. **საქ.ისტორია 1958:** საქ.ისტორია, ნაწილი I, თბილისი

56. **სიხარულიძე 1991:** ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული ახალშენების ისტორიიდან, თბილისი
57. **სულავა 2003:** ნ. სულავა, XII-XIII სს-ის ქართული ჰიმნოგრაფია, გამომცემლობა ,,მერანი“, თბილისი
58. **სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი 1969:** სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. „მეცნიერება“, თბილისი
59. **ტატიშვილი 1959:** ვ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, თბილისი
60. **ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია 1925:** ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე, წ. II. თბილისი
61. **ფეშანგი 1935:** ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი
62. **ფსუტური 2003:** ნ. ფსუტური, არჩილ მეფის (1647-1713) ბიოგრაფიიდან (მისი აღმსარებლობის საკითხისათვის) ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბილისი
63. **ქართლის ცხოვრება 1854:** ,,ქართლის ცხოვრება“, (დ. ჩუბინიშვილს გამოცემა), ტ. II
64. **ქართლის ცხოვრება 1959:** ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი
65. **ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები 1956:** ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბილისი
66. **ქართული მწერლობა 1988:** ქართული მწერლობა ტ.V თბილისი
67. **ქლი 1966:** ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ.II. თბილისი
68. **ქიქოძე 1964:** ბ. ქიქოძე, ისტორიული პოემა ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბილისი
69. **ქიქოძე 1952:** ბ. ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი
70. **შარდენი 1975:** ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, ტბილისი

71. **შიოშვილი 2014:** თ. შიოშვილი. თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში. თბილისი
72. **ჩხეიძე 1854:** სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა/ნაწ. II. გამოსცა უ. ჩუბინოვმა, სანკტ-პეტერბურგი
73. **ხალვაში 2003:** რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი. თბილისი
74. **ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილია აბულაძის რედაქციით ტ.I
75. **ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის რედაქციით ტ. II.
76. **ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 1946:** ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I. შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. თბილისი
77. **წმ. დიონისე არეოპაგელი 1991:** წმ. დიონისე არეოპაგელი, ზეციური იერარქიის შესახებ, თარგმნა ე. ჭელიძემ, საღვთისმეტყველო კრებული, III, თბილისი
78. **ჯავახიშვილი 1945:** ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი
79. **ჯავახიშვილი 1929:** ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი
80. **ჯავახიშვილი 1945:** ი. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I, სტალინის სახ. თსუ
81. **ჯიბლაძე 1955:** გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, თბილისი
82. **ჭავჭავაძე 1984:** ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი
83. **ჭუმბურიძე 1990:** ზ. ჭუმბურიძე, არჩილისეული ,,ვისრამიანის" პროლოგი და ეპილოგი, ლიტერატურა და სხვა, (11) თბილისი
84. **ცხოვრება საქართველოისა 1990:** ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა) შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი
85. **კარბელაშვილი 1997:** Karbelashvili Maria. The Conception of Woman in the Aspect of the Grail Symbolics (Georgian Parallels for the problem). - Bulletion of the Georgian Academy of Sciences, 156, N 1, 1997.

86. **Барг 1976:** Барг М. А., Шекспир и история „Наука“ Москва
87. **Баренбойм 1997:** Баренбойм П. Первая конституция Мира, Библейские корни независимости суда. Москва
88. **Де Санктис 1964:** Де Санктис, Франческо История италианской литературы, том II “Прогресс”, Москва
89. **Крейкрафт 2007:** Джеймс Крейкрафт "Революция Петра: здания, образы, слова" сборник «Петр Великий» под редакцией Е. В. Анисимова.